

ბ. ლავიქიანი



სივსუქობი

ბ. ჯიქიანი

სახალხოვნო გამომცემლობა

1933



მ. ვ. ლეონიძის

308 (47.93)
დ. 30 წ.

(Handwritten signature)
1933
01/21

სეკსურეთი

35083

თარგმანი მარკიანისა



სახელმწიფო ბაზროცემლოგა

1933 ტფილისი

მთარგმნელისაზან

მე ვიმოგზაურე ფშავ-ხევსურეთში 1931 წ. ზაფხულში.

ხევსურეთის ზნე-ჩვეულებათა გაცნობა და შესწავლა არც ეგრე ადვილია. გავლით მიღებული ცნობები ზოგჯერ ცალმხრივია და ხშირად ყალბიც. ხევსურნი უნდობნი და გულჩახვეულნი არიან. პირველ ორ დღეს, სადაც არ უნდა მივსულიყავით, ვიღრე არ გამოარკვევდენ ჩვენს ვინაობას, ახლო არც კი გვეკარებოდენ, მაგრამ ჩვენი ექსპედიციის წევრთა მიმართ თანდათან იზრდებოდა პატივისცემა, ნდობა და კავშირი.

ვისაც სურს ახლო გაეცნოს ხევსურეთს, ხელმძღვანელად და მეგზურად უეჭველად ადგილობრივი, ყველასაგან პატივცემული, ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი ხევსური უნდა აირჩიოს.

გ. დემიდოვი წერს: „განსაკუთრებით ბევრია ხევსურთა შორის ხარისხების რაოდენობა: ხევისბერი, ხუცესი, დასტური, ჯადაგი, მკითხავი, დეკანოზ-ხელოსანი... ძნელია მათი გარჩევა. ჩვენი ცდები ამ შხრივ უნაყოფო გამოდგა, ვინაიდან სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა განმარტება და პასუხი მივიღეთ. მე ვფიქრობ, ხევსურნი განზრახ გვაძლევდენ ასეთ პასუხს, რომ უფრო დავებნიეთ ამ საკითხში“.

მეც სწორედ ასეთი შთაბეჭდილება გამოვიტანე. ერთისა და იმავე ადგილის თუ ჩვეულების შესახებ სხვადასხვა სოფელში სულ სხვადასხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო განმარტებებს

შაძლევდენ, მაგრამ როცა ბალიურ-ოჩიაურთა ოჯახების წევრებს გავეცანი, იმათ ამიხსნეს და განმიმარტეს მრავალი ჩემთვის ბუნდოვანი საკითხი.

ამ წიგნის თარგმნის დროს ბევრი შეცდომა აღმოვაჩინე და ვალდებულებად მიმაჩნდა, ჩემს მიერ შეგროვილი მასალების მიხედვით შემეტანა თარგმანში შესწორებანი და დამატებანი, რომ არ გავრცელებულიყო მკითხველთა შორის ყალბი წარმოდგენა ზოგიერთ ადათსა და ზნე-ჩვეულებაზე.

გ. დემიდოვს ქალთა სახელებს შორის რამდენიმე ისეთი სიტყვაც შეეტანა, რომლების წარმოთქმაც ხევსურეთში სამარცხვინოა... ასეთი სიტყვები მე პირდაპირ ამოვშალე, რისთვისაც მგონი, ავტორიც არ დამემდურება.

აქვე ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუცხადებ ჩემს ნაცნობ და მეგობარ ხევსურებს: ნათელა, ლადო და თომა ბალიურს, ალექსი ოჩიაურს, ნინო წიკლაურს, ვანო ნაროზაულს და გაბო ჯაბუშაურს, რომელნიც როგორც ხევსურეთში, აგრეთვე ტფილისშიაც მუდამ დაუხარებლად მეხმარებოდენ ხევსურეთის ყოფაცხოვრების შესწავლაში.

ტფილისი, 1932 წ.

მარიჯან

ხ ე ვ ს უ რ ე თ ი

მე მომცეს წინადადება მიმელო მონაწილეობა სამეცნიერო ექსპედიციაში, რომელიც პროფესორი ვ. ა. გურკო-კრიაჟინის მეთაურობით მიემგზავრებოდა ხევსურეთში.

გადაწყვეტილი იყო ჩვენი შეხვედრა ქალაქ ტფილისში, აგვისტოს პირველ რიცხვებში, წინასწარი საჭირო მასალებისა და ცნობების შესაკრებად და საგზაო სამზადისის მოსაგვარებლად. გათვალისწინებული გვქონდა ტფილისიდან დუშეთამდე სამხედრო გზით წავსულიყავით, ხოლო იქიდან უკვე ცხენებით გადავიდოდით უღელტეხილზე და ხევსურებს ვესტუმრებოდით.

ტფილისიდან აგვისტოს 10-ს გავედით. თბილი და მოწმენდილი დილა იყო.

ავტომობილი მგზავრებითა და ბარგიბარხანით დაიტვირთა თავისუფლების მოედანზე. აჩუროჩულდენ ქვაფენილზე ავტომობილის დაბერილი ბორბლები, ფრთხილად გასრიალდა ავტო, გაირბინა სასახლის ვიწრო ქუჩა და როცა გავიდა რუსთველის პროსპექტზე, სწრაფად გაგვაქროლა.

თვალწინ გაგვირბინა ნაცნობმა ადგილებმა: აი, მტკვრის მარცხენა ნაპირი, ელექტროსადგურის შებოლილი მილით, ვერის მიდამოები, მერე ქალაქგარეთ, მტკვრის პირად გზატკეცილი, საიდანაც მტკვრის მეორე მხარეზე მდებარე გერმანელთა კოლონიის ბაღები მოჩანს.

სულ მალე, მტკვრის მარჯვენა მხარისაკენ, შორს გამოჩნდა ავჭალა და გამშრალი მდინარე გლდანის ქვიანი რუსხმული.

რომლის გასწვრივ თიანეთს მიმავალი გზაა. სწორედ ამ გზით 1876 წელს იმოგზაურა ხევსურეთში გუსტავ რადდემ. იმიანი წოგნის წაკითხვის დროს ხევსურეთში ჩემ თავს: ნეტავ რა ცვლილება მოხდა ხევსურეთში მისი მოგზაურობის შემდეგ?

50 წელი საკმარისად დიდი მანძილია!

ჩემი დადი ხნის ნანატრი სურვილი მისრულდებოდა, მე ჩემი თვლით ვინახულებ ამ თავისებურ მიუვალ ქვეყანას და დავრწმუნდები, რა ცვლილებანი მოხდა ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე.

ავტომობილი მისრიალებს გასიპულ გზატკეცილზე და მტვრის კორიანტელს აყენებს, ტელეგრაფის მავთულებიდან იშლებიან დამფრთხალი ჩიტუნები და მიფრინავენ.

აი, ჩავუქროლეთ ზემოავჭალის ელექტროსადგურს ზაპქესს და ლენინის უზარმაზარ ძეგლს.

ესეც მცხეთა, საქართველოს უძველესი დედაქალაქი. მცხეთიდან წილკანამდე ნიშენიერი, სწორი გზატკეცილია, და შოფერმაც მოუმატა სისწრაფეს. ქარი ყურებში გვიზუზუნებს, თმებს გვიწეწავს. მზე ჯერ კიდევ არა ჩანს: დაფარულია თხელი ღრუბლებით. არაგვის მარჯვნივ ავუხვიეთ; მანქანა აღმართს შეუდგა. სულ მოკლე ხანში გამოჩნდა დუშეთი. მარცხნივ ბაზალეთის ტბა მოჩანს, ხოლო მარჯვნივ, ამწვანებულ ბაღნარს შორის, კოხტა პატარა სახლებია მიმოზნეული. ათი წუთის შემდეგ ავტო ფოსტის შენობასთან გაჩერდა. ჩამოვედით, გადმოვაწყეთ ჩვენი ბარგი, ფოსტის შენობაში შევზიდეთ და წავედით დუშეთის სხვადასხვა დაწესებულებაში.

უპირველეს ყოვლისა დუშეთის აღმასკომში გამოვცხადდით. აქ გავეცანით აღმასკომის თავჯდომარის მოადგილეს. ახალგაზრდა, ენერგიული და გონიერი კაცი აღმოჩნდა.

იმისი სასწრაფო განკარგულების წყალობით ბევრი საინტერესო ცნობა მოგვცეს.

გავიგეთ, რომ ხევსურეთში განზრახულია დააარსონ პირველი საფეხურის 6 სკოლა. ბარისახოს თემში 2 სკოლა:

ერთი — მოწმავში, მეორე — ლიკოკში; ბაცალიგოს თემში
სამი სკოლა: სოფელ ლულში, როშკაში და თვით ბაცალიგოში
და შეექვსე — შატილის თემში, სოფელ შატილში.

სკოლები თვით ხევისურების ხარჯზე აშენდება, ხოლო მა-
სწავლებელთა შენახვას სახალხო განათლების განყოფილება
კისრულობს. გასულ წაფხულს ხევისურეთში წერა-კითხვის უცო-
დინარობის სალიკვიდაციო 3 სკოლა იყო, სადაც თითქმის ასი
უცოდინარი სწავლობდა. ფშავეთში კი 2 სკოლა იყო და 70
მსმენელი ჰყავდათ: ფშავეთში აქვთ ქობ-სამკითხველო და
რადიომიმღები.

გარდა სკოლებისა ხევისურეთში აპირებენ დააარსონ 2 სა-
ექიმო პუნქტი: შატილსა და არხოტში. ხევისურეთში უფრო ხში-
რია კუჭისა და თვლების სნეულებანი, ხოლო პირველი აღ-
გალი მაინც ჭრილობებს უკავია. ჯანმრთელობის განყოფილე-
ბის გამგე შოთუკა შვილი გვიამბობს საინტერესო ამბავს:
თურმე 1926 წ. მოვიდა შატილიდან ცნობა, რომ შატილს
ყვავილი მოედო, ავად გახდა 53 კაცი. ეს მოხდა ნოემბრის
პირველ რიცხვებში, და დუშეთიდან გაემგზავრა ჯანმრთელო-
ბის განყოფილების გამგე დახმარების აღმოსაჩენად, მაგრამ
ხევისურეთში მისვლა შეუძლებელი შეიქმნა: ვერც ხევისურეთის
არაგვის ხეობით, ვერც ყაზბეგზე — არხოტის ხეობით — ვერ
გადავიდნენ. მაშინ გამგემ სცადა შატილისათვის შემოეწყო
ინგუშეთიდან. რქიდან მიუახლოვდნენ შატილს 16 კილო-
მეტრის მანძილზე. აქ მეგზური ინგუშები აღარ გაჰყვნენ
ექსპედიციას, ვინაიდან შატილის მცხოვრებთა მოსისხლენი
რყვნენ, და მისცეს მოსულ ხალხს წინადადება: ჩვენ თოკებით
ჩაგიშვებთ კლდიდან და თან კი არ ჩამოგყვებითო. ამისთანა
პირობებში მგზავრობა შეუძლებელი შეიქმნა, და ჯანმრთელო-
ბის განყოფილების გამგე იძულებული გახდა ისევ ლუშეთში
დაბრუნებულიყო.

როგორც შიუკაშვილი გადმოგვცემს, ქალის ყოფა-ცხოვრე-
ბას, რადღეს მოგზაურობის შემდეგ, დიდი არაფერი ცვლი-

ლება და გაუმჯობესება ეტყობა. საილუსტრაციოდ შემდეგი გვიამბო: სამი წლის წინათ ფასანაურში საკაციო ჩამოყვანათ მძიმე ავადმყოფი ხევსური ქალი. ქალმა იკითხა — ვინ აღმოუჩინს დახმარებას, და როცა შეიტყო, რომ ექიმი ზანაკაცია, არ გაესინჯა, წყალი მოითხოვა და თვითონ კი, დრო რომ იხელთა, გაიპარა. დიდი ხნის შემდეგ ავადმყოფი იპოვეს უკვე მკვდარი, არაგვის პირას.

დუშეთის განათლების განყოფილებაში საუბრის დროს გამოიჩინა, რომ ამ დაწესებულების ერთი თანამშრომელთაგანი, შაქრო ბასილაშვილი, რამდენჯერმე ყოფილა ხევსურეთში და ყაბულია გამოგვეყვას თანამგზავრად და მეგზურად. შაქრო გვიმტკიცებდა, რომ საუკეთესო გზა ხევსურეთში წასასვლელად ფშავის არაგვის ხეობაზე გადის. ამ გზით ჩვენ ვინახულვებით პირაქეთა ხევსურეთს, ხოლო როცა მათურის უღელტეხილზე გადავიდოდით, შევიჭრებოდით პირიქითა ხევსურეთში, შატილის თემში.

ხანმოკლე თათბირის შემდეგ მივიღეთ შაქროს მიერ არჩეული მარშრუტი და გადავწყვიტეთ, თვით შაქროს წინადადებით სვესარგებლა და ისიც თან წაგვეყვანა. აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ხელი შეგვიწყო და თანხმობა გამოაცხადა შაქროს წამოსვლაზე.

მეორე დღისათვის, დილის 6 საათისათვის შევუკვეთეთ ცხენები და შევუდექით სავალდებულო წინასწარ მომზადებას. უპირველეს ყოვლისა წავედით ხაზინაში ფულის გადასახურდავებლად: ვინაიდან ქალაქის ფულს ხევსურეთში გასავალი არა აქვს, ვერცხლის ფულს მომარაგება იყო საჭირო... სუყველგან, განათლების განყოფილება იყო. თუ ჯანსახკომი ან ხაზინა, ყველგან დიდი ყურადღებით და თაოსნობით გვეპყრობოდნენ; ნამდვილი ქართული ზრდილობით გვხვდებოდნენ ყველგან, გვიხურდავებდნენ ფულს, გვაძლევდნენ ცნობებს და ყველანაირ რჩევა-დარიგებას.

ხაზინიდან ხარაზთან წავედით. ვერცხლის ფულით სავსე ქუდი მეჭირა გულზე მიხუტებული. გზადაგზა რამდენიმე ცნობისმოყვარე მოქალაქე აგვედევნა, და არც გასაკვირია: მყუდრო დუშეთში უეცრად გაჩნდნენ საქართველოს შთავრობის ხელმოწერილი მანდატებით „პატივცემული უცხოელნი“, და წარმოუდგენელიც არის, რომ ამ ამბავს არ გამოეწვია მცხოვრებთა შორის განსაკუთრებული ინტერესი. ახალგაზრდა ხარაზები მხიარულნი და გამჭრიახნი აღმოჩნდნენ. ისინი ხელათ მიხვდნენ, რომ შეიძლებოდა ხვირიანად ფულის აფცქვნა, როგორც ჩენი ამხანაგის წალების გაგანიერებაზე, აგრეთვე ჩემ ფაჩუჩებზე. ვიდრე ჩვენ ავუხსნიდით ხარაზებს რა ესაჭიროებოდა ჩვენს ფეხსაცმელებს, დუქანში შევიდოდე კაცი გაჩნდა და მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ჩვენს საქმეში. სამხრეთული ტემპერამენტით გვაძლევდნენ რჩევას ჩვენც და ხარაზებსაც.

დუქანი გამხიარულდა. ხელათ ვიგრძენით რაღაც მეგობრული განწყობილება. ირგვლივ ახალგაზრდობა გვეხვია, ანდებული თვალებით მომღიმარე, ხალისიანი. თვალები ელავდა, კბილები ქათქათებდა, ტუჩებზე ღიმილი დაურბოდათ. ვილაცამ ღონივრად ჩამომართვა ხელი.

ასი მანეთის ვერცხლის ფულის ტარება, ქუდით შეუძლებლად მიმაჩნია, უსათუოდ საჭიროა ქისა. ვიღებ ქალაღდის ფურცელს და ვუხატავ ხარაზს, რომ გავაგებინო, როგორი საფულე მესაჭიროება. ვილაცამ გამომტაცა ხელიდან ქალაღდი და ფანჯარი და სხვანაირი მოყვანილობის ქისას გვიხატავს. მოკლე ხანში ქისის რამოდენიმე ნიმუში აღმოჩნდა, ასე რომ საკონკურსოდ გახდა საქმე; უნდა საუკეთესო აგვერჩია.

ჩვენ ასეც მოვიქეციით.

მაგრამ როდესაც ჩვენი გეგმის განხორციელებას შევუდექით, გამოიჩინა, რომ ჩვენმა მხიარულმა ხარაზებმა უეცრად გამდიდრება მოიწადინეს და ისეთი ფასი გვითხრეს, რომ იძულებული ვიყავით მთელი შემადგენლობით გადავსულიყავით

დერციკთან, რომ იმისათვის შეგვეკვეთა ორმაგი ქსოვილიდან საფულე, იმის მსგავსი, როგორც სანჩო პანჩოს ჰქონდა ფულე-ბის საზიდავად.

როგორც კი მოვრჩით ჩვენს საქმიანობას, დასასვენებლად წავედით ჩვენთვის მოწყობილ ბინაზე.

დილას, როგორც იყო მოსალოდნელი, ცხენები არ აღმოჩნდა. მთელ დღეშეთს მოვედეთ, ვეძებდით შაქროს, ცხენებს, მივმართეთ მილიციას, მაგრამ სუყველგან სრული გულცივობა დაგვხდა. მილიციაში გვიპასუხეს, ახლა ხალხი ყანებშია გასული და ცხენები არ იშოვებაო.

როგორც იყო, ერთი ცხენი მოგვევარეს. ორმოცი წუთის შემდეგ ვილაც კარაპეტამ მეორე ცხენიც მოგვიყვანა.

გამოვცოცხლდით, მაგრამ კარაპეტამ უცბად გამოგვიცხადა, ვინაიღჯნ მეორე ცხენი არ მოუყვანიათ, მეც მივდივარ და მიმყავს ჩემი ცხენიო. რატომ მაინც და მაინც ეს თავის ცხენს თვლიდა მესამედ და რატომ გამოიყვანა ასეთი დასკვნა, ჩვენთვის გაუგებარი იყო, ეს იმისი ტვინის უჯრედების საიდუმლოებას შეადგენს. ბევრი ჯაფა დაგვეჭირდა დაგვერწმუნებია კარაპეტა, რომ მისი ცხენი მეორე ცხენად ეგულისხმა და არ წაეყვანა, ვიდრე მესამეს მოიყვანდენ.

ამ დროს შაქროც მოვიდა. მესამე ცხენი არსად ჩანდა.

წავედით აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილესთან. ჩვეულებრივი ლაკონიური პასუხი: „ათი წუთის შემდეგ ცხენი იქნება“.

მართლაც, არ გასულა ათი წუთი, რომ კარებზე მესამე ცხენი მოგვაყენეს.

პურითა და ხორციტ გატენილი ხურჯინები ავკიდეთ ცხენებს და სწორედ მ.ს. 15 წ. გავუდექით გზას.

მშვენიერი დილა იყო. სამხედრო გზიდან ცოტა მარჯვნივ შევეუხვიეთ, აღმართს შევეუდექით, მერე კი დაბლა ჩავედით სოფელ ყვავილში. ეს სოფელი „სურამის ციხის“ ავტორის დანიელ ჭონქაძის სამშობლოა; მერე ხევს გავყევით და სოფელ

ჯიქურაულთ-კარში ავედით. გამოჩნდა არაგვი. არაგვის მეორე ნაპირას მშვენიერი მოზდენილი სოფელი. **ჩინთი** მდებარეობს. ამ სოფელს ამშვენებს საუცხოო კოშკი, მაღლა, კლდეზე აგებული. ჩინთის შემდეგ არაგვის მარცხენა ნაპირზე გამოჩნდა გზა. აქედან თიონეთამდე მხოლოდ 14 კილომეტრია. ულამ-ხესი ხეობით მივემგზავრებით, ახლა არაგვის მარჯვენა მხრით მივდივართ.

აი, სოფელი **ჟინვანიც**; ეს სოფელი სწორედ იმ ადგილს მდებარეობს, სადაც ფშავისა და ფასანაურის არაგვი ერთდება. ხიდის მახლობლად ცხენიდან ჩამოვხტით და წყაროს წყალი დავლიეთ. შემდეგ ხიდზე გადავედით, არაგვის მეორე მხარეს; ხიდი ახალია. ძველი ხიდის ნაშთებიც აქვია. ჟინვანის ირგვლივ მდებარე მთებზე კოშკთა ნანგრევები მოჩანს. თვით სოფელში, არაგვის ნაპირს, რგვალი კოშკია. აქედან შესანიშნავი გზა იწყება. ფშავის არაგვის მარცხენა ნაპირზე მივდივართ. ლამაზი, ცად აზიდული მთები, ხშირი ტყით დაბურული, ხან სულ ახლოს ესაზღვრება არაგვს, ხან შლია კალთებს და ეფინება ამწვანებულ მინდვრებად, რომლებსაც არაგვი თავისი გამჭვირვალე ტალღებით ელამუნება.

მზემ გააპო ღრუბლები და ანთებული სხივებით გაანათა ტყე, მთები და სწრაფად მავალი არაგვი, გრილი და გიჟმაჟი არაგვი.

ფშავეთზე მივდივართ.

მივდივართ ასეთი წესით: წინ მიგვიძღვის შაქრო, იმის შემდეგ — გურკო-კრიაყინი, და ბოლოს მე. საშინლად გვშია და გვწყურია. ულმობელი შაქრო კატეგორიულად გვეუბნება, რომ შემდეგ წყაროსთან შეიძლება შეჩერება, მანამდე კი ნებას არ გვაძლევს; წყურვილი გვაწუხებს, მაგრამ რა გაეწყობა, მივდივართ. გზას არ უჩანს ბოლო; როგორც იყო, შუადღის ორ საათზე შაქრომ ბილიკის მარჯვნივ გაუხვია და ტყის პირას ჩამოხტა ცხენიდან. ჩვენც მის მაგალითს წავბაძეთ და რას ვხედავთ: მშვენიერი, გამჭვირვალე, ანკარა წყარო!

სწრაფად გადმოვათრიეთ უნაგირებიდან ხურჯინები, ამოვიღეთ უზარმაზარი სასმისი, რომელსაც ხუმრობით „ცისტერნა“ დავარქვით, და დავეწათეთ ამ სუკვდავების წყაროს!

როცა წყურვილი მოვიკალით, ჭამას შევუდექით. დუშეთიდან ნახევარი ფუთი მშვენიერი თონის პური წამოვიღეთ, ტფილისიდან მომარაგებული გვაქვს კალბასი და კონსერვები. გავშალეთ სუფრა ამწვანებულ მთებს შორის, ვსაუზნობთ, ვისვენებთ და ვნებივრობთ! ამინდი ისევ ისეთი კარგია: მოწმენდილი, მზიანი, ცხელი. მხოლოდ მთების გადაღმა ღრუბლების გუნდი გამოჩნდა.

ერთი საათის შემდეგ, როცა კარგად დავისვენეთ, დავნაყრდით და ის-ის იყო დავაპირეთ ცხენებზე შეჯდომა, უცბად წამოვიდა ზაფხულის ხოშორი წვიმა.

ავკიდეთ ცხენებს ხურჯინები და ვარჩიეთ ტყეში თავის შეუარება.

მაგრამ ტყის ხშირფოთლოვანი გუმბათიც კი ვერ გვიფარავდა შხაპუნა წვიმისაგან, რომელიც სულ მოკლე ხანის განმავლობაში ნიაღვრად გადაიქცა.

როცა ვიგრძენით, რომ სისველე ტანში გაგვიჯდა, კვლავ ცხენებს მოვასხდით და გზას გავუდექით. საშველი მაინც არ იყო. ვიწრო ბილიკით მივდიოდით და არაგვზე გადებულ მერყევ ხიდს მივადექით. შაქრო ჩამოვიდა ცხენიდან და დიდი სიფრთხილით გაატარა თავისი ცხენი ამ მოზანზარე ხიდზე. როცა ის გზამშვიდობაზე გავიდა, მერე ჩვენ გავედით რიგ-რიგობით. ამ ხიდის შემდეგ ორჯერ მოგვიხდა პირდაპირ ფონში გასვლა; მერე ბილიკი არაგვის მარცხენა ნაპირას მოექცა, და ასე ტყე-ტყე ვიარეთ, ვიდრე ფშავეთის სოფელ **მალაროს-კარს** არ მივადექით.

ქვის შენობასთან ჩამოვხტით. ამ შენობაში მოთავსებულია სკოლა და საავადმყოფო, აქვე დიდ ოთახში ცხოვრობს ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი ა. ზ. აზაურაშვილი. რის ცდივაგლახით გავიძვრეთ დასველებული ჩექმები, სრულიად გავში-

შვლდით და გამოვიცვალეთ ტანსაცმელი, რომელიც გასაწყური იყო, მერე შევუდექით სველი ტანისამოსის გაშრობას, მაგრამ ამ ოთახიდან მალე აგებარგეს და მეორე ოთახში გადაგვიყვანეს, სრულიად ცარიელ ოთახში, ამბულატორიის მახლობლად. ეს ოთახი უფრო სარდაფს ჰგავდა, ვიდრე საცხოვრებელ ბინას. აქ შევთბით კონიაკით, გავკიდეთ თოჯზე ჩვენი საცვლები და დავნაყრდით. ღია ფანჯრიდან ვუცქეროდით წვიმას, რომელიც ახლა მხოლოდ ცრიდა, თუმცა ცხ უკვე მოწმენდილი იყო და მზე ისევ ქათქათებდა.

სოფელ მალაროს-კარში სულ ოთხი კომლია. ეს სოფელი სოფელ მალაროს უერთდება, სადაც 15-ოდე კომლია. აქედან ორი ხეობა იწყება: გომეწარის, რომელიც ფასანაურამდე მიდის, და შარახევის *), რომლითაც ჩვენ ვიმოგზაურეთ დუშეთიდან. დუშეთიდან მალაროს-კარამდე 32 კილომეტრი იქნება.

მთელი ფშავეთი ორ თემად იყოფა: მალაროს-კარის თემი და შუაფხოსი. აქ, მალაროს-კარში, სწორედ იმ სახლში, სადაც ჩვენ ვართ, იმყოფება ამბულატორია, აქვეა ფერშალი და ბებია ქალი. არსებობს ექიმის შტატიც, მაგრამ არავინ არ კისრულობს ამ მიყრუებულ ადგილას მუშაობს.

ადგილი თვალწარმტაცია, მომხიბლავი, მაგრამ მალარიანი. მასწავლებელი ა. ზ. აზაურაშვილი ლამაზი წარმოსადეგი ვაჟკაცია, მისი ცოლი, ნაცვლიშვილის ქალი, მასთან ერთად უკვე სამი წელია, რაც აქ მუშაობს.

სკოლაში სულ 29 მოწაფე ჰყავთ და სამ სოფელზეა გათვალისწინებული. ბავშვები ძალიან მუყაითად სწავლობენ, ხოლო ყანების საზაფხულო მუშაობა ხელს უშლის ბავშვების მეცადინეობას. ამიტომ სწავლა მხოლოდ ხუთი თვის განმავლობაში წარმოებს.

*) ამ ხეობას არაგვის ხეობა ჰქვია. შარახევის ხეობა თონეთისაკენ მიდის.

ფშაველი ბავშვები ძალიან ნიჭიერები არიან. თითქმის ყოველი მათგანი სკოლაში მისვლამდე უკვე წერაკითხვის მცოდნეა. ანბანს შინ უფროსები ასწავლიან და ნაზშირით ქვებზე აწერინებენ. ფშავეთში 80% წერა-კითხვის მცოდნეა. მაგრამ ზოგიერთი მათგანი განზრახ მალავს თავის ცოდნას.

ფშავთა და ხევსურთა ყოფა-ცხოვრებაში ბევრი რამ არის საერთო. როგორც ფშაველი ქალები, აგრეთვე ხევსური ქალებიც თვიურისა და მშობიარობის დროს „ბოსელში“ იმყოფებიან. როგორც კი მოუვლის მშობიარეს ტკივილები, ის გაყავთ „ბოსელში“ და აქ უნდა იყოს ბავშვთან ერთად თითქმის რეკირის განმავლობაში. ბოსლიდან გამოსვლისას ქალი უნდა გაიბანოს, გაიწმინდოს, და ის თავს იბანს ძროხის შარდით*). ბებიას დახმარებისათვის მხოლოდ მძიმე შემთხვევის დროს თუ მიმართავენ, თუმცა, ამ ბოლო ხანებში, ბებია უკვე ნდობა მოიხვეჭა ფშაველ ქალთა შორის და უფრო ხშირად და ხალისიანად ღებულობენ ბებია ქალის რჩევა-დარიგებას და დახმარებას.

ფშაველებში არ არსებობს არავითარი წოდება, არავითარი თავად-აზნაურობა, რითაც ისინი ძლიერ ამაყობენ. მაგრამ მათ შორის მაინც არ არსებობს სრული თანასწორობა — არის ზოგიერთი დიდად პატივცემული ოჯახი. პატივისცემა ამ ოჯახებისადმი აგებულია რაინდობის კულტზე. მეორე ჯურის საპატიო ოჯახები შეძლებული გლეხობაა. ხევსურებს კი ჰყავთ დასტურები, ჭუცესები და ხევისბერები.

ფშაველი ახალგაზრდა ქალები შესანიშნავი სილამაზის არიან და უკრაინელ ქალებს ჰგვანან.

*) რამდენადაც მე მახსოვს, ფშაველ ქალებთან საუბრის დროს ამგვარი არაფერი უთქვამს. ფშაველი ქალები ნაცარტუტით (ნაცარწმენდლით) იბანენ თავს და არავითარი სავალდებულო კანონი არ არსებობს, მშობიარობის შემდეგ რომ ძროხის მწურით (შარდით) დაიბანონ თავი.

თუ გასათხოვარ ქალს თავისი საქმრო არ მოეწონება, ქალს უფლება აქვს უთხრას უარი. ფშაველ ქალს ქონებრივი უფლებებიც აქვს. ფშაველ ქალს აკრძალული აქვს მიუახლოვდეს წმინდა ადგილებს, სულერთია, ხატი იქნება ეს თუ ეკლესია. მასწავლებლის გადმოცემით, მთავარი დაავადება, რომელიც გავრცელებულია ფშაველეთა შორის, კუჭის ავადმყოფობაა; ვენერიული სნეულებანი აქ თითქმის არ არის, ფშაველებსა და მეზობელ ხევსურთა შორის მტრული განწყობილებაა. ჩვეულებრივად, ხევსურები არბევენ ფშაველთა მოსახლეობას, ცარცვავენ და მიჰყავთ მთებში მაფი საქონელი.

◆◆◆◆◆
წვიმამ გადაიღო. საცვლები გაშრა. გადავწყვიტეთ შუაფხოში წასვლა. ყოველ შემთხვევაში, ხომამდე მაინც ავალთ. აქედან შუაფხომდე 25 კილომეტრია, ხომამდე კი თხუთმეტი.

6 $\frac{1}{2}$ ს. იყო, როცა გამოვეთხოვეთ ჩვენს მასპინძლებს.

გომეწარის ხეობით მივდივართ *). ვიწრო ბილიკი მდინარის მარჯვენა მხრით მოიკლავნება. გადავედით ჩარგალის მერყევ ხიდზე და შევუდექით ჩარგალის ხეობას. ვიწრო ბილიკი კლდიან ღრეზე აღის. ასალამურდა. მოქანცული ცხენები, არაქათგამოლეულნი, ისე ყოჩაღად ველარ მიდიან, როგორც მალაროსკარამდე. სწორედ იქ, სადაც ბილიკმა კლდეზე გადაუხვია, ჩვენ კინალამ უბედურება შეგვემთხვა: კლდიან აღმართზე შაქროს ცხენს ფეხი დაუცდა და წაიქცა. შაქრო არ დაიბნა და ცხენი ფეხზე წამოაყენა, თუმცა თვითონ არ გადმომხტარა უნაგირიდან, მაგრამ ცხენი როცა წამოდგა, ხელმეორედ წაიბორძიკა და ახლა ნაპრალის მხრივ გადავარდა. საშინელი წუთი იყო. თითქმის 30 საჟენის სიმაღლიდან, კლდიდან მდინარეში გადავარდნა არც თუ სახარბიელოა! იღბლად, იმ ადგილს, სადაც

*) გომეწარის ხეობით ფასანაურს მიდიან. გ. დემიდოვი, ალბათ, გომეწარულის რიყეზე გადავიდა და არაგვის ხეობით იმგზავრა შუაფხომდე.

ცხენი დაეცა, ჯაგები იყო, შაქრო დაეჭიდა ამ ბუწქნარს, და ასე გადარჩენ სიკვდილს ჩვენი მეგზური და მისი ცხენი.

შემდეგ ბილიკი წიფლის ტყეში მიიშალა.

უეცრად წამოგვეწია მილიციელი. დავუწყეთ გამოკითხვა, ვინ არის და საით მიდის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უარი განვაცხადეთ მხლებელ მცველზე, დუშეთიდან „ყოველი შე-
მთხვევისათვის“ მაინც გამოუგზავნიათ ეს მილიციელი.

მილიციელი ახალგაზრდა, მხიარული ფშაველი იყო. ქართულად ვლაპარაკობთ.

შაქრო დარწმუნებული იყო, რომ მე და ჩემმა ამხანაგმა არ ვიცოდით ქართული ენა, და ახლა განცვიფრებისაგან კინალამ ცხენიდან გადმოვარდა. შაქრო მოგვიახლოვდა, ჩაება ჩვენს ლაპარაკში და გაიმართა მეგობრული ქართული მასლაათი.

მალე სოფელი ინო გამოჩნდა; ამ სოფლის მახლობლად მეთექვსმე წყალია. ცოტა მოშორებით მთაზე მიმოზნეული შვიდიოდნე კომლი მოსახლეა. გავიარეთ ზომის ძირზე. პირდაპირ სოფელი აფშოა, 28 კომლი.

სალამოს 9 საათი იყო, რომ დუქანს მივუახლოვდით. დუქანის პატრონი ყოჩალი, ჯან-ღონით სავსე, დაახლოებით 56 წლის ფშაველია. ორი ცოლის პატრონია.

აქედან 1 $\frac{1}{2}$ კილომეტრის მანძილზე სოფელი ხომი მდებარეობს. ამ სოფელში 30-მდე კომლია. ჩვენ მოვეწყვეთ დუქანის გვერდით დაბალ, გაჭვარტლულ ოთახში. ვიდრე წიწილები შეიწვებოდა და მალაროს-კარიდან წამოღებული სველი საცვლები გაშრებოდა, შედუქნე, მე, ჩემი ამხანაგი, შაქრო და მილიციელი საუბრით ვერთობოდით.

ფშაველების რაოდენობა დაახლოებით 2.000 უდრის. სტატისტიკური აღრიცხვა ფშაველებისა 1926 წ. დეკემბერში ყოფილა, ხოლო ხევსურეთში 1927 წელს.

ლამის 10 საათზე წიწილები მოგვართვეს. სუფრა უბრალოდ იყო გაშლილი. წიწილების დაჭრილი ხორცი დიდ ჯამში ელაგა, მაგიდაზე ეწყო პური, ღვინო და ორი ჭიქა. ეს იყო და ეს.

მაგიდას შემოკუსხედით მე, ჩემი ამბანაგი, შაქრო და მილი-
ციელი. დალილებს და ნამგზარებს ყველაფერი — წიწილე-
ბი, ჰური, და ღვინო — არაჩვეულებრივ გემრიელად გვჩვენე-
ბოდა. ამოვიღეთ ჩვენი ჭიქები, ასე რომ ყველას საკუთარი სა-
სმისი გვქონდა. ჭიქებს ვავსებდით და, მოკლე სადღეგრძელოების
შემდეგ, სულ ვცლიდით მალე ჩვენს მაგიდას მედუქნე და მე-
ორე ფშაველიც შემოუერთდენ. ადათის მიხედვით, იმათი ჭიქე-
ბიც გაივსო. დიდი სიღინჯით, დარბაისლურ და აიღეს ჭიქები
ხელში და, გრძნობიერი სიტყვის შემდეგ, ჩვენი სადღეგრძელო
დაიღეს. ნავახშმევს განიერ ტახტზე მივიძინეთ.



დილის ხუთი საათი იქნებოდა, რომ წამოვიშალეთ. პირი
წყაროზე დავიბანეთ. რა წყაროებია, რა წყაროები! დუქნას მახ-
ლობლად წყლის ჩუხჩუხი მომესმა. კუთხის უკან, იქავე, რკი-
ხის მილიდან მოჩქეფდა ანკარა წყალი. ირგვლივ მთებია, უტე-
ხი ტყე, და წინ გვიძევს ხევსურეთის გზა, გზა ვიწრო ბილიკე-
ბით მამავალი, წყლის პირად, ხეობაში, ყრუ და მიუვალ ადგი-
ლებში!

რვას თხუთმეტი წუთი იყო, ადგილიდან რომ დავიძვრით.
ახ, რა კარგია ამ ბუნების წიაღში!

ორი საათის განმავლობაში სულ ვიწრო დეღესზე მოგვიხდა
ხიარული. ორჯერ გადავიარეთ არაგვის ფონი, მერე ისევ ვიწ-
რო, სიტრიფანა, მერყევ ხიდზე მოგვიხდა გადასვლა არაგვის
მარჯვენა მხარეზე, შემდეგ კი ქვიანი ალმაცერი ბილიკით მი-
ვდიოდით.

ირგვლივ დაბურული მიყრუებული ტყეა. ერთი სულიც არ
შეგვხვედრია იმის შემდეგ, რაც დუქნას გამოვსცილდით. ტყე-
ში წიფლის და ნეკერჩხლის მალალი ხეებია. ერთადერთი
ფრინველი, რომელიც გზაში შევამჩნიეთ, ძერა იყო.

ხომისა და შუაფხოს შუაგზაზე ორწყალბა. ამ ადგილას
ერთდება ხევსურეთიდან მონათიხის არაგვი და ფშავის არაგვი.

ადგილი დიდ შთბეჭდილებას ახდენს თავისი ველური, პირველ-
ყოფილი სახით. მთის ნაპრალები აქ ერთმანეთს უახლოვდება,
და ხეობა ვიწრო და ღრმა ღელედ იქცევა, საიდანაც აზვირთე-
ბული ტალღები ისვრიან თეთრ ქაფს და წვრილ წინწყლებს.
მთელი მიდამო დაბურულია ტყით და ნისლით. აქვეა ხიდი და
ყოფილი ყაზარმის ნანგრევები, სადაც ძველად სამხედრო სადა-
რაჯო ყოფილა.

გავყევით მდინარის ნაპირს. მალეა მთაზე ვხედავთ ხევსუ-
რების სოფელს, მოწმავს, სულ ოთხიოდე კომლია *). ამ სოფელ-
ში ბინადრობს არაბულთა გვარი. არაბულები აგრეთვე ცხოვ-
რობენ სოფ. ღათვისში, სახილეთავში, გველეთში და აქეში.
მოწმავს მახლობლად ლიკოკელების საგვარეულო ადგილია.

ამინდი თანდათან ფუჭდება. შუაფხომდე ხუთი კილომეტ-
რის მანძილზე ვიყავით, როდესაც წამოწინწყლა. ნაბიჯს მოვუ-
მატეთ და მერე ჩორთით შეფედით შუაფხოში.

შუაფხოში 28 კომლი **) იქნება. გავჩერდით თემალმასკომის
სამართველოს ბინაზე. გვერდით — სკოლის ორი ოთახია. აივა-
ნი საერთო აქვს სკოლასა და სამართველოს. პირველ ოთახში,
სადაც მეცადინეობა წარმოებს, საშინელი სიბინძურეა. ოთახი
ბნელია, პატარა, სიგრძით ექვსი ნაბიჯი და სიგანით ხუთი იქნე-
ბა. ამ ოთახში 27 მოწაფე მეცადინეობს. სკამები არ აქვთ. პირ-
დაპირ იატაკზე გაწყობილია ფიცრები, ამ ფიცრებზე სხედან
ბავშვები. მეორე ოთახი დიდია, სუფთა და ნათელი. ჩვენს
შეკითხვებზე, რატომ მეორე ოთახში არ მეცადინეობენ ბავ-
შვები, გვიპასუხეს, რომ ამაზე უარე განაცხადეს მოწაფეებმა:
ოთახი წაბილწულად მიაჩნიათ, ვინაიდან იქ ცხოვრობდა
თვიურის დროს მასწავლებლის ცოლი, ხევსურის ქალი.

საზიზღარი ამინდია. სამი დღის განმავლობაში განუწყვეტ-
ლივ წვიმს. ცა დაბურულია შავი ღრუბლებით. არაგვი აქ სულ

*) სოფელი მოწმავს საკმარისად დიდი სოფელია და ოციოდე კომლი
მანც იქნება.

**) შუაფხოში თვრამეტი კომლია.

ვიწროა, 6 — 8 მეტრი იქნება *), მაგრამ ძალიან ჩქარია და შლვრიე. მთების მწვერვალებს თეთრი ღრუბლის რიდეები ჰხურავს. თემალმასკომის ბნელი და ჭუჭყიანი სამართველოდან ფშაველ მუშფაკელ ელიზბარის სუფთა ქოხში გადავედით. ჩვენი მასპინძელი ახალგაზრდა, სიმპატიური კაცია, ცოტა ავადმყოფური იერი დაჰკრავს, ცხოვრობს დედასთან ერთად. ისიც სანდომიანი მოხუცია. დაბალ ქოხს ერთი პატარა ფანჯარა აქვს და ვიწრო ცალფა კარი. იატაკი მიწურაა, სუფთად გამოხვეტილი. სახურავი ბოძებს უჭირავს; ერთი კედლის სიგრძით განიერი ტახტია, ფშავური ძველი ფარდაებით დაფარული.

ისევ წვიმს. ვბრაზობ. სრული ერთი წელიწადი ვულოლიავებდი იმ აზრს, რომ ვინახულებდი ამ კუთხეს; ახლა კი ვზივართ ქოხში, ამინდის მოლოდინში, და არ ვიცი, ბოლოს გამოიდარებს თუ არა, რომ განვაგრძო ჩემი მოგზაურობა!

შაქრო სადღაც გადაიკარგა. ჩემი ამხანაგი მიდის მისაძებნელად. მე გავეზვიე რბილ ქსოვილში და ჩავიძინე. ძილში მესმის, რომ სახლში წიწილები შემოვიდნენ, რომ დიასახლისი ფრთხილად ერეკება, ეშინია არ გამომაღვიძოს. როცა ავდექი და ნამძინარევი გავედი ოთახიდან, წვიმას უკვე გადაელო. ძალიან ლამაზია აქაურობა. მთები შემოსილია ხშირი, უტეხი ტყით, დაფენილია ამწვანებული ყანებით. ერთი მოხუცი, 72 წლის ფშაველი, მომიჯდა გვერდით. ძალიან მეტყველი, ცოცხალი თვალები აქვს. მიამბობს თავის ჭირ-ვარამზე. სრულიად კენტი კაცია. ცოლ-შვილი ამოუწყდა. თვითონ მოხუცი, არავისათვის არ არის საჭირო. მხოლოდ ჩვენს დიასახლისს ებრალება და ის უწევს პატრონობას. პატარა ქვაბი აქვს მოტანილი, შიგ წყალში გახსნილია ფქვილი და რაღაც მუქი ნაჭრებია ჩა-

*) პირიქით, აქ არაგვი გაშლილად და ფართედ მიმდინარეობს და დიდი რიყე უჭირავს.

ჭრილი. ჩვენი დიასახლისი დაჰპირებია მოხარშვას. ვიკითხებო
მოხუცს, ყოფილა თუ არა ტფილისში.

— ვყოფილვარ, როგორ არა, როდესაც სრულიად ახალ
გაზრდა, ჯანით სავსე ვიყავი. ასე 50 წლის წინათ.

— ხევსურეთში?

— არა, ხევსურეთში არ ვყოფილვარ. რა მინდა ხევსურეთ-
ში. საშინელი გზებია ხევსურეთში... არა, ხევსურეთში არა-
სოდეს არ ვყოფილვარ, — მეუბნება მოხუცი.

მივდივარ ჩემი ამხანაგის საძებნელად. ვხედავ — ახალგა-
ზრდა ხევსურს ემუსაიფება. თურმე ეს ვაჟკაცი ერთადერთი
სტუდენტია ხევსურეთიდან. გავეცანი. მისი გვარი ბალიატრაა.
საშუალო ტანისაა, მხარბეჭიანი, შავგვრემანი, თმა მოკლედ აქვს
შეკრეჭილი, პატარა შავი მოხდენილი უღვაშები და პირწმინ-
დად გაპარსული სახე, იშვიათი სახე. განსაკუთრებულ ყურად-
ღებას იქცევს მისი ლამაზი რუხი თვალები, სწორე სოთი ცხვი-
რი და მოგრძო ყურები. იერი — არაჩვეულებრივად სიმპატი-
ური. ქალაქურად აცვია. გრძელი რუხი ხალათი, ქართული ვიწ-
რო ქამარი, სწორე შარვალი და ფეხებზე კი ჩუსტები. გვი-
ამბობს ხევსურულ ადათებსა და დღესასწაულებზე. ხევსურებს
კვირაში ოთხ დღეს უქმობენ: კვირას, ორშაბათს, პარასკევს და
შაბათს*). მთავარი დღესასწაული ათენგენობაა, — თიბვის წი-
ნათ უქმობენ. გარდა ამ დღესასწაულისა, იციან ხატის დღეს
სასწაულები ადგილობრივად, ხაზმატის ხატში, გუდნის ჯარ-
ში და სხვ. ხევსურები, გარდა კერპთაყვანისმცემლური დღეს-
ასწაულებისა. მისდევენ კიდევ ქრისტიანულ დღესასწაულებს
მაგ. შობა. საღმთოს დაკვლის შემდეგ ხუცესა დაკლულის სას-

*) პირიქითა ხევსურეთში. არხოტში სამ დღეს უქმობენ, ისიც თიბვა-
მკის დროს: პარასკევს, შაბათს და კვირას. პირაქეთა ხეისურეთში კი უქმო-
ბენ შაბათს, კვირას და ორშაბათს. დანარჩენ დროს მხოლოდ კვირაობით
უქმობენ.

ხლით სახავს ჯვარს შემწირავის შუბლზე. ამ წესს „სანათლაღი“ ეწოდება *).

როგორც იყო მოვიდა შაქრო. ვეკითხებოდ თ, სად და იკარგა ამდენ ხანს. შაქრო კმაყოფილია. შემოგვცნა. თავისი მეგობრები უნახავს. საკვირველია, ამ კაცს ყველგან მეგობრები ჰყავს, ყველას ეს იცნობა და ყველა ამას იცნობს. ვებეწებით, დაუყოვნებლივ გვწოვოს ცხენები და გაუდგეთ გზას. თხუთმეტი წუთი აკლდა სამ საათს. შუაფხოდან რომ გამოვედით. ჯერ არაგვის ქვიან რიყეზე მივდიოდით, ხან აქეთ ხან იქით, თითქმის ოთხჯერ ფონს გავედით, მერე არაგვის მარჯვენა ნაპირზე მოვექეციით და შევუდექით ვიწრო საცალფეხო ბილიკს. ცალ მხარეზე სალი კლდეებია, მეორე მხარეზე — საშინელი უფსკრული, რომლის ფსკერზე მიიკლაკნება არაგვი. მგზავრი რომ შემოგვხვდეს. გზას ვერ ავუქცევთ. ჩვენი ცხენები დიდი საფრთხილით აბიჯებენ; ხანდახან ჩერდებიან, ყნოსავენ მიწას და შემდეგ ფრთხილად განაგრძნობენ სვლას.

აქ, საფრთხის წინაშე მდგარი, ცხენი და ცხენოსანი ერთ მთლიან არსებას წარმოადგენენ, ერთმანეთის განაბული. სუნთქვა ესმით და რაღაც მარადიული ინსტინქტით ეთვისებენ ერთმანეთს, ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი — და ცხენი მგზავრიანად უნდა გადაეშვას კლდეზე და უფსკრულში ჩავარდეს. შაქრო, ალბათ ნუგეშის მოსაცემად, გვიამბობს, რომ ამასწინათ

*) ხევსურეთში, როცა ვაუი იბადება, მშობლები „მიბარებენ“ რომელიმე ხატს (ხევსურულად „ჯვართ“). ამის შემდეგ „მიბარებული“ ვალდებულია წელიწადში ერთხელ გაინათლოს. განათვა ასეთი წესით ხდება: ყოველწლიურად იმ ხატს რომელსაც მიბარეს, უნდა დაუკლან „სანათლაღი“. შეიძლება ხბო იყოს ან ბატკანი, ცხვარი, დაკვლის შემდეგ სისხლს წასცხებენ შუბლზე, ხელეზე და მუხლებზე. ამის შემდეგ „განათლული“ ითვლება სხვადასხვა უწმინდურებისაგან განთავისუფლებულად. ხევსურეთში უწმინდურებად ითვლება, თუ კაცმა შემთხვევით გაიარა ქალური ავადმყოფობით დაავადებულ ქალთან, ან იმ ადგილზე გაიარა, სადაც „სამრევლოა“, ან მიცვალებულს შეეხო, ან ცხენს, რომელმაც კვიცი მოიგო და სხვა.

მთარგ. შენიშვნა.

აქედან გადავარდა ერთი ფშაველი ცხენოსანი და, რასაკვირ-
ველია, დაიღუპა. მშვენიერი სანახაობა იშლება ჩვენ თვალ-
წინა. მარცხენა მხარე უკანა ფშავის ხეობისა დაბურულია მწვე-
ნე ტყით. ჩვენ მარჯვენა მხრით მივდივართ. რამდენადაც წინ
მივდივართ, იმდენად ჩვენს ირგვლივ იშლება განაპირად მდე-
ბარე ღელეები, მოჩუხჩუხე ანკარა ნაკადულები, არაგვისი შემე-
ვალი წყაროები. ჩვენს ყურადღებას იპყრობს პატარა ტბა —
„ზარის ჭალა“, არაგვის წყლის ნაგუბარი *). ამ წყალზე ფშა-
ველი ბიჭები მიაბობებენ. ეს ის ბიჭები არიან, რომელნიც
ჩვენთან ერთად ფეხდაფეხ წამოვიდნენ შუაფხოდან. ბავშვები
ოდნავ მოჩანან. ეს იმის ნიშანია, თუ რამდენად მაღლა ვართ
ასული. სულ ზევით-ზევით მივდივართ. ცხენები მოიქანცნენ.
ეტყობათ, რომ უჩვეულო გზით სიარულია მათ აშინებთ. რო-
გორც იყო, თავდაღმართს დავადექით, და ისევ არაგვის ნაპირ-
ზე ვართ, იმ ადგილას, სადაც ცელქი მათურას ტალღები უერთ-
დება არაგვის მღვრიე წყალს. გადავედით ხიდზე და მათურის
ხეობაზე მივდივართ. რამოდენიმეჯერ მოგვიხდა ხიდებზე გა-
დასვლა. აქაური ხიდები უბრალოდ გადებული ორიოდე მო-
ჭრილი ზეა, რომელიც ყოველი ფეხის გადადგმაზე ზანზარებს.
ხიდქვეშ კი აბობოქრებული და აქაფებული ტალღები უზარმა-
ზარ ლოდებს მიაგორებენ.

მათურის ხეობა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ტყითაა და-
ფარული, აქ შეხვდებით არყის ხეს, ნეკერჩხალს, რცხილას, წი-
ფელას, ცაცხვს, თხილის ბუჩქებს და ონტკოფას. მწვანე ხას-
ხასა ბალახში წითლად ღვივის ტყის მარწყვი.

ფრინველები ნაკლებად არიან. მაღლა, სულ მაღლა არწივი
ლივლივებს, ღელეზე მერცხლები დაფრინავენ, ქვებზე მათუ-

*) არაგვითარი ტბა „ზარის ჭალა“ არ არსებობს. ეს შემთხვევით მთი-
დან ჩამოსულმა მიწის ზვავმა შეაგუბა არაგვის ნაწილი, რომელიც ახლა
ჩვეულებრივად მიმდინარეობს. იმ ადგილის მახლობლად პატარა ჭალას
წოდება „ზარის ჭალა“.

რას ღრიალა ტალღებს შორის ბოლოქანქარა წამოსკუ-
პულა.

ბილიკი თანდათან მთისკენ უხვევს. სოფელ მათურის მახ-
ლობლად ხუთი ხზო შემოგვხვდა. ერთად მოეყარათ თავი და



განცვიფრებული გვათვალიერებდენ. როცა დავშორდით, და-
გვედევნენ. ზოგი მათგანი დაწინაურდა, გველოდენ, ვიდრე არ
წამოვეწეოდით და ბავშვური განცვიფრებით სავსე თვალებს
არ გვაშორებდენ. თითქმის სოფლამდე ასე მოგვდევდენ.

15 წუთი აკლდა 5 საათს, როდესაც სოფელ მათურაში მი-
ვედით. შუაფხობიდან მათურამდე 10 კილომეტრია. სრული სა-

მი საათი მოვუნდით გზას. სოფელი აქეთ-იქით ორივე ფერდობზეა გაშენებული. შუაში მათუტრა ჩაუდის. მოსახლეობა 20 კომლამდე იქნება. სოფელს სიცოცხლის ნიშნები არ ეტყობოდა: სრული სიჩუმეა. შაქრომ პირზე ხელი მაიდო და როგორც საყვირში, ხმას აწვდენს სოფლელებს.

არავინ არ ჩანს.

— ეძინათ, შორიდან გვათვალისწიებენ, — გვისსწის შაქრო და ხელმეორედ იძახის თავისი ხელოვნური საყვირით. როგორც იყო, შევნიშნეთ, რომ მალლა, ბანზე ვიღაცა ჩუმად გვზვერავდა და ხმას არ იღებდა. მერე იმის გვერდზე მეორე აიტუზა. ისიც დაკვირვებით გვათვალისწიებს. ეტყობა ამ ადგილებში სამი ცხენოსნის ერთად მოსვლა ჩვეულებრივი მოვლენა არ არის. ხანგრძლივი დაზვერვის შემდეგ, როგორც იყო, იკადრა და ჩამოვიდა ჩვენთან ყარაჩივით შავი, თმებით შეგანგლული ფშაველი.

შაქრომ მოკლედ და მარტივად აუხსნა საქმის ვითარება; რომ ჩვენ მივდივართ ხევსურეთში, რომ გვესაჭიროება ამაღამ ღამის გათევა, ხოლო დილით კი ცხენები, რომ ამაღამ მის სახლში დავიძინებთ და იმან ჩვენს ცხენებს უნდა უპატრონოს.

ვიტრე ფშაველი ან უარს ან თანხმობას განაცხადებდა, შაქრომ მოულოდნელად ნიკაპზე ხელი გაუცაცუნა და მოუაღერსა; ამით ანიშნა, რომ ლაპარაკი ზედმეტია და შაქრო არცერთ წუთს არ არის დაეჭვებული, რომ ფშაველი თავის მოვალეობას პირნათლად შეასრულებს და გაუშასპინძლდება მოსულ სტუმრებს.

ჩვენ ვაკვირდებოდით ფშაველს, რომელიც ჯერ, ცოტა არ იყოს, დაიბნა ასეთი მოპყრობით, ხოლო მერე თანდათან სახე გაუუნათლდა და მოითაფლა შაქროს ასეთი ინტიმური განწყობილებით.

გზავრობა ღროს შაქრო პირდაპირ დაუფასებელი აღამიანია ასეთ შემთხვევაში. შაქრომ უკვე გადასცა ფშაველს ჩვენი ცხენების აღვირები და მისცა რჩევა, თუ სად უფრო უმ-

ჯობესია ცხენების საბალახოდ გარეკვა, ჩვენ კი ფშაველის ბინაზე წაგვიყვანა; თითქმის ხუთი წუთი დაგვიჭირდა, ვიდრე ავბობლდით მთაზე და ფშაველის სადგომს მივალწეთ. უბადრუკი, მიწური, ბნელი და ბინძური სადგომია. ოთახს მთელ სიგრძეზე ფარდაგადაფარებული ტახტია. კუთხეში გორად დაყრილი ტყაპუჭებია.

სახლის წინ დახურული აივანია, აივნის კუთხეში კერაა. ჩვენ ვუცქერდით იმ ბილიკს, რომელმაც აქ მოგვიყვანა; ეს ბილიკი ერთი მხრივ ქვევით მიდის, შუაფხოს ზეობისაკენ, მეორე მხრივ — მალლა, მათურის უღელტეხილზე, საითაც დილით გზა გვიძევს. ბილიკის ქვემოთ მოჩანს ვიწრო, ვიწრო ხევში მიმავალი მათურა. მდინარის მეორე მხარეზე მშვენიერი საძოვარი ადგილებია. იქვე, თითქოს განზრახ, მიმოფანტულია ფშაველების ბანიანი სახლები.

მათურა ფშაველების უკანასკნელი სოფელია. შემდეგ უღელტეხილს რომ გავსცდებით, ხევსურეთი დაიწყება.

ანთებულ კერის წინ მოუკალათებია ფშაველ ქალს ბავშვებით. ერთი მათგანი ორი წლის ბიჭია, მეორე — ოთხი წლის, ქერა, ცისფერთვალა გოგონაა. ფშაველ ქალს ძალიან სანდომიანი და მიმზიდველი სახე აქვს, ღიმილი უთამაშებს ტუჩებზე. გარეგნობით ორმოცი წლისა იქნება. ბავშვებს ალერსიანად ეპყრობა. მე მათი დედა მეგონა. გამოვლაპარაკე. განიცინა, ქათქ თა კბილები შემომანათა.

არა, ეს ქალი დედა არ არის! ეს ბავშვები მისი ქალის შვილები არიან. მათი დედა საქონელს გაჰყვა მთებში. თვითონ ბებიაა და უკვე 60 წელი შეუსრულდა.

ძნელი დასაჯერებელია! მაგრამ ქალი არ ხუმრობს. სხვებიც უმოწმებენ მისი ნათქვამის სინამდვილეს. ამის შემდეგ განა შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ სამხრეთის ქალები უფრო ადრე ჰკნებიან, ვიდრე ჩრდილოეთის ქალები?!

ამავე სოფელში, გაღმა მხარეს, თურმე ცხოვრობს 127 წლის ფშაველი მოხუცი, საკმაოდ თავშენახული, მხნე და ლონიერა. 40 წლის ქალი შეურთავს ცოლად, ახლა ათი წლის ვაჟი ჰყავს. ეს ფშაველი ქათარ ქასტაურია.

ბინდდება. მთის ჰაერი თანდათან ცივდება; ჩვენც ცეცხლს შემოვუსხედით. ვიწრობთ ფეხსაცმელს და თან ცეცხლს ვეფიცხებით. ბავშვები დარცხვენით ქვეშ-ქვეშ გამოიყურებიან და თვალს არ გვაშორებენ. კამფეტების წყალობით პატარა გოგონასთან მალე კეთილი განწყობილება დავამყარე და გამოველაპარაკე, ხოლო მისმა ძმამ, როგორც კი დაველაპარაკე, სამარცხინოდ შორთო ღრიალი. მე დიდი სიამოვნებით ვადევნებ თვალყურს, თუ როგორ ეპყრობა შვილისშვილებს მათი, გარეგნობით ახალგაზრდა, დიდება. მიუხედავად საშინელი სიცივისა, ბებია და შვილიშვილები მაინც ფეხშიშველნი არიან.

მოვიდა მასპინძლის უმცროსი ძმა, მამუკა. ჩვიდმეტი წლის ჭაბუკია; პირდაპირ ცივ და ნესტიან მიწაზე წამოწვა. მერე დინჯად ამოიღო ჯიბიდან გაზეთის ნახევი, თამბაქოს ქისა, და გაახვია ქალაღში თამბაქო; მერე მეორე ჯიბიდან ამოიღო ტალკვესი, დაადო აბედი, ჩამოკრა და ანთებული აბედით მოუკიდა თამბაქოს. მეც მოვისურვე ამრიგად ნაპერწკალის მიღება. გამოვართვი ყველა ხელსაწყო მამუკას, მოვიმსრჯვე ყოველივე ხელში, ისე, როგორც მამუკა ჩადიოდა, მაგრამ ამაოდ: ნაპერწკალი მხოლოდ მეხუთე, მეექვსე გაკვრის შემდეგ ძლივსა ჩნდება და ისიც შორს სადღაც მიდის და აბედს სრულიად არა ხვდება.

ჩემი ამხანაგი დამცინის, რომ ასე უხეშად ვმოქმედობ, დამცინის, რომ შე, მოქალაქემ, დავკარგე პირველყოფილი ინსტინქტი, და მართმევს ხელიდან ყოველივე ხელსაწყოს.

— აი, როგორ უნდა, აი ასე უნდა! — თავმომწონედ და სრული რწმენით, რომ მაშინვე ნაპერწკალს გააყრევინებს, კვესავს ჩემი ამხანაგი. მაგრამ იმასაც ზგივე მარცხი მოსდის. ერთ-

ხელ ჩამოკრა ტალკვესი, მეორედ, მესამედ... ამაოდ: არავითარი ნაპერწკალის ნასახი.

მამუკა და შაქრო იცინიან.

ამ დაცინვით გაღიზიანებულნი ერთმანეთს აღარ ვაცლით და ხელიდან ვართმევთ ტალკვესს. რაც უფრო გულმოდგინედ ვაჩხაკუნებთ, იმდენად უფრო შორს მიდის ნაპერწკალი და აბედს არ ეკიდება. ძალაუნებურად ვეთანხმებით, რომ ამ შემთხვევაში უფიცები ვართ, და ვთხოვ მამუკას ამიხსნას, თუ რაშია საიდუმლოება. ჭაბუკმა პირველი ჩამოკვრითვე მოუკიდა აბედს ცეცხლი და თავმომწონედ გაიღიმა.

ჩვენ, ქალაქელები, დარცხვენილნი დავრჩით.

მართალია, ჩვენ დავკარგეთ პირველყოფილი ინსტინქტი — ვეთანხმები ჩემს ამხანაგს. აი, ჩემს თვალწინ პერანგის ამარა გაშლართულა ცივ და ნესტიან მიწაზე მამუკა და არაფრის არ ეშინია! აბა, მე ვცადო ასე დაწოლა, — თუ ფილტვების ანთება არა, სურდო ზომ აუცილებლად შეეხვდება!

ეს მამაცი არხეინად ცხოვრობს თავისი მიუვალ მთებში, მზის ამოსვლისას ადგება და ჩასვლისას იძინებს, არასოდეს არ იგემებს ტიფის ბაცილებით გაჟღენთილ ნევის წყალს და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე სვამს მთის ანკარა წყაროს წყალს, სუნთქავს წმინდა სუფთა ჰაერს, რომელიც ჯერ არ არის მოწამლული ქარხნის ბოლით და ზღამიანების ანაორთქლით, არასოდეს არ იგემებს დახუთული, მტვრიანი სამართველოების ჰაერს და წელმოხრილი არ ჩასცქერის დახავსებულ ქალღმერთს! მსუბუქი ნაბიჯით დაივლის მამუკა მთების მწვერვალებს, მარტოღმარტო ინადირებს ფოცხვერზე დაულაღვად, არც გულისცემა, არც გულის ფრიალი, მიმინოსებური ხედვით დახვერავს ცაში მონადირე არწივს, და იცხოვრებს ასე 130 წლამდე ჯანსაღი და გულმაგარი და არასოდეს არ იგემებს ასპირინს, არ გამოცდის კბილის ტკივილს და არაფერი არ ეცოდინება გულისა და სისხლის მიღების დაავადებაზე!

წიწილები უკვე შეგვიწვეს, შევდივართ სახლში და სან-
თლის შუქზე ვვახშობთ... აქვე ტახტის კუთხეში ახალგაზრდა
ბებია აწვენს ბავშვებს დასაძინებლად. ისე, როგორც იყვნენ
დღისით. გაუხდელად მიაწვინა ბავშვები ჭუჭყიან ტყაპუჭზე.
სანთლის შუქი, უცხო ხალხის ყოფნა ქოხში, რომელნიც სა-
კმელს შემოსხდომოდენ და უცხო ენაზე საუბრობდენ, ძილს
უფროთხობდა, პატარებს; ბავშვები თავს ყოფდენ ლოგინიდან.
გვზვერავდენ და ცელქობდენ. მერე სულ გამოძვრენ ლოგინი-
დან და ტყავეულობის ხროვაზე დაიწყეს ყირამალა კოტრიალი.
განსაცვიფრებელია ამ ღარიბ და უმწეო ოჯახში ბავშვის
უდარდელი, მოკესკისე სიცოცხლის მოსმენა! შაქარი შევთავაზეთ.
ახრამუნებდენ, თითო ნაჭერი აღეს, დანარჩენი ბებიას მისცეს
შესანახავად. იზანაც გაახვია ქალღმერთი და შეინახა. შაქრო
გვიხსნის, რომ შაქარი აქ უცხო ხელია. შაქარი წამლად მი-
აჩნიათ და მხოლოდ ავადმყოფისათვის ემეტებათ.

ოგორც იყო, ბავშვებმა ჩაძინეს.

ტახტის მეორე კუთხეში ტფილისიდან წამოღებულ ქეჩას
ვიშლით და ვწვებით. მაგრამ მე დ სახურავი არაფერი გამა-
ჩნია: ჩემი პალტო ჯერ კიდევ სველია და გარეთ კიდია თოკზე
გასაშრობად. ჩემს ამხანაგს სურს თავისი პალტოს დათმობა.
მაგრამ მე უარს ვეუბნები: გინდა ის გაცივებულია და გინდა
მე. არც იმას აქვს სხვა რამე დასახურავი.

კარი მთლად ღიაა. ღამის ცივი ჰაერი თავსუფლად დაგი-
გინებს, და სიცივისაგან თავიდან ფეხაღდე მაკანკალებს.
ვგრძნობ, რომ ტანში მაყრიალებს. კარის დახურვა კი შეუ-
ძლებელია, ვინაიდან ჩვენთან ერთად ტახტის ერთ კუთხეში
ორ ქალს სძინავს.

რა გაეწყობა, უნდა დავემორჩილოთ ამ თავისებურ წარ-
მოდგენას ზრდილობაზე, ისე მოვიქცეთ, როგორც მიღებუ-
ლია ამ ღარიბ ქვეყანაში. სიცივისაგან ვერ დავიძინე ვდგებ
გავდივარ გარეთ. მთვარე ქათქათებს და ანათებს ჯადოსნური

სილაშახის მთებს. მთელი შაჰურის ხეობა თეთრ ნისლშია გახვეული.

შაქრო აივანზეა მოწყობილი. ჩემს გასვლაზე ილიძეს მებრუნებს ისევ ქოხში, თავის საბანს მხურავს და, მზრუ ვეღო ხელით შეფუთულს, წაღე შეკიდება ძილი.

დილის ექვს საათზე წამოვიშალეთ დაფლეთილი თეთრი ღრუბლები დაძრწიან ხეობის მიდამოებში და მალავენ მთებზე მშვერვალებს.

დილის საუზმის შემდეგ გამოიქცა, რომ შეკვეთილი სამი ცხენის ნაცვლად მხოლოდ ერთი მოგვიყვანეს.

ჩვენს გულსწყრომას საზღვარი არა აქვს. ვნერვიულობთ. ვჩხუბობთ, ვილანძლებით; შაქროს განცხდებით, დუშეთიდან წამოყვანილი ცხენებით შეუძლებელია მოგზაურობა; წინ გვიძევს ისეთი უღელტეხილი, რომლის გადალახვა მხოლოდ დასვენებულ და მთებში სარულს შეჩვეულ ცხენებს შეუძლიათ. ის ცხენები კი, რომელნიც აქამდე გვემსახურებოდნენ. იმ მილიციელს უნდა წაეყვანა, რომელიც ხომში ჩაიფიცრა და ახლა ჩვენს წინაშე იდგა.

ჩვენს ირგვლივ საკმაოდ ბლომად მოგროვდა ხალხი. ქვიდა ჩვენი მასპინძელი, რომელსაც არ გაუთევია ჩვე თან ღამე, რამდენიმე ფშაველი მილიციელი, ორი დედაკაცი და მხიარული მომღიმარი მამუკა. ყველა შემამალა ლაპარაკობს, რადაცაზე კამათობენ, ჩვენ კი დაუკონებლივ ცხენებს მოყვანას ვთხოულობთ.

მილიციის მსახური, თანახმად მიღებული ინსტრუქციისა, — აღმოგვიჩინოს, საერთოდ, დახმარება, — ენერგიულად იცავს ჩვენს მოთხოვნას. ამის შემდეგ ფშაველები გლმა მხარეს მცხოვრებ ფშაველებს რაც ძალი და ღონე აქვთ ისე უძახიან, იქედან ხმას აძლევენ, ისინიც ხმამაღლა ყვირიან. უფრო ხშირად სიტყვა „ცხენი“ მეორდება. როგორც იყო, თავიანთი მიმინოსებური თვალებით ფშავებმა აქედან შენიშნეს, რომ იქ ცხენებს უკვე გაზმავენ და სადაც არის მოგვეგვირიან. მართ-

ლაც, ნახევარი საათის შემდეგ, ორი ცხენი მოგვიყვანეს, მაგრამ ისეთი, რომ მათზე შეჯდომა პარდაპირ შეუძლებელი შეიქნა: ახლოს არ გვიკარებდნენ, იკბინებოდნენ და წიხლს გვესროდნენ.

მათურიდან რვის ნახევარზე გავედით. ბილიკი მდ. მათურის პირად მიიკლაკნება, რამდენჯერმე მოგვიხდა ფონს გასვლა, ხან ერთ მხარეზე მოვექცეოდით, ხან მეორეზე. ცხენებს ეშინოდათ წყალში გასვლის. როგორც იყო, მარჯვენა მხარეს გადავედით, ცხენები სადავეებით გადავიყვანეთ, ფეხით გავტოპეთ და შევუღექით ბუწნარით შემოსილ აღმართს. ტყე გათავდა, ბილიკი შიშველ მთას აჰყვა. მთის მწვერვალი ისეთი მაღალი იყო, თითქოს ზეცას ებჯინებო.

დაიწყო მათურის უღელტეხილი.

ქვემოთ, მარჯვენა მხარეს, მათურის ხეობის დასაწყისია. ორი ნაკადული მთიდან მორაკრაკებს და შეერთებულნი მდინარის სათავეს წარმოადგენენ. ეს მდინარე, მათურას სახელწოდებით, ჩვენ გზად უკვე ვინახულეთ.

ცოტა მოშორებით დაგროვილი, დარჩენილი თოვლი ძევს, თოვლი ხიდის მაგიერობას სწევს. ამ თოვლზე გზა ერთი მთიდან მეორე მთაზე გადასასვლელად. თოვლის ქვეშ რუ მირაკრაკებს.

მივდივართ ამ თვალაუწვდენელ მთაზე, და ასე გვგონია, რომ გზა არ იღევა, დასასრული თითქოს არ უჩანს, და მწვერვალს ვერ მავუახლოვდებით.

დროგამოშვებით, გზადაგზა ვისვენებდით. სუნთქვა გაგვიძნელდა, ვჩერდებით და განვლილ მანძილს გავყურებთ. სულ ძირს ტყით შემოსილი ღელეა. შორს ძლივს მოჩანს პატარა სოფელი მათურა, სადაც რამოდენიმე საათის წინათ ვიყავით.

ორი საათის მგზავრობის შემდეგ ავედით პატარა მოვაკებულ და მშვენიერი ბალახით დაფარულ ადგილზე. აქ შევისვენეთ. მოქანცული ცხენები ხარბად და დიდი სიამოვნებით შეექცევიან ნორჩ ბალახს. დავიფინეთ პალტოები და წამოვწექით. უკვე თერთმეტის ნახევარია. მშვენიერი დილაა. მზემ

იმდენად გაათბო ჰაერი, რომ უქუდოდ ვართ, მარტო პერანგი გვაცვია; სუფთა, ჯანსაღი და გამამხნეველი ჰავა.

აქედან საოცარი სანახაობა იშლება. თითქოს ხელასგულზე გადაშლილა მათურის მთელი ხეობა დასაწყისიდან უკანა ფშავამდე, შორს ქვემოთ სოფელ მათურას პაწაწკინა სახლები მოჩანს. ჩვენს გარშემო მთავარი კავკასიონის ქედს გოლიათი მთები დგანან, მთები ვერცხლისფერი ნაკადულებით დასერილი. ცა ლურჯია და გამჭვირვალე. ირგვლივ უცნაური სიჩუმეა, ასეთი სიჩუმე მხოლოდ მაღლა მთებში იცის.

შაქრო გვიჩვენებს უღელტეხილს, რომელიც ხევსურების სოფელ ლებაისკარში მიგვიყვანს.

კვლავ ცხენებს შემოვახტით და სულ თხემზე, პირდაპირ ქედის ხერხემალზე მდებარე ბილიკით მივდივართ ისევ ზევით. წინ შაქრო მიგვიძღვის, შემდეგ მე, ჩემს ფაშატ ცხენზე, რომელსაც თავისი ფერი კვიცი მოსდევს, და ბოლოს გურკოკრიაჟინი. ასეთი წესრიგი ჩვენი გემოვნებითა და შერჩევით არ არის შემუშავებული, ეს ჩვენი ცხენების გუნებაზეა დამყარებული. საქმე ისაა, რომ გარდა ჩემი ფაშატისა, დანარჩენი ორი ცხენი ულაცია და ერთმანეთში ჩხუბი მოსდით. ამიტომ ჩემი ცხენი შუაში მიდის. საშინელი სურათია, როცა ცხენებუ ჩხუბობენ, წიხლს ისვრიან, იკბინებიან, ხურჯინები ძირს ცვივა, პატარა კვიციც ლამობს ჩხუბში მონაწილეობის მიღებას; როგორც კი რომელიმე ულაცი უახლოვდება მის დედას, პატარა კვიცი ეჭვიანობს და წიხლებს უშენს. ვერც ჩვენ გადავურჩით იმის წიხლებს: მე ფეხში მომარტყა, ხოლო გურკოკრიაჟინს — მუცელში.

ცა მოწმენდილია, უღრუბლო; მზე საკმარისად აცხუნებს, მთის ჰაერი გაუღნთილია ბალახებისა და ყვავილების სურნელებით, და ადამიანი რაღაც უცნაური მხნეობით იღჭურვება. ჩვენს გარდა ირგვლივ არცერთი სულდგმული არ მოჩანს.

ყველას მშვენიერი, მხიარული და ხალისიანი განწყობი-
ლება გვაქვს. ხარბად ვისრუტავთ ჩვენი ფილტვებით მთის
წმინდა ჰაერს და ვსტკბებით მომაჯადოებელი სურათებით.

ჩვენ ვხუმრობთ და ვიცინით ბავშვურად.

მიუხედავად იმისა, რომ სულ აღმართით გვიხდება სი რუ-
ლი, ფშავური ცხენები განსაკუთრებული ენერჯით მიდ-ან
ამ აღმართზე, კატეხივით თავისუფლად ადიან და თანაც მგზაჟ-
რების ტვირთს ეზიდებიან. როდესაც ფეხით მიდიხარ და
გული ლამის არის ამოგივარდეს, მაშინ ნაკლებად გრძნობ
მთებისა და მიდამოების სილამაზეს, მაგრამ როდესაც არხეინად
ზიხარ და ირწევი უნაგირზე, მთელი შესაძლებლობა გეძლე-
ვა დასტკბე ამ უხილავი და ჯადოსნური სილამაზით.


ცხენები გვებრალებს, ჩამოვდივართ და ფეხით წინ მივე-
ძვებით. ცხოველები თითქოს გრძნობენ მათდამი კეთილ გან-
წყობილებას და ალერსიანად ზურგზე გვიხაზუნებენ თავიანთ
ცხვირს, და როდესაც გურკო-კრიაყინი დინჯებშემოყრილი
შეჩერდა დასასვენებლად, ცხენმა იმის ილღიაში თავი გამოყოფ
და ეალერსებოდა. აგერ უღელტეხილიც. მ სი ბასრი მოხაზუ-
ლობა ნათლად მოჩანს ციხე დასავალზე. ჩვენ წინ უკანასკნელი
დაბრკოლებაა, უნდა გადავაროთ წვილისაგან ჩამორეცხილი
ვიწრო ბილიკი, რომელიც ფიქალ მთაზე დელს პირად მიდს

გაუბედავად შევჩერდით. ფეხქვეშ უფსკრულია, წინ —
გასიპული კლდის ნაპრალი, უკან დახვევა შეუძლებელია.
შაქრომ გაუშვა წინ ცხენი თვითონ კუდზე მოექცა და კა-
ტასავით გადაიარა უფსკრული: ჩვენ იმას მივბაძეთ, და საშიშ-
ადგილი უკან დარჩა.

საფრთხეს გადავრჩით.

უღელტეხილის მახლობლად შემოგვხვდა ცხვირის ფარა, ხუ-
თასამდე იქნებოდა. მ ცხვარემ შუა გაცა ფარად, მოერეკება
შევეფეთეთ. ახალგაზრდა, 25 წლის თუნია, მაღალი, ღონი-
ერი, ჯანსაღი, მზით და ქარით დამწვარი სახე აქვს. ღონივრად
დაუყვირა ცხვირის ყარაულ ძაღლებს, მოგვიანლოვდა, გამო-

გვეცნაურა. ჩვეულებრივი გამოკითხვის შემდეგ, თუ ვინა ვართ, საიდან და სად მივდივართ, ამოიღო უბიდან ლექსების რვეული და საკუთარი ლექსები წაგვიკითხა. ჩვენ კლდის ნაპირებზე ჩამოვჯექით. ირგვლივ ცხენებია. სამი კილომეტრის სიმაღლეზე ვისმენდით მეცხვარე პოეტ გოზარაშვილის კეთილ-ხმოვან სასიამოვნო ლექსებს!



შემდეგ გამოვემშვიდობეთ და გავუდექით გზას. მიუხედავად იმისა, რომ მზე იყო, ორჯერ სეტყვა გადმოყარა; შემდეგ უღელტეხილიდან შემოგვეხვია ნისლის კოტორი, მზე მიიმალა. ნისლმა დაიწია, დაბლა ჩავიდა. მზემ ისევ ამოანათა, და ჩვენ წინ გაიშალა საუცხოო სურათი. დიდხანს არ გავრძელებულა

ეს სურათი. იმ წუთს, როგორც კი მივეუახლოვდით მათურას უღელტეხილს, მთელი მიდამო უკვე ნისლში იყო გახვეული.

ჩვენ 3.167 მეტრის სიმაღლეზე ვიმყოფებოდით.

ჯვრის უღელტეხილის სიმაღლე 2.379 მეტრს უდრის. ყაზბეგის სიმაღლე ხუთ კილომეტრამდეა. მაშასადამე, ჩვენ ერთი კილომეტრით უფრო მაღლა ვართ ჯვრის უღელტეხილზე. ეს თითქმის ყაზბეგის სიმაღლის $\frac{2}{3}$ უდრის. ცხენები საბალახოდ გავუშვით, ჩვენ კი მოვიკეცეთ და საუზმეს შევუდექით.

ამ დროს, მოულოდნელად, მთის მწვერვალზე ნისლის საფარიდან გამოვიდა ოთხი მხედარი. როგორც შეგვნიშნეს, შეჩერდნენ. შეიარაღებულები, მოულოდნელად გამჩდარნი, რაღაც იდუმალ საშიშარ ლანდებად გვეჩვენებოდნენ. რამდენიმე წამით სრული სიჩუმე ჩამოვარდა. მხედრები არ იძვროდნენ, თითქოს გამოქანდაკებულნი იყვნენ. შაქრომ პირველმა დაარღვია სიჩუმე: ერთი მათგანი იცნო და დაუძახა.

ცხენოსნები მოგვიახლოვდნენ, ჩამოხტნენ ცხენებიდან, მოგვესალმნენ, ჰკითხავენ შაქროს, თუ ვინა ვართ, ან სად მდვდი ვართ. შაქრო საჭირო ცნობას აძლევს.

როცა გაიგეს, რომ ჩვენ ხევსურეთის დასათუვალიერებლად მივდივართ, გაეხარდათ, თვითონ ხევსურები აღმოჩნდნენ, სოფელი ლიკოკიდან, ბარისახოს თემიდან. თანაგრძნობით გვიცქერიან და მომავალ მგზავრობასთან დაკავშირებით რჩევას გვაძლევენ. ერთი მათგანი, უფრო მაღალი, წარმოსადეგი მოხუცი, როგორც შენიშნა გურკო-კრიაჟინმა, უფრო არაბეთის შეიხსა ჰგავს, ორი საშუალო ტანისაა, ხოლო მეოთხე ჯერ კიდევ ჭაბუკია. ყველანი თოფებით, ხმლებით და ხანჯლებით არიან შეიარაღებულნი. ტანისამოსი მუქი და მაგარი შალისაგან აქვთ შეკერილი, გულისპირი და ბეჭები მოქარგული აქვთ ფერადი ძაფით და შორიდან აბჯარჩასხმულნი გვეგონებათ. სახის იერი ყველას ყოჩაღი, ვაჟკაცური აქვს.

გამოგვემშვიდობნენ, შემოახტნენ ცხენებს და ისევ ნისლს ამოეფარნენ, თითქოს ნისლში გაითქვიფნენო.

შაქრომ აგვიხსნა, რომ ეს ხევისურები მოსისხლენი არიან და ამიტომ ასე ფრთხილად მოგზაურობენ და მათი იერიც ამიტომ ასე მკაცრი გვეჩვენა.

ჩვენც შევსხედით ჩვენს ცხენებზე და უღელტეხილის მეორე მხარეზე „ჭანჭახის“ *) ხეობისაკენ დავეშვით პირიქითა ხევისურეთში. ისევე სეტყვამ დაგვიშინა, მერე ხშირი და შხაპუნა წვიმა მოვიდა. თავშესაფარის ძებნა დავიწყეთ, მაგრამ არსად არაფერი არ იყო. კოკისპირული წვიმა გვიშენდა და გვიფუჭებდა როგორც ნივთებს, ისე გუნებას. სწორედ ღელის ფსკერზე შევნიშნეთ ერთი პატარა შენობა, და მთელი ჩვენი ყურადღება და ენერგია აქეთკენ იყო მიმართული. ვიწრო ბილიკებით, ფიქალ კედლებს შორის, სწრაფი ნაბიჯით მივერეკებოდით ცხენებს. როცა ამ შენობას მივუახლოვდით, სრულიად დასველებულნი ვიყავით. ეს, თურმე მწყემსების ბინა იყო. ერთი ხევისური და ორიც ჟინვანის თემის მცხოვრები ქართველი დაგვიხვდა. ხევისური 47 წლის იყო და თოკსა გრეხდა.

ქართველები თავიანთი ჩვეულებრივი მასპინძლობით დაგვიხვდნენ, მიგვიღეს, გვიშველეს ტანისამოსის გახდა და ცეცხლის პირად ფქვილის ტომრებზე ჩამოგვსვეს.

ცეცხლი საამურად ღუზღუზებდა. გულმოდგინედ ვიშრობთ ფეხსაცმელებს. შაქრო კი გაუხვია ერთ-ერთი ქართველის ნაბადში და ცეცხლაპირას მიიძინა.

ჩვენ ახლა შატილის თემის მიწაწყალზე ვიმყოფებით, პირიქითა ხევისურეთში. შუაფხოდან მათურამდე ათი კილომეტრია; მათურიდან ხახაბომდეც (ხევისურეთის პირველ სოფლამდე) კიდევ ათი კილომეტრია.

მე მოჯადოებული ვარ იმ შთაბეჭდილებით, რომელიც მათურიდან უღელტეხილამდე მივიღე. ამისთანა წარმტაცი, მშვენიერი სანახაობა არა მგონია ოდესმე სადმე შენახოს!!

*) „ჭანჭახი“ ხევისურულად ქაობ ადგილს ნიშნავს.

იქ, უღელტეხილზე, ქვეყნიერების საზღვარზე გრძნობ შენს თავს, მსოფლიოს უკანასკნელ კიდეზე. გაშიშვლებული, წვიმისა და ქარისაგან ჩამოშლილი და ჩამორეცხილი მწვერვლები საუკუნეთა მანძილზე დგანან უხსოვარი წარსულის მოციქულნი და მოწმენი, ქვემოთ კი, მქუხარე და გიჟმაჟ წყაროებს შორის, — მოგლეჯილი კლდის ქიმები და ბელტები, ქაოსი ქვათა და კლდეთა, პირველყოფილი სილამაზის სურათება! იქ, სადაც კი თვალი მიგიწვდებათ, ყველგან გრძნობთ კოსმიურ ძალთა შეჯახების დაუსრულებელ ბრძოლას, სტიქიის ტიტანურ მუშაობას, და ყველაფერ ამაზე სუფევს იდუმალი სიჩუმე, თითქოს განზრახ, რომ იგრძნო ათასეული განვლილი წლები ამ ზღაპრულ, მედიდურად მდგარ მთათა სამეფოში.

საათნახევარში გამოიდარა და გზას განვაგრძობთ, ბილიკი წყლის პირად მიდის. თანდათან ფართოვდება ბილიკი და გრძელ დერეფანს მიემგზავსება, რომლის აქეთ-იქით კლდის კედელია.

ამ შიშველი ნაპრალების ზემოთ ალპიური მინდვრები იწყება, აქა-იქ თვალს მოჰკრავს ადამიანი ხევსურთა საქონლის ჯოგებს. უცნაური სიჩუმეა ამ უდაბურ ხეობაში. მდინარის ნელი ელურტული თითქოს ხაზს უსვამს იმ სიჩუმეს, რომელიც ამ ნაპრალებიდან ამოდის. სწორედ კლდის ძირში, პატარა, ადამიანის სიმაღლის ოდენა, ქვითკირის ნაშთები მოჩანს. მიეუახლოვდით. ლულიდან ანკარა გამქვირვალე წყალი მოჩუხჩუხებს, პატარა თაროზე ყანწი ძევს. კვადრატულად დაწყობილი ზედაპირი მორთულია სხვადასხვა ზომის სიპი ქვებით. ხევსურეთში ასეთი წყაროები საყვარელი მახლობელი მიცვლებულის სახელობაზეა აგებული, მათი სულის მოსახსენებლად. შევჩერდით. ყანწით დავლიეთ შესანიშნავი წყაროს წყალი და განვაგრძეთ გზა. სულ პატარა მანძილი გავიარეთ, ის იყო შემოვუხვიეთ კლდის ქიმს — და გავშტერდით განცვიფრებულნი: ჩვენს წინ, მთის შეფენებაზე, ხევსურების სოფელი ხახაბო იყო.

სოფელი პატარაა, სულ 26 კომლია. სახლები ორ-სამ სართულიანია, უკიროდ ნაშენი, პირდაპირ სიპი ქვებია დაწყობილი. ზოგიერთი ქვა იმოდენაა, რომ პირდაპირ განცვიფრებაში მოგიყვანს თავისი უზარმაზარი ზომით. სახლები ბანიანია, თიქმის ერთიკორეხეა დადგმული. ამრიგად, ერთი სახლის ბანი მეორე სახლისათვის ეზოს მაგიერობას წევს. არც თვით სოფელში, არც სოფლის მახლობლად არსად ხანა ნატამალი არ ჩანს. სოფლის მარჯვნივ მოჩანს შემოღობილი ამწვანებული ბოსტანი.

შემოგვეგებენ უზარმაზარი ძაღლები და ქალები ბავშვებით. საქონელს მოერეკებოდენ. ქალები ტანწერწეტა და ძაღლები არიან. ზოგი მათგანი ლამაზია, ქართველური ალერსით გვესალმებიან. ხევსურ ქალებსაც, მამაკაცებივით, მძიმე შალის ქსოვილიდან შეკერილი ტანისამოსი აცვიათ, გულსა და კალთებზე მოქარგული. თმები შეკრეჭილი აქვთ. მათ შორას ზოგიერთი ქერაა, ხოლო უმრავლესობას მოწითალო თმა აქვს. თავზე რუსული „კოკონიკის“ მსგავსი სამკაული აქვთ, რსიც ფერადი ძაფებით და მძივებითაა ნაკერი. გათხოვილ ქალებს ამ სამკაულის გარდა თავზე შემოხვეული აქვთ აგრეთვე მანდილი.

მოგვიახლოვდნენ კაცები, მეგობრულად გამოგვიწოდეს ხელი და ხმამალლა, გახარებულნი ესალმებიან შექროს. ერთ-ერთ მახლობელ სახლში მიგვიწვიეს. ჯერ ბანზე ვმუსაიფობდით, მერე ვიწრო კარით შეგვიყვანეს შენობაში. დიდი ფართო ოთახია, მაგრამ ბნელი. უამრავი ნივთი აწყვია. ვიწრო ფანჯრიდან ძლივს ანათებს სინათლის სხივი. იძულებული ვართ სანთელი დავანთოთ, რომ მოგვეცეს საშუალება შინაური მოწყობილობა დავათვალიეროთ. სანთელი შექროს ხურჯინიდან ამოვიღეთ. ჭერი და კედლები კომლისაგან შავადაა გასიპული, თითქოს საგანგებოდ ვინმეს შეეღებოს. ერთ კედელთან პატარა კერაა, კერის თავზე ჩამოკიდებულია გამურული ქვაბი, კერის მახლობლად მიწის იატაკი დაახლოვებით ერთ მტკა-

ველზეა ჩაღრმავებული და მოგრძო სწორკუთხედს წარ-
მოადგენს.

კედლის გასწვრივ ფქვილითა და ხორბლით სავსე ტომრე,
ბი დგას; დიდი კიდობნები, კედლებზე ჩამოკიდებულია ცხენის
მოსართავეები და ტანისამოსი და სხვადასხვანაირი იარაღი.
ავეჯი ხისაა: გრძელი სკამები და სამფეხები. ჭერის მახლობ-
ლად გადებულია ხარისები. ერთ მათგანზე კოჭების ასხმულა
კიდია. ამ კოჭების რაოდენობით თვლიან, რამდენი საქონელია
დაკლული ამ ოჯახში*). სქელი ფარდის იქით მეორე განყო-
ფილებაა. იქ ქალების სამყოფი ოთახია.

საერთო შთაბეჭდილება არასასიამოვნოა: სიბნელე, სივიწ-
როვე, უსუფთაობა.

ისევ ბანზე ვავედით. თავს გვადგან სამი მოზრდილი
ხევსური, ორი ქისტი და ორი ბიჭი. ერთი ათი წლისაა, მეორე
კი ოთხისა. უფროსს წელზე ხანჯალი აქვს შემოკრული. სახე
ყველას დამწვარი და გარუჯული აქვს მზისა და მთის ჰაერისა-
გან. ეტყობათ, რომ გარეთ უხდებათ ყოფნა, მზეში, ქარსა და
აუდარში. სახის ნახაზობა ვაჟკაცურია, იერი — ლმობიერი.

ერთი მათგანი, სახლის პატრონი, ძალაღი ტანისაა, მოსულო,
წითური ვაჟკაცია, ცისფერთვალა. მეორე — საშუალო ტანი-
საა, მხარბეჭიანი, ეტყობა, ძალიან ღონიერი უნდა იყოს. ქისტი
მოქნილი ტანისაა, იშმაკური გამოხედვა აქვს, მეოთხე კი დაახ-
ლოვებით 40 წლის იქნება, საშუალო ტანისა, ძალიან ჭკვიანი
და სათნო სახის პატრონია, როგორც შემდეგ გამოიჩვენა,
ადგილობრივი ხევისბერია. გამოკითხვით ვარკვევთ, რომ ხევის-
ბერობა ჩამომავლობით გადადის. მისი მამაც და პაპაც ხევის-
ბერები ყოფილან.

*) ასეთი ასხმულა, ხევსურულად „ღარადულა“, ბავშვების სათამა-
შოდ არის მოგონილი და კოჭებით საანგარიშო არავითარი წესი არ
არსებობს.

ყოველ ჩვენს შეკითხვებზე ხევსურები დიდი ხალისით გვიპასუხებდნენ, ხოლო რაც შეეხებოდა სარწმუნოების საკითხს, ხევისბერი თავდაჭერილად გველაპარაკებოდა.

სისხლის აღება ძალიან არის გავრცელებული ხევსურეთში. ხევსურებმა დაგვიდასტურეს ურბნელის მიერ „ეთნოგრაფიულ წერილებში“ აწერილი ჩვეულების არსებობა, რომ ჩხუბის დროს თუ ქალმა მოიხადა მანდილი და ჩაერია მოჩხუბართა შორის, კაცები წყნარდებიან.

ამინდი საუკეთესოა. მზე ავარაყებს მთის კენწეროებს, სულ ახლოს ხეობის ნაპრალიდან მოჩანს კავკასიონის მთავარი ქედის მწვერვალები.


სალამოს ექვს საათზე გამოვეთხოვეთ ხახაბელებს და მივდივართ. გულმოდგინედ გვეხვეწებიან დარჩენას და დასვენებას, მაგრამ ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს დღესვე ჩავიდეთ არდოტში.

ხევისბერმა სოფლის ყურამდე გამოგვაცილა, იქ, სადაც ბოსტნები მოჩანდა. აქ ერთხელ კიდევ ჩამოგვართვა ხელი და კეთილი მგზავრობა გვისურვა.

უნდა აღინიშნოს ერთი თვისება ხევსურებისა, რომელიც ძალაუნებურად იპყრობს ჩვენს ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ პატივისცემით გვეპყრობიან, ხევსურებს თავი ყოველთვის ამაყად და ღირსეულად უჭირავთ. უნებლიედ გრძნობ, რომ ეს ხალხი მუდამ თავისუფალი, დამოუკიდებელი ყოფილა. ამ ამხრივ საინტერესო იყო ხევისბერი; როცა ცხენზე შეჯდომას მშველოდა, ისე ეჭირა თავი, რომ მე აშკარად ვგრძნობდი, ამგვარი პატივისცემა იმის მხრივ არც უბრალოთა ვაზიანობა იყო.

გავსცილდით ბოსტნებს და დავეშვით თავქვე მდინარისაკენ. ბილიკი უზარმაზარი ძირხვენით იყო გადაბარდნილი. სამი ახალგაზრდა გასათხოვარი ქალი ყანაში მუშაობდა. ჩემს მისაღმებაზე უბრალოდ და ალერსიანად მიპასუხეს; შემდეგ მხიარულად მკითხეს რაღაც, მაგრამ წყლის ხმაური სიტყვებს ფარავდა და მათი შეკითხვა ვერ გავიგონე. ბილიკმა წყლის

პირას მიგვიყვანა და პირდაპირ ვიწრო და ველურ არღოტის ხეობის გზაზე დაგვაყენა.



ვიწრო-ვიწრო ბილიკით მივდევართ არღოტის-წყლის ნაპირებზე, უამრავჯერ გადავდივართ ფონს, და ისევ ხან ერთ მზარეზე მიდის ბილიკი, ხან მეორეზე. კლდეები ერთმანეთზე, მისულან ისე ახლოს, რომ მდინარის რუსხმულისათვის თითქოს ადგილიც აღარა რჩება. ზოგიერთ ადგილას ჩანჩქერის მსგავსა ეცემა წყალი. ძნელი წარმოსადგენია, რამდენი ენერგია ამ წყალში დაფარული, როდესაც ამ სიმაღლიდან ეცემა ძირს და უზარმაზარ კლდის ნატეხებს მიაგორებს! ჩვენ ვტკბებით ამ

ხელშეუხებელი ველური სილამაზით, რომელიც ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე გვაოცებს თავისი სიდიადით.

რამდენადაც ქვევით და ქვევით მივდივართ მდინარის მიმართულებით, იმდენად მდინარე უფრო და უფრო ნატულობს; ახლაც აღარ შეიძლება ფონით გასვლა. მდინარეზე გადებული ხის ხიდებზე გვიხდება გადასვლა. ცხენი არ ენდობა ასეთ ხიდებს, თავდალუნული ძალიან ფრთხილად მიდის, ყნოსავს ხეა, თითქოს უნდა დაარწმუნდეს — გაუძლებს. ეს ხიდი მის სიმძიმეს თუ არა!

უკახასკნელი ხიდის გადასვლაზე, სწორედ სოფელ არდოტს რომ მივუახლოვდით, ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: შაქრო ჩაზოხტა ცხენიდან და წინ გაუძღვა თავის ცხენს. როცა სანშვიდობო გზას დაადგა, მერე მუცვადე ცხენიანად ხიდზე გადასვლა, მაგრამ როგორც კი მივიდა ხიდთან, ჩემმა ფაშატმა უკან დაიხია, გასვლა შეუძლებელი იყო. ჯერ ერთი, იმიტომ რომ ღრმა და ვიწრო გასასვლელი იყო, და მეორეც — ისეთი სისწრაფით მიაგორებს არდოტი თავის ტალღებს, რომ ადვილად შეიძლება წყალმა ცხენი წააქციოს, ან წამოღებული ქვებით ფეხები დაამტვრიოს.

ჩამოვედი ცხენიდან და წინ გავეუძეხი, მაგრამ ამაოდ. ცხენი უნდობლად ეკიდება ამ ხიდს და პირდაპირ წყალში გასვლას არჩევს.

რა გაეწყობა, უნდა დავუთმო. მოვხსენით ხურჯინები, შაქრომ გრძელი თოკი გამოაბა, თვითონ ხიდზე გავიდა, ცხენი კი წყალში შეუშვა. ცხენს კვიციც დაედევნა და ორი წუთის შემდეგ ორივენი მეორე მხარეზე იყვნენ.

ამ ხიდის შემდეგ, როცა ცოტა გავცილდით კლდეებს, მალეობზე გამოჩნდა სოფ. არდოტი ძველებური კომპით. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ დაღლილები ვიყავით, მაინც შევჩერდით და დიდხანს ვტყებოდით ამ ლამაზი სანახაობით, ამ თავისუფალი მთის ხალხის არწივის ბუდის მსგავსი სადგომით. შაქრო გვაჩქარებდა, ვინაიდან მას გადაწყვეტილი ჰქონდა ლაშე

გაგვეთია მის მეგობარ ნიკო მურღულთან, რომელიც სოფლის თავში ცალკე მდგომ სახლში ცხოვრობდა თურმე.

უკვე რვა საათია. ბინდდება. გრძელი და მძიმე გზით დაქანცული ცხენები ძლივსღა მიათრევენ ფეხებს. მთაზე ასვლაა საჭირო. მთელი სოფელი ავიარეთ, ძლივს მივბობდავდით. ბოლოს არაქათგამოღეულებმა დავინახეთ ნიკოს სახლიდან სინათლას შუქი.

ნიკო მურღული არაჩვეულებრივი სტუმართმოყვარე ხეცსურია. რუსული ენაც იცის.

შეგვიყვანეს საკმაოდ ფართო და სუფთა შენობაში. ცეცხლი უნთიათ. დაგვსვეს ფარდაგადაფარებულ ხის ხეკამზე, მასპინძელმა თავისი ხელით დაგვხადა ყველას სველი წალები და ხევესურული მსხვილი, მოქსოვილი „თათები“ ჩაგვაცვა.

მასპინძელს უნდოდა ჩვენთვის ცხვარი დაეკლა; ჩვენ დიდ უარზე ვიყავით და, როგორც იყო, დავარწმუნეთ, რომ საჭირო არ იყო. მაშინ ჩახოხბილის მზადებას შეუდგენ—ვიდრე ჩვენ ცეცხლის პირად უიხუხებოდით, ორი ქალი ჩვენს ვახშანს დასტრიალებდა. ერთი მათგანი პურს აცხობდა. გააბრტყელა ცომი და ცეცხლზე გაფიცხებულ თხელ გასიპულ ქვაზე დადო გამოსაცხობად. მერე ქალმა მაკრატელით წვრილად ჩაჭრა ქვაბში ცხვრის ხორცი და ქონი; მაკრატელი ცხვრის მატყლის საჭრელი იყო. ქვაბი ცეცხლზე ეკიდა. ჩვენს ხუმრობაზე ისინიც ხუმრობით გვიპასუხებდნენ.

ხეცსურები წმინდა ქართულ ენაზე ლაპარაკობენ, და ჩვენ ადვილად გვესმოდა მათი ნალაპარაკევი. უნდა აღინიშნოს, რომ მათი გამოთქმა უფრო მკვახეა, უფრო ყელით ლაპარაკობენ, ბოხი გამოთქმა აქვთ და ქურთების ლაპარაკს მაგონებდნენ.

ჩვენს გარდა ამ სახლში სხვებიც არიან სტუმრად: ჩუმი ქისტო და ერთი წამოსადეგი მოხუცი თუში, თავდაჭერილი, საკუთარი ღირსების შეგრძნობით სავსე. ამგვარად, სტუმართმოყვარე მასპინძელთან თავმოყრილი ვართ: ორი რუსი, ერთი ქისტო, თუში და ოსი.

როცა საჭმელი უკვე მზად იყო, მოგვიწიეს პატარა მაგიდა, რომელსაც რაღაც ძველი აფიშა ჰქონდა გადაფარებული. ეს აფიშაც მაქროს წინანდელი ნაფემქაშებია. მაგიდას შემოუსხდა ყველა მამაკაცი, გარდა ქისტისა. ის მაჰმადიანი იყო და ცალკე ჭამდა, ქალები ისევ კერის მახლობლად დარჩენ *). ისინი იღებდნენ მოხაწილეობას ლაპარაკში, ხოლო თუ რამე ჰქონდათ მოსატანი და გასაწყობი მაგიდაზე, აწვდიდნენ მასპინძელს და ის თვითონ აწყობდა ყველაფერს. ქალები სამი ნაბიჯის მანძილზე არ გვეკარებოდნენ.

მასპინძელი, თუში ანდრო და მაქრო. ერთი ჭურჭლიდან შეექცეოდნენ და მორიგეობით იღებდნენ საჭმელს ჯამიდან. შე და ჩემს ამხანაგს ცალ-ცალკე დაგვიდგეს ჯამები. მიუხედავად იმისა, რომ საშინლად შშიოდა, ამ ჩახოხბილს პირი ვერ დავაკარე: მეტისმეტად შლაშე იყო. არაყიც მოგვართვეს. ნიკო არაყს დოქიდან ყანწში ასხამდა და სათითაოდ გვთავაზობდა ყველას. პირველად მონუც თუშს გაუწოდა. მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლთან ძალიან ახლოს ვიჯექით და ყველას გვცხელოდა, ანდრომ არც ნაბადი და არც ტყავის ქუდი თავიდან არ მოიშორა; შუბლზე ოფლის ცვარი უციმციმებდა, ის კი გაუნძრევლად, დინჯად, დარბაისლურად იჯდა და ნაკლებად ლაპარაკობდა. როცა მაქრო კითხვებს აძლევდა, ისე შეურყევლად განაგრძობდა ყოფნას. ჩვენ გვეგონა, რომ ნაკლებად-ესმოდა, მაგრამ დრო მიდიოდა, ის კი, იმავე მდგომარეობაში მყოფი, აუჩქარებლივ, დინჯად უპასუხებდა, სრულის რწმენით, რომ ყოველი მის მიერ ნათქვამი სიტყვა ყველას მიერ დიდის ყურადღებით უნდა იყოს მოსმენილი და მიღებული.

ანდრომ ჩამოართვა მასპინძელს ყანწი და სრულიად არ ფიქრობდა იმაზე, რომ მის გარდა ამ ყანწს კიდევ ოთხი მსმელი

*) ხევსურული წესით კაცები და ქალები ერთად კერძს არა ჭამენ. ჯერ მამაკაცი ისადილებს, მერე ქალი. ცოლ-ქმარიც რომ იყოს სახლში, ქმარი ცალკე სადილობს და ცოლი ცალკე. ერთს სუფრაზე კაცისა და ქალის ჭამა-სმა მიუღებელია.

ელოდებოდა, დინჯად, აუჩქარებლივ დიდხანს იჯდა ყანწით ხელში, მერე ასწია და წარმოთქვა სადღეგრძელო: ჯერ მასპინძელს და მისი ოჯახის წევრებს უსურვა ყოველივე სიკეთე და წარმატება, მერე ჩვენ, მასპინძლის სტუმრებს, — შორიდან მოსულებს მთებში სამოგზაუროდ. სიტყვის შემდეგ კოხტად ასწია ყანწი და ნელა შესვა; როცა გამოცალა, პირქვე მოაქცია, იმის დასადასტურებლად, რომ პარწმინდად გამოცალა.

იმის შემდეგ ჩემს ამხანაგს ერგო ყანწი და მერე მე. არაყი სასიამოვნო გემოსი იყო, ხოლო რუსული არაყი უფრო მაგარია. ნავახშმევს მე დიდი სიამოვნებით წანოვწყეჩი ერთ-ერთ უზარმაზარ ფარდაგადაფარებულ ხის საწოლზე. ჩემი ამხანაგი გაერთო ხევსურ ქალებთან, ემასლაათებოდა, „მონპასიე“ შესთავაზა, დასაკეც დანას უჩვენებდა, მასპინძელმა კი ჩამოიღო კედელზე დაკიდებული ჩონგური, უკრავდა და რაღაცას დალილინებდა. ჩონგურის ხმაზე ტკბილად ჩამეძინა.



ძალიან კარგად გამოვიძინეთ. მშვენიერი მზიანი დილა გაგვითენდა. ვზივარ სახსე, ფიკოა სახლის წი, ვუცქერი ლავვარდ ცის კიდეს, არდოტის ხეობას, ცადახრდილ, გარს ძეძორტყმულ მთებს. ძორიანლოს მშვენიერი ახკარა წყაროა, სადაც ყველამ პირი დავაბანეთ. გულუხვი დილია საუხსე: რძე, დაძღბარი ერბო, ყველი, პური, ცხვრის ხორცი, წიწილები და ისევ არაყი. ქალები, წუხანდელივით, კერას არ შორდებიან, თუმცა საერთო ლაპარაკში იღებენ მონაწილეობას. ჯერ კიდევ ძალიან ადრეა, არაყის დაღვეის დრო არ იყო, მასპინძელი და ანდრო კი ყანწს ყანწზე ცლიდენ, მაგრამ ძაინც ბზიხელა იყვნენ, არაყი სრულიად არ ეკიდებოდათ.

ჩემის გამოანგარიშებით, ანდრომ, თუმცა 65 წლისა იყო, წუხელ 7 — 8 ყანწი გამოცალა და დღეს დილით კიდევ ამდენივე. ამის შემდეგ კოხტა, სწორი, ახალგაზრდული ნაბიჯით გაიარა ეზო და თავის ცხენს მიუახლოვდა.

ჩვენი მასპინძელი თავწაკრულია. ამ მოკლე ხანში ისა და მისი ძმა ორივენი მძიმედ დაიჭრენ ჩხუბის დროს. ამ ჭრილობაში დიდი გადასახადი ერგება იმისაგან, ვინც იგი დაჭრა. ამ გადასახადს „რჯულის კაცები“ წყვეტენ შემდეგნაირად: მოხუცები შეიკრიბებიან, გამოარკვევენ ჩხუბის მიზეზს, გაზომავენ ჭრილობის სიგრძეს პურის მარცვლებით, და ის, ვინც დაჭრა, ვალდებულია მოჰგვაროს იმდენი ძროხა, რამდენსაც გადაუწყვეტენ *).

სწორედ დღევანდელ დღეს უნდა მოვიდნენ არდოტში რჯულის კაცები მოსისხლეების შესარიგებლად. როგორც გვიტხრეს, ნიკოსა და მის ძმას თურმე 25 ძროხა ერგებათ ჭრილობაში.

ჩამოვედით სოფლად. პირველი, რამაც მიიპყრო ჩვენი ყურადღება, იყო სამრევლო — პატარა, ქვებით მოწყობილი შენობა, ვიწრო შესასვლელით და პატარა სარკმელით; არც ჩარჩოს, არც მინის ხსენება არსად იყო! ერთი სიტყვით, ეს შენობა იმდენად პატარაა, რომ მოზრდილი ადამიანი აქ ვერ გაიმართება ვერც მდგომარე და ვერც მწოლარე **).

*) ხევსურეთში „რჯულის კაცები“ ჭრილობას შეაფასებენ სამნაირად, იმისდა მიხედვით, თუ სად არის ჭრილობა მიყენებული. 1) სახის ჭრილობა, საყლომდე, რაც არ იფარება, იზომება ამ მარცვლების საშუალებით; ჯერ ძაფით გაზომავენ სიგრძეს, ამ ძაფის სიგრძეს გადაიღებენ ქვაზე ან ფიცარზე და მერე აწყობენ ორგვარ მარცვლებს: იფქლისას და ქერისას. იფქლის მარცვალი იდება სიგრძეზე, ხოლო ქერისა — სიგანეზე. ამ მარცვლების რაოდენობის მიხედვით უნდა გადაიხადონ ძროხები (იფქლი — შემოდგომაზე ნათესი ხორბალია). 2) ძვლების მიხედვით — თუ ზედა ძვალია დაზიანებული, ნაკლებს იხდიან, თუ ცხიმი ამოიყოლა ძვალმა — უფრო მეტი გადასახადია, თუ ტვინის ზეითა ძვალია, მაშინ უფრო მეტს გადასახადს გადაუწყვეტენ. 3) ხელ-ფეხის ჭრილობა ფასდება იმისდა მიხედვით, თუ რომელი ნაწილი რამდენად არის დასახიჩრებული: ფეხის ჭრილობას უფრო მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე ხელის ჭრილობას.

მთარგ. შენიშვნა.

**) მშობიარე ქალი ხევსურეთში უფრო უწმინდურად ითვლება, ვიდრე თვითურის მქონე. ამიტომ მშობიარე ქალისათვის განსაკუთრებული

სამრევლოს შესასვლელთან იჯდა ახალგაზრდა ხევსური ქალი და ბავშვს ძუძუს აწოვებდა. გვერდით ოთხი წლის გოგონა ეჯდა. როგორც გამოირკვა, ეს ბავშვი მისი და ყოფილა და საჭმელი მოუტანია. ქალი ახალი ნამშობიარევი იყო და დარჩება განსაზღვრულ დროს სამრევლოში, რომ განიწმინდოს და ისე დაბრუნდეს ოჯახში. შორიანლოს ბუჩქებზე გაფენილი იყო ტანისამოსი, სამრევლოს იატაკზე მოჩანდა დაფენილი თუვა, ამ თივაზე უნდა იწვეს მშობიარე ქალი ჩვილი ბავშვით.

ასეთ სამრევლოში ატარებენ ხევსური ქალები რამოდენაზე დღეს ყოველთვიურად, რიგის დროს, და თითქმის ერთს თვეს მშობიარობის შემდეგ, მიუხედავად იმისა, ზამთარია თუ ზაფხული, კარგი თუ ცუდი ამინდია. ზამთარი აქ ძალიან სუსხიანი იცის. ყოველი სოფელი თითქმის 2 — 3 კილომეტრის სიმაღლეზეა და ზამთარში სიცივე 20 გრადუსამდე აღწევს.

ადვილი წარმოსადგენია, რა მართობასა და უმწეობას განიცდის ავადმყოფი ქალი, განსაკუთრებით ღამით, როდესაც არც ხმის გამცემი, არც მეთვალყურე არავინ არ ეგულება. მელოგინეს ორი კვირის განმავლობაში ყველა ერიდება, ქალიც და კაციც *). დეკანოზი კი ერთი თვის განმავლობაში ხმას

დროებითი პატარა შენობა აგებული, რომელსაც „ქონს“ უწოდებენ, თვით მშობიარეს კი — „მექონეს“.

თვიურის დროს ხევსური ქალი „სამრევლოში“ მიდის. ეს სამრევლო ცალკეულიც არის და საერთოც.

მთარგ. შენიშვნა.

*) ლაპარაკის დროს მელოგინე ქალს ელაპარაკებიან მესამე პირით და ქალიც ასევე უპასუხებს. მოსულზე ოჯახის წევრი ეკითხება:

— პურ ხო არ უნდა?

— მინდავ!

— ვაჟა როგორ ხყავავ?

— კარგა ასავ (ლაპარაკის ასეთივე წესით მამაკაცსაც შეუძლია ელაპარაკოს, იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში ქალი არა ჰყავს).

წესიერად კი პირად მიმართვაზე ასე უნდა აწარმოონ ლაპარაკი.

— პურ ხომ არ გინდა?

არა სცემს ნამშობიარევე ქალს. თვით თავისი დისაგანაც არა აქვს ქალს უფლება მიიღოს რაიმე ნუგეში და დახმარება. როცა კერძი მოაქვთ, ჩვეულებრივად ბანიდან ჩაუშვებენ, განსაკუთრებით საჭმლის გადასაცემად გაკეთებული სარკმლიდან *).

იმ დროს, როდესაც უბედური, უმწეო, ტანჯული ქალი მშობიარობს და არავინ მისი დამხმარე არ არის, ქმარი თოფით ხელში ბანზე დარაჯობს ემშაკის შესაშინებლად, რომ ბავშვს ბოროტმა სულმა არავითარი საფრთხე არ მიაყენოს, თუმცა უკანასკნელ დროს ქმრებმა ეს მოსაწყენი მოვალეობაც თავიდან აიცილენ და იმას სჯერდებიან, რომ მხოლოდ გატენილ თოფს ტოვებენ ბავშვის დასაფარავად.

ვიდრე ქალი შინ დაბრუნდება, უნდა განიბანოს უწმინდურებისაგან, დაირეცხოს ყოველი ტანისამოსი და გახეხილი დააბრუნოს ყოველი ჭურჭელი, რომელსაც შეხებია **).

მშობიარების შემდეგ ორი კვირა რომ გაივლის, ოჯახში იკვლება საქონელი და მისი სისხლით მოასხურებენ სახლს. მშობიარის დაბრუნებისას ხელმეორედ უნდა დაიკლას ცხვარი ან ხბო და ამ სისხლით ინახულება სახლის კედლები და ბოძები. ამის შემდეგ მელოგინეს აქვს უფლება დაბრუნდეს შინ.

მაღალ გადებულ ხარხებზე გადაგვიყვანა ნიკომ მამის სახლში; ასი წლის მოხუც მურღულთან მივედით, ვიწრო აი-

— მინდ.

— ვაჟა როგორ გყავ?

— კარგა ას.

*) საჭმლის გადაცემა ბანიდან იშვიათად ხდება. უფრო ხშირად პურს გადაუგდებენ, ხოლო კერძს შორიხლო დაუდგამენ, ან გადაუსხამენ საკუთარ ჭურჭელში.

**) როდესაც ქალი შინ დასაბრუნებლად ემზადება, ამ დარეცხვას, დასუფთავებას „დაწყება“ ეწოდება, ქალის თქმა „გადმოვსწყებო“ — ნიშნავს სახლში დაბრუნებას.

ვანზე მიგვიღეს; აქაც ფიცრების ნაცვლად იგივე წვრილი ხა-
რიხეში იყო გაყრილი. ნიკოს მამა მალაღლი, ტანწერწერა მხნე
მოხუცია; სახე თუმცა ძლიერ დაჰნაოჭებია, ცისფერი თვალე-
ბი მაინც ცოცხლად გამოიყურებიან. მსხვილი ცხვირი დასერო-
ლი აქვს „საცერულისაგან“ *). ნიკოს მამას ტანისამოსზე შემო-
კერებული ჰქონდა ლამაზი ტყავი. მოხუცის ღრმა წლოვანება
და სიბერე უნებლიედ გვიღვიძებს მისდამი პატივისცემას. შე-
ვეკითხე, ხომ არ ავადმყოფობს. არა, ჯანმრთელია, არაფერი
სტკივა. შემდეგ შევეკითხე: იქნება წინათ იყო ავად. მოხუცმა
უსიამოდ დაჭმუჭნა სახე. როგორ არა, იყო ავად.

რამოდენიმე წლის წინათ ხელში დაჭრეს ტყვიით.

მოხუცმა გვიჩვენა დასახიჩრებული, ორთითწაწყვეტილი
მარცხენა ხელი. აი, ეს ავადმყოფობა გადაუტანია მოხუცს ასრ
წლის ცხოვრების მანძილზე! მოხუცმა თავის ოთახში მიგვი-
წვია. ოთახი სუფთა, ლაზათიანი, მიწური იატაკი დახვეტილია,
ლოჯინი მილაგებულია, კედელზე მოხუცის ხელით გაკეთე-
ბული ჩონგური კიდია. ჩემს ყურადღებას იქცევს უცნაური სი-
ნათლე, ვაცქერდები სარკმელს და რასა ვხედავ: მინის ნა-
ცვლად, ჩარჩოზე გადაკრულია დაჭიმული ბუშტი! ოდახის და-
თვალიერების შემდეგ ისევ აივანზე გავედით.

ქალაქში არშინის ნაცვლად ახლა მართლა სხვა საზომი
შემოიღეს? — გვეკითხება მოხუცი.

ჩვენ როგორც შეგვეძლო ისე ავუსხენით, რომ არშინის ნა-
ცვლად ახლა მეტრია. მაშინ მოხუცმა მოგვიტანა გასუფთავე-
ბული სწორე შინდის ჯოხი და გეთხოვა მოგვიზომო მეტრის
სიგრძე. მე და შაქრომ მოვუზომეთ და დავუჭდიეთ მეტრის
სიგრძე. მოხუცმა მოზომილი ჯოხი ფრთხილად გაიტანა და
შეინახა მეორე ოთახში. გურკო-კრიაჟინი ხუმრობით აღნიშ-
ნავს, რომ ჩვენ შევიტანეთ ხევსურეთში მეტრული საზომი.

*) საცერული ხელზე ჩამოსაცმელი წვეტიანი იარაღია. ხევსურულად
საცერულს „ლაჯია“ ეწოდება.

უცხად ჩვენი ყურადღება ჩაღაც უცნაურმა ხმაურობამ მიიპყრო. გადავიხედეთ მოაჯირზე და რასა ვხედავ: წითელი მოსახვევით თავწაკრული ხუცესი დგას დახით ხელში, აღმოსავლეთისაკენ მიბრუნებულა და ღმერთს ევედრება. მის წინ დაჩოქილია ხევსური; ლამაზი, უმანკოთვალეებიანი ციკანი უჭირავს. ეს ორიგინალური ჯგუფი, განათებული მზის კაშკაშასხივებით, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩვენზე. ხუცესს საკლავი უნდა დაეკლა. როცა მორჩა-ლოცვას, ხუცესმა ციკანს ყელი გამოსჭრა. საბრალო ციკანი ბავშვივით გულსაკლავად ბლაოდა. შემდეგ ხუცესმა დაკლული ციკნის სისხლში ხელდამოავლო და მსხვერპლის შემწირავს შუბლზე გადაუსვა.



არდოტიდან დილის ათ საათზე გავედით. ბილიკი თავდაღმა მიდის არდოტის-წყალის სანაპიროებზე. დაიწყო ხეხები, ლელეები, თავბრუდამხვევი მიკიბულ-მოკიბული ბილიკები და ღრიალა მდინარე.

არდოტიდან დაახლოვებით სამი კილომეტრის მანძილზე საუცხოო შეხვედრა მოხდა. ჩვენ პირდაპირ მოდიოდა ხუთი ცხენოსანი. წინ ბიჭი მოუძლოდათ, ერთი თხა მოჰყავდათ. უფრო ფართო ადგილი იყო, ვიდრე წინათ, ასე რომ გზის აქცევა შეიძლებოდა. ჩვენც და ისინიც შეეჩერდით. დაიწყო გამოკითხვა, გამოცნაურება, ხელის ჩამორთმევა. ასეთ ადგილებში იშვიათად თუ ვინმეს შეხვდებით, იმას იმდენი თავისუფალი დრო აქვს, რომ სრულიადაც არ ეჩქარება თავისი გზით წასვლა.

ჩამოვედით ცხენებიდან, და აქ, კლდეებს შუა, მდინარის ნაპირას, გაიბა მასლაათი და გამოცნაურება. გამოიჩვენა, რომ ჩვენი მოსაუბრენი, — მათ შორის ერთი მოხუცი ქისტია, — მიდიან არდოტში მოსისხლეების შესარიგებლად და, მაშასადამე, წარმოადგენენ ჩვენზეთურ სასამართლო სესიას, რომელსაც აქ „რჯულს“ უწოდებენ, თხას კი დაკლავენ, როცა მხარეები შერიგდებიან.

გამოვეთხოვეთ ამ შეხვედრილ მეზავრებს და გავუდექით ჩვენს გზას.

თორმეტი საათი იქნებოდა, როცა შორიდან დავინახეთ ზღაპრული სანახაობის სოფელი მუცო. ჩვენს თვალწინ მაღალ თავწერწიკტა მთაზე გამოჩნდა მაღალკოშკიანი ქვის ქალაქი. შორიდან ეს ქალაქი ძალიან ჰგავდა საშუალო საუკუნეების კოშკს. ხახაბო ზომ არაჩვეულებრივი სილამაზისაა. არდოტი გაცილებით უფრო მშვენიერია, მუცო კი ორიგის სჯობია! ვუახლოვდებით მთის ძირს, ზემოთ მთის კენწეროზე სოფელია. ვეკითხებით მცხოვრებლების შესახებ, გვიკვირს, რომ მაქრო რაღაც მიკიბულ-მოკიბულ პასუხებს გვაძლევს.

გზა იმდენად აღმართია, რომ ცხინებით ასილა შეუძლებელია. ცხენებს ვტოვებთ. ზურჯინები ჩამოიხსენით, ერთად დაიწყეთ და ასე უყარაულოდ მიგატოვით ბარგი და ცხენები, ჩვენ კი გაუდევრით გზას. ბილიკი ნათეს სვილზე მიდიოდა. მთიდან მომდინარე ნაკადის პირად გადმოწოლილი კლდის ჩიმი გვიშლის სოფლის დანახვას. მხოლოდ წყლის პატარა წიქვილს ვხედავთ და ორიოდე პატარა ქვის შენობას: ეს ყოფილი აკლდამებია. როგორც მაქრო გვარწმუნებს, ამ აკლდამებში ახლაც გვამებია შენახული.

დადლილობა დაგვეტყო უხალისოდ მიგტვირთ. ლამის არის დავბრუნდეთ შუაგზიდან. მაქრო გვამხნევეებს, უნდა მაინც აგვიყვანოს, შეგვაკრიბოს, მაგრამ ჩვენ გჯიჯიბობთ. და ბოლოს მაქრო იძულებულია გვითხრას, რომ ამ სოფელში სრულიად არავინ არ ცხოვრობს; ეს მკვდართა ქალაქია. ვინაიდან მცხოვრებლებს მუდმივად ქისტები არბევდენ და ისინი სრულიად აიყარნენ აქედან.

ამისი თქმა საკმარისი იყო, რომ ჩვენი ცნობისმოყვარეობა გაეღვიძებია, და გულმოდგინეთ დავიწყეთ აბობლვა სულ ზევით და ზევით.

პირველი აკლდამა, რომელსაც ჩვენ მივუახლოვდით, ჩის შენობას წარმოადგენს, სიგრძით შვიდი არშინი იქნება,

სიგანით ოთხი და სიმალლით სამნახევარი. ერთ კედელში ადამიანის წელის სიმალლეზე დატანებულია ოთხკუთხედი სარკმელი (14 ვერ. X 14). ამ სარკმელიდან დავინახეთ შემდეგი: სამივე კედლის გასწვრივ ორსართულიანი ქვის თაროებია გამართული და ზედ ჩონჩხები აწყვია. ზოგი მათგანი კედელზეა მიყუდებული. ერთი ჩონჩხი, რომელსაც ტანისამოსის ნაფლეტები აქვს შერჩენილი, მოკეცილია ზის; იატაკზე უწესრიგოდ დახორხლილია რამოდენივე ჩონჩხი. ამ აკლდამის დათვალიერებას შემდეგ ვინახულე მეორე, რომელიც სწორედ მთის ქიმზეა გადმომდგარი. იქაც იგივე სურათი: იგივე ფიქალი ქვის თაროები და მკვდართა დატყენილი კბილები. ყველაზე საშინელია თავმოჭმული, მოკეცილი ჩონჩხი. სარკმლის შორიანხლოს იატაკზე განცალკევებით აგდია შესანიშნავი ლამაზკბილებიანი თავის ქალას ნაწილი.

გურკო-კრიაყანის აზრით, ეს აკლდამები ჰგვანან ფარსების „საჩუმის კოშკებს“ და ღია ფანჯარა დატანებულია იმ მოსაზრებით, რომ ნადირებს მიეცეთ შესვლის საშუალება გვამების შესაჭმელად.

კოტა არ იყო, ცუდ გუნებაზე დავდექით, ისეთი სულიერი განწყობილება გვქონდა, როგორც ჩვეულებრივად სასაფლაოზე ყოფნის ან დაკრძალვის დროს.

მიუხედავად ამისა, მაინც ჩვენსას არ ვიშლით და განვაგრძობთ ზევით ასვლას; ამ ამოწყვეტილ ქალაქში უცნაურ გრძნობას განვიცდით. ქვის სახლები ორ-სამ სართულიანებია, ძალიან კარგად არიან შენახულნი. შიგნით რომ შეიხედავ, ასე გგონია, ეს-ეს არის მიატოვეს აქაურობაო. მხოლოდ ზემო კოშკია დაზარალებული, ერთი კედელი ჩამონგრევიან, კოშკი მოხრილია და ლამის არის თავზე დაგვენგრეს. აქ ცხოვრობდნენ ჩოლოყაშვილები, თორგვას ჩამომავალნი; თორგვას შესახებ უამრავი თქმულებაა; აქავე იმალებოდა ბატონიშვილი ალექსანდრე, ეს დაუღალავი მებრძოლი და მტერი ძველი თვითმპყრობელური რუსეთისა.


შევნიშნე სპილენძის პატარა ზარი. ჩამოვრეკე. გაისმა წკრიალა ხმა და უცნაურად მიწყდა მკვდართა ქალაქში.

ერთ-ერთი სახლის კიბეებზე ჩამოვჯექი, და ვუზიარებთ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს. ამ დროს მეორე სახლის კიბის საფეხურებზე დინჯად ამოდის წითელბიბილოიანი შინაური მამალი, ლამაზი ყვითელი მკერდი აქვს და ჭრელი ბოლო. მამალი განცვიფრებული გვათვალიერებს. ჩვენ, უფრო გაოცებულნი, იმას ვუყურებთ; ეს ცოცხალი მამალი ამოწყვეტილ ქალაქში საიქიოდან მოსულად გვიჩვენება, მაგრამ ყველაფერი უბრალოდ აიხსნება: თურმე მუცოში ერთადერთი სახლია, სადაც ქისტი ბინადრობს, ეს შამულიც იმას ეკუთვნის. თვითონ ქისტი შინ არ დაგვიხვდა...

მეორე ზურგიდან მოგუარეთ მთის ნაპრალს და მეორე გვერდით, დელის მხრივ დავიწყებთ თვალღებებას. აქაც იმავე ჯურის აკლდაშებია, რაოდენობით თხუთმეტამდე, მხოლოდ უფრო წესიერად ნაშენები; ისეთივე ორივე მხარეზე დაქანებული სახურავები, შუა ადგილას შეკოწიწებული თლილი ოთხკუთხიანი ქვებით. გარდა ამისა, სარკმლის თავზე თავვიწრო ნიშები ჰქონდათ დატანებული.

როგორც იყო, ჩამოვედით მთიდან. ცხენები და ბარგი უკლებლად დაგვიხვდა. შევჯექით და განვაგრძეთ მოგზაურობა; ზოგ ადგილას დღე იმდენად ფართოვდება, რომ აქეთიქით არდოტის წყლის ნაპირები თვალწარმტაცი მინდვრებით იმოსება, უამრავი ყვავილითაა აჭრელებული. ორგვლივ კი ველური, უდაბნოსებრი და თანაც დიადი სიჩუმე. ჩვენ თანდათან ვეჩვევით ამ სიჩუმეს, რომელიც წინათ ასე გვაცვიფრებდა. აქ არამც თუ ხალხი არ არის, საზოგადოდ არავითარი არსებაც არა გვხვდება. არც ცხოველები და არც ფრინველები. ასე გვგონია, რომ ეს ტყეები სრულიად მოკლებულნი არიან სულდგმულ მოსახლეობას. მხოლოდ ერთხელ შევეფეთეთ გარეულ კატას. მაქრომ პირველმა მოჰკრა თვალი და ხელით

მანიშნა. 30 ნაბიჯის მანძილზე, სულ ახლოს მდინარის პირთან
დავინახე ეს ლამაზი ცხოველი.



წყლის ხმაურში ჩვენი ცხენების ფეხბის ხმა ვერ გაარჩია და
გულმშვიდად მშეს უფიცებოდა. შევაჩერეთ ცხენები ჩვენი
ამხანაგის მოლოდინში, მაგრამ კატამ იგრძნო და მსუბუქი ნა-

ხტომებით ტყის წიაღში მიხმალა. რამდენიმეჯერ მოგვიხდა მიხვევ-მოხვევა. ბილიკის ნაცვლად, კლდეებში გამოქრილ საფეხურებზე ავდიოდით, მერე ისევ წყლის პირად ჩავდიოდით და მდინარის მარცხენა მხარეზე მივდიოდით. ერთ ადგილას შექროს ღელვა დაეტყო. ბილიკი, რომელსაც მივყვებოდით, ორად გაიყო. ერთი ტოტი სადღაც ზევით აღმართზე აღიოდა, მეორეს კი გავიჟებულნი წყლის ტალღებში მივყავდით.

ნახევარი წუთის მოფიქრებისა და მერყეობის შემდეგ შექრომ ცხენიანად წყალში შეტოპა, ჩვენც გავყევით. წყალი თითქმის მუცლამდე აღგებოდა ცხენებს. ცხენები ძლივს იმაგრებდნენ ფეხებს. წყალი ცხენებს იტივტივებდა და თანდათან მატულობდა, ჩვენ ფეხები ცხენების კისერზე გველაგა და მაინც საგრძნობლად დავსველდით.

როგორც კი გავნაპირდით, სულ მოკლე ხანში წყაროს წყალს მივაღექით და დიდი ხნის მოწყურებულნი დავეწაფეთ ამ მშვენიერ ცივ წყაროს.

სალამოს ხუთი საათი იყო, რომ დავინახეთ ჩვენ წინ მდებარე ანატორი, ის ანატორი, რომელაც აგვიწერეს რადდემ და ექიმმა ხუდადოვმა.

ანატორი კლდეებზეა, შატილიდან სამი კილომეტრის მანძილზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც არდოტის-წყალი და არგუნის ერთდება. ძნელი წარმოსადგენია სხვა ადგილი ამაზე უფრო დაბურული, დაღვრემილი და უღიმღამო! საითაც არ გახედავ, ველური იღუმალებით სავსე ხეები და ღელეები, და ამ ღელეებში მომწყვდებული გაჟი მდინარენი მონავარდობენ, იქაურობასა გლეჯენ, ირგვლივ მთებია აყუდებული, და პდამიანს ჰგონია, თითქოს სადღაც ჭაშია ჩავარდნილი. სული გეხუთება და გინდა თავი დააღწიო ამ ადგილს!

აქ სამი ხეობაა: არდოტის-წყლის, შატილის-წყლის და არგუნის. ეს უკანასკნელი არდოტის-წყლის და შატილის-წყლის შეერთების შედეგია. შატილის-წყლის მეორე ნაპირზე მოჩანს ყოფილ სოფელ ანატორის ნანგრევები. აქ ოდესღაც ანატო-

რელთა გვარეულობა მოსასლემობდა. როგორც ამბობენ, ეს გვარეულობა რაღაც სახადმა ამოწყვიტა. ახლანდელ აკლდამებს შერჩა ამ სოფლის სახელწოდება.

სულ ხუთი აკლდამაა. გარდა ამისა ერთი მომცრო შენობაა, გარეგნობით სამლოცველოს. მიემსგავსება. ორი აკლდამა გაერთიანებულია; ყველანი ძლიერ ჰვეანან მუცოში ნახულ აკლდამებს: იგივე ქვის თაროები და თაროებზე დაგროვილი მკვდართა ჩონჩხები და ცალკეული ძვლები.

ვ. ა. გურკო-კრიაჟინი გადავიდა სარკმლიდან და დაათვალიერა № 2, № 3 (ბავშვთა აკლდამა), № 4 და № 5.

მე და შაქრო სარკმლიდან თვალს ვადევნებდით, როგორ დაიარებოდა ამ ჩონჩხებს შორის ჩემი ამხანაგი და სანთლით ანათებდა ამ პირქუმ აკლდამას, სადაც განისვენებდნენ დღევანდელ ხევსურთა წინაპარნი.

ამ აკლდამების დათვალიერებამ - ეს სურათი მოგვცა; მეორე აკლდამაში, სარკმლიდან, მარცხნივ, მოზრდილი ადამიანის ჩონჩხია, თავქვეშ ქვა უძევს, შენახულია ზედა ნეკნები და მენჯი. იმავე სკამლოგინზე თავფეხმოქცეული ძეგს მეორე ჩონჩხი, ისიც კარგადაა შენახული, მხოლოდ თავი კი მოჭმული აქვს, რუხი ფერის ჰერანგი აცვია. იმათ პირდაპირ მეორე თაროზე სიღრმეში წყვილად ძეგს ორი ჩონჩხი, ზედ ძველმანები აყრია. სარკმლის მარჯვენა მხარეზე მოკეცილი ჩონჩხია. ყოველი ძვალი შენახულა; შემდეგ ქალის ჩონჩხია, ლურჯ კაბაში, თავზე შერჩენილი აქვს მოსახვევის ნაწილები. თაროებზე და ყველგან წვრილფეხა ნადირების განავალია. იატაკზე უწყესრიგოდ უამრავი ჩონჩხია მოყრილი.

მესამე აკლდამაში, ბავშვთა აკლდამაში, წინა დგას პატარა კუბო, სიგრძით არშინახევიანი, ხოლო სიგანდით ათი ვერშოკი. შიგ ქალის ხელია მოკუმშული თითებით. მეორე კუბოში (8×3), მხოლოდ ქსოვილია, ბავშვი კი (შეჭმული უნდა უნდა იყოს; შემდეგ ორი აკვანია, ერთი იატაკზე დგას, ხოლო მეორე მარჯვენა მხარეზე, სკამზე. იატაკზე თივიანი ტომრებია, ქოთ-

ნები და ბავშვების სათამაშო შურდული. მარჯვენა კუთხეში სწორედ ჭერქვეშ მოთავსებულია ტრაპეციის მსგავსი მორგავ-ლებული თარო. იატაკზე და სკამებზე ბავშვთა და მოზრდილ-თა თავის ქალების მთელი გროვაა.

მეოთხე აკლდამაში იატაკზე დაფენილია ფიცრები და უამ-რავე თავის ქალა ყრია. ჭერი თაღებიანია, ხუთი მინაგანი კო-ჭია გადებული. მთელი აკლდამის სიღრმე გამოტენილია ყო-ველნაირი ჩონჩხებით, ყრმათა და მოზრდილთა ძვლებით. მო-ჩანს ლურჯი ტანისამოსის ნაშთები, ზის ჯამიც, როგორც ეტყობა, სასმელისათვისაა მიტანილი.

მეხუთე აკლდამაში ზედიზედ ახორხლილია გვამები. აქ უკვე დიდი ნადირის განავალის ნაკვალევია.

პირველი აკლდამა სარკმლიდან დავათვალიერეთ: ისევე ძვლები, თავის ქალები და ერთი პატარა კუბო.

აკლდამები სხვადასხვა ზომისაა, სიგრძით 7 — 8 არშინი, სიგანით 4 — 5 არშინი, სიმაღლით 3 — 3½ არშინი.

სამლოცველო 2 × 2½ არშინია. სახურავი ჩანგრეულად სარკმელთა ზომა ასეთია: ჩარჩოს სიგანე — 14 ვერშოკი. სი-მაღლე — 11 ვერშოკი. სიღრმე — 8 ვერშოკი. შემდეგ ქვის ჩარჩო, შიგ ფანჯარაა. სიღრმე — 6 ვერშოკი, სიმაღლე-სიგა-ნე — 10 × 10 ვერშოკზე.

სახურავები, ორ მხარეზე დაქანებული, წვრილი სიბი ქვე-ბისაა, სახურავის. წიბოზე ოთხკუთხი ქვებია, თითქმის სწორ-კუთხედი. სწორ ქვებზე სიმაგრისათვის ზემოდან რიყის მრგვა-ლი ქვებია დაწყობილი.

ანატორიდან საღამოს ექვს საათზე წავედით. სულ ცოტა ხნის შემდეგ შატილი დავინახეთ. ხახაბოს, არდოტის და გან-საკუთრებით მუცოს შემდეგ შატილი ჩვენზე არავითარ შთა-ბეჭდილებას არა ტოვებს. რაღაც გაჭვარტლული, ჭუჭყიანი და ნეხვიანია. სოფელი შატილი. შატილის-წყლის მახლობლა-დაა გაშენებული.

იმ დროს, როდესაც ჩვენ წყალზე გადებულ ხის ხიდს ვუახლოვდებოდით, ჩვენს შესახვედრად შატილიდან ჩამოვიდა დიდი ჯგუფი ხევსურებისა, ორმოცამდე იქნებოდნენ, მოქარგული პერანგებით და თავით-ფეხებამდე შეიარაღებულნი. ამ ძველ, უამისაგან დახავსებულ კედელთა ფონზე, ჩამავალი მზის სხივების შუქზე, ეს ხევსურთა ჯგუფი შესანიშნავ სურათს წარმოადგენდა: თითქოს ძველი რაინდები, ზღაპრული რაინდები იყვნენ, და ოპერის სურათებს მოგვაგონებდნენ.

ხევსურები შემოგვესიენ. ჩამოვხტით ცხენებიდან. გამოვცნაურეთ, ყველაზე წინ მოხუცები იდგნენ. ერთი მათგანი, ასი წლის მოხუცი ბეწიკა — ხევისბერია; მეორე, სახელად თოთია, ყოჩალი, მხნე, მშვენიერად შენახული — 80 წლისაა.

ხევსურების თანხლებით შევეუდექით აღმართს და სულ მოკლე ხანში მივედით „სალაყბოში“ *). სალაყბო მამაკაცთა სახლია, სადაც ისინი თავს იყრიან საერთო საქმეების გამოსარკვევად, საბაასოდ და შატილის შესახებ რაიმე საკითხის გადასაწყვეტად. სალაყბოში შესვლა ქალებისათვის აკრძალულია. 12 წლის ბიჭებს უკვე ეძლევათ უფლება იარონ სალაყბოში, სწორუფლებიან წევრებად ითვლებიან, შეუძლიათ დაესწრონ უფროსების კამათს და ხმის უფლებაც ენიჭებათ. ზამთრის გრძელ ღამეებში აქ თავს იყრის მოსახლეობის მამრობითი ნაწილი; უხუცესნი პირველ ადგილს იკავებენ, ყველანი თავიანთი საქმით არიან გართულნი. ზოგი თოკსა გრებს, ზოგი ცხენის მოსართავის შეკეთებით არის გართული, ზოგი იარაღის შეკეთებით. აქ ბჭობენ საქმეებზე, მღერიან ლექსებს, იღონებენ რაინდ წინაპრებს, მოხუცნი უამბობენ, რის მოწმენიც თვითონ ყოფილან, რა უნახავთ და რა გაუგონიათ ძველად. თუ მტრები, ქისტები შემოესივნენ, მაშინ აქ სამხედრო საბჭო იმარ-

*) ხევსურეთში კი ამ სახლს „საფეხნო“-ს უწოდებენ, ხოლო იქ დამსწრე მამაკაცებს „ფეხონი“ ეწოდება. მთარგ. შენიშვნა.

თება *). მაშინ აქ ანთებული თვალები ელავენ, და ისმის აღფრთოვანებული სიტყვები, რასაც აღმოსავლური ექსტიკულაცია დაერთვის.

სალაყბოს შემდეგ ხატის დასათვალიერებლად წავედით. ვინაიდან იმ დროს, როცა იქ შევესწარიით, ხატში მისვლა არაბცოთუ მოსახლეობისათვის, თვით ქურუმებისათვისაც აკრძალული იყო, არავინ არ გამოგვყვებ, და მხოლოდ სამნი წავედით.

ხატის მახლობლად, ასე 55 მეტრის მანძილზე, ბილიკია. ამ ბილიკის იქით ქალს ნება არა აქვს დახდვას ფეხი ხატის მიწაზე. მივედით გადახურულ შენობასთან; ამ სახურავის ქვეშ იცდიან ხოლმე მამაკაცები, ვიდრე ხატობის წესები შესრულდება. ცოტა მოშორებით მეორე ფარდულია. აქ ხუცეები, დასტურები და ხევისბერები იყრიან თავს **). კედელი მორთულია გარეული თხისა და ჯიხვის რქებით. თვითონ ხატე დაბეჩავებული, ბნელი და ჭუჭყიანია. არავითარი საღმთო ნივთები და სამკაულები აქ არ მოიპოვება, ორი დიდი სალუდე კოდი დვას, კედელზე ირმის რქებით დაკიდებული და მეტი არაფერი.

ამისთანა ხატი შატილში სამია.

*) არავითარი სამხედრო საბჭო ხევსურეთში არ იმართება; ხევსურები ქისტების შემოსევის დროს ორგანიზაციულად არასოდეს არ გამოსულან. ყველანი პერსონალურად იბრძვიან და იქ უსაფრდებიან მოწინააღმდეგეს, სადაც ყოველი მათგანი სცნობს მიზანშეწონილად.

***) ხატში უმთავრესად ორი შენობაა. ერთი „საქვაბეა“, სადაც ყველას შეუძლია მისვლა, შინაურსაც და გარეულსაც. საქვაბეში ხარშავენ კლუდს, ინახება ხატის ხორბლეული, სალუდე ქვაბები და ინვენტარი, გარდა ძვირფასი საგანძურისა, მეორე შენობა „დარბასია“, აქ მისვლა მხოლოდ ხუცეებსა და დასტურებს შეუძლიად.

მთარგ, შენიშვნა.

ხატის დათვლიერების შემდეგ ასწლიან ხევისბერ ბეწიკასთან წავედით. ჩვენ გაგვყვა ახალგაზრდა დეკანოზი *).

გზაზე გავუარეთ პატარა შენობას — სამრევლოს. დაინტერესებულემა სამრევლოთი, ნაბიჯს ვუმატეთ, ჩვენი დეკანოზი კი დაგვცილდა და ქვედა ბილიკით წავიდა, რომ ამ უწმინდურ ადგილს ასცდენოდა.

შემოვუარეთ შატილს. ახლა ქვიდან ქვაზე გვიხდება ხტუნაობა, გადავდივართ პატარა წყალზე (შატილის-წყლის შენაკადზე).

როგორც იყო, არაქათგამოლულებმა, დამშეულებმა ბეწიკას სახლს მივალწიეთ. ჩვენ იმიტომ მივეშურებოდით ბეწიკასთან, რომ იგვენახა დახაპირები ვერცხლეული და ზქროს თასები, ხატის კუთვნილი საუნჯე, მაგრამ თითქმის ერთმა საათმა გაიარა, სახლის პატრონი კი არსადა ჩანდა. ასეთი მდგომარეობა ძალიან გვაშფოთებდა.

ძლივს ველირსეთ ბეწიკას მოსვლას. მსუბუქი ვახშამი შეგვთავაზეს: ხევსურული მრგვალი პური, ყველი და დამდნარი ერბო. მგლებივით დამშეულნი შევესიეთ ამ უბრალო ვახშამს. ვიდრე ვვახშამობდით, თავს გვადგა ახალგაზრდა ლამაზი ხევსური ქალი და ხელში ანთებული ჭრაქი ეჭირა. მერე ახალგაზრდა ხევსურმა შეცვალა ეს ქალი.

ვინაიდან სინაძლეზე რამოდენიმე ხევსური შემოგვესწრო, ხევისბერმა არა სცნო საჭიროდ იმათი დასწრებით ეჩვენება ჩვენთვის ხატის საგანძური. მადლობა გადავუხადეთ პატივისცემისათვის და გამოვემშვიდობეთ. ღამე სხვასთან უნდა გაგვე-

*) ხატში არის ორი მთავარი თანამდებობის პირი. უფროსი — ხუცესი, უმცროსი — დასტური: ამათ გარდა არის მედროშე, რომელიც ხატობის დროს დროშას ატარებს. ხევსურეთში ხევისბერს არ ახსენებენ, ეს სიტყვა არ არის ხევსურული სიტყვა. დეკანოზი და ხევისბერი მხოლოდ მისული ხალხის გასაგებად იხმარება. ხევსურნი მთავარ ქურუმს ხუცესს უწოდებენ. ხელოვანი იგივე მედროშეა.

თია. სანთლით მივდივართ მეორე სახლში, აქ გვითხრეს, რომ ჩვენთვის კალმახია დაჭერილი და უნდა ვჭამოთ. მაგრამ კალმახი ჯერ არ არის და მზადებული, არც მოხარშულია; ვხივართ კალმახი დაცურავს ქვაბში და გამკეთებელი არავინა ჩანს ვეუბნებით, რომ გვეძინება. მაშინ შეუდგენ თევზის გამოშივენას და გასუფთავებას. გავიდა 10, 15, 20 წუთი, თევზის მოხარშვას არა ეშველა რა. ჩვენ კვლავ ძილის სურვილი განვაცტადეთ. ქვაბი სადღაც მიაქვთ. როგორც იყო, გველირსა თევზს მოხარშვა. მოგვიტანეს. შევექცევით. ნავახშმევს მივდივარ ბანზე დასაძინებლად; ბანზე ფარდაგებია დაგებული.

ღამე ცივია, მთვარიანი. შატილის ირგვლივ მდებარე მთებმთვარის შუქზე საუცხოოდ წარმტაცი და ლამაზია. დახოცოლებივით მივეწყეთ და დავიძინეთ.




არღოტიდან მუცომდე 8 — 9 კილომეტრია, მუცოდან შატილამდე — 12.

მშვენიერი დილაა. ეს-ეს არის ვიყავით მდინარეზე პირი დასაბანად; წყალგაღმა მეორე ხატია, ისიც ვინახულეთ. რაღაც ქოხმახია, რქებით შემყული. მათ შორის ზოგიერთი რქა მართლაც ძალიან დიდია, თვალსაჩინო. ამ შენობის გარშემო ქვებია სიბი ქვები, ჩამოსაჯდომად შემოწყობილი. შუაში შემონამწვები და ნაცარია დარჩენილი. კედელში გაკეთებულ განჯინებში სამღვთო ჭურჭლეულობაა. მათ შორის სარდინებაც კოლოფიც არის.

განსაცვიფრებელია ხევსურთა შორის ქურუმთა ხარისხების რაოდენობა; ხევისბერი, ხუცესი, დასტური, ქადაგი, მკითხვენი, დეკანოზი, ხელოსანი. ძნელია მათი გარჩევა *). ჩვენი ცდები ამ მხრივ უნაყოფო გამოდგა, ვინაიდან სხვადასხვა სოფელ-

*) იხილეთ გვერდი 59.

ში სხვადასხვა განმარტება და პასუხი მივიღეთ. მე ვფიქრობ, რომ ხევსურები განზრახ გვაძლევდნ ასეთ პასუხს, რომ უფრო დავებნათ ამ საკითხში. ჩემს ხსოვნაში ძალიან კარგად აღიბეჭდა ერთი ძლიერ ჭკვიანი და გაქნილი ხევსურის სახე, სოფელ ხახაბოდან; ყოველ ჩვენ შეკითხვაზე ხევსურთა ყოფაცხოვრების შესახებ, მკაფიო და ნათელ განმარტებებს ვვა-



ძლევდა, მხოლოდ როცა სარწმუნოების საკითხებს შევეხებოდით, ვითომც არ ესმოდა, ფრთხილად გვიპასუხებდა და ცდილობდა ეს საჩოთირო საკითხი თავიდან აეცილებია. ასეთივე პასუხები მივიღეთ არდოტში და აქაც -- შატილში. მაინც ზოგი რამ გამოვარკვიეთ: ხევსურები ყოფილა მთელი ხეობის უფროსი, თემის უფროსი, და თანდათანობით მიუთვისებია სარწმუნოებრივი ფუნქციების შესრულება. მთავარი მათი მოვალეობაა ხატის დაცვა და საღვთოს დაცვა. ხუცესს არ აქვს

ნება სამღვთოს დაკვლისა *), არც მიცვალებულის, დაკრძალვის, თუმცა ხანდახან ხუცესი ხევისბერის მოვალეობასაც ასრულებს და მაშინ ძნელია მათი მოვალეობის განსაზღვრა.

დეკანოზები, ანუ ხელოსნები, ხევისბერთა თანაშემწენი არიან, რჩაკვნების ბაღლად **).



ქადაგები — წინასწარმეტყველნი, როგორც ალტაის შამანები, მისნები, რელიგიური ექსტაზით შეპყრობილნი, ქადაგობენ; ქადაგად დაცემა ქალმაც იცის და კაცმაც. ქადაგების გარე-

*) სწორედ ხუცესის მოვალეობას შეადგენს საკლავის დაკვლა; მიცვალებულს ხუცესი ახლო არ ეკარება.

***) დეკანოზი იგივე ხუცესია — მთავარი მსახური, ხოლო ხუცესის თანაშემწედ არიან დასტურები. ხელოსანი, ანუ მედროშე, ემსახურება ხუცესს ხატობის დღესასწაულების დროს.

მთარგ. შენიშვნა.

და არიან „მესულთანე“ ქალები და ქალიშვილები. მათ აქვთ კავშირი მიცვალებულთა სულებთან, შეუძლიათ გამოითხოვონ მიცვალებულებისაგან ესა თუ ის მითითება, რჩევა, ოჯახის მფარველობა და წინასწარი გაფრთხილება, თუ რაიმე უბედურება უნდა ეწიოს მიცვალებულის ოჯახის წევრებს. მესულთანენი აგრეთვე გადმოსცემენ, თუ რაიმე სურვილი აღეძრა თვით მიცვალებულს, ან თუ რაიმე საჭმელი მოიწადინა და სხვა. გარდა ამისა არიან კიდევ მკითხავები, მარჩიელნი.



ხევსურთა საზოგადოებრივ ცხოვრებას სარწმუნოებრივი დალი აზის. ქურუმები იქ დღესაც დიდ პატივში არიან, მათი ავტორიტეტი ძლიერია და მათ ემორჩილება ხევსურეთის უმეტარი, უვიცი მოსახლეობა.

გარდა საერთო სალოცაეებისა, როგორც არის გუდანის ჯვარი, ხახმატის და კარატის ჯვარი, თითქმის ყოველ სო-

ფელს თავისი ხატი აქვს. სოფლის გარეთ, უფრო ხშირად ჭალაში, დგას ქვებით ნაგები პატარა, ჯიხვის რქებით მორთული შენობა. ეს არის ხატი. ხატში ინახება დროშა. დროშას დიდი პატივისცემით ეპყრობიან, მთელი გვარეულობის საგანძურად ითვლება და მხოლოდ დღესასწაულზე გამოაქვთ.

ხატში სრულდება ყოველივე სარწმუნოებრივი დღესასწაული, იკვლება საკლავი. სოფლის დღესასწაულებსაც აქ ატარებენ, ლუდიც აქ ინარჩუნება; ლუდი საპატიო სასმელად ითვლება.

ყოველ ხატს საკუთარი მიწა აქვს. ამ მიწას ხატის მსახურნი ამუშავებენ. შატილის ხატს აქვს თითქმის ორმოცი დღიური სახნავი მიწა.

თუ მაგილებთ მხედველობაში სახნავი მიწების სიმცირეს ხევესურეთში, უნდა აღვიაროთ, რომ რაოდენობა ხატის მიწისა დიდ ღირებულებას წარმოადგენს ხევესურთათვის. ამ მიწის მოსავალი მთელი საზოგადოების ქონებას შეადგენს და ქონებრივად, სარწმუნოების ნიადაგზე, აკავშირებს მოსახლეობას.

გარდა მიწებისა, ხატებს აქვთ ოქრო-ვერცხლის ჭურჭლეულობა; ამ ქონებას ხევისბერი ფარულად ინახავს (სანდო ადგილას *).

თითქმის ყოველ ხატშია ლუდის მოსახარშავი სპილენძის უზარმაზარი ქვაბები.

ხევესურებს ძლიერ სწამთ საიქიოს არსებობა. ამასთან დაკავშირებით დაკრძალვაც და სულის მოხსენებაც რთული სიმბოლიური და შისტითური წესებით სრულდება.

ავადმყოფს როგორც დაატყობენ, რომ უკანასკნელ წუთშია, ის გარეთ გამოყავთ, რომ სახლში სული არ ამოუვიდეს და არ წაბილწოს სადგომი.

* სოფელში მხოლოდ ორმა კაცმა იცის, სად ინახება ხატის განძეულობა. დანარჩენ მოსახლეობას არ გაენდობიან.

შემდეგ მიცვალებულს პარსავენ, ბანენ და სუფთა ტანსა-
მოსს აცმევენ. რამდენიმე დღე მიცვალებული გარეთ ასვენია,
ვიდრე სოფლები მივლენ სამძიმრისათვის. ცხედარის ირგუ-
ლივ ქალები სხედან და დასტირიან, მათ შორის არიან მოსუ-
ლი მოტირალნი, ზარისმთქმელნი.

დაკრძალვის დღეს მიცვალებულს აპყრიან იარაღს, მიასვენ-
ნებენ სასაფლაოზე და ლორფინოებით მოწყობილ სამარეში
ჩაუშვებენ. ზევიდან მიწას დააყრიან.

დაკრძალვის შემდეგ დოღი იმართება *). დაჯიბრებული
ცხენოსნები თავგანწირული დაეშვებიან ამ მიკიბულ-მოკი-
ბულ თავბრუდამსხველ ბილიკებზე, და ყოველ მათგანს დიღ-
სიფრთხილე სჭირდება, რომ სადმე უფსკრულში არ გადიჩე-
ხოს და კისერი არ მოიტეხოს. დოღში ჯილდოდ ეძლევათ ძრო-
ხები ან ცხვრები, ზოგიერთ შემთხვევაში იმართება მიზანში
სროლა, მიცვალებულის ცხენი უახლოეს მეგობარს რჩება. ამას
შემდეგ იმართება ქელეხი. იკვლება ცხვარი, ისმება უამრავი
არაყი და ლუდი. ქალები ქელეხში არ იღებენ მონაწილეობას,
მათ სახლში ეგზავნებათ სამზადისი **). ხევსურების წარმო-
დგენით, მათი მიცვალებული საიქიოს იმისდა კვალად იღებს
სარჩოს, როგორ ქელეხსაც სააქაოს უმართავენ ოჯახის წევ-
რებო. ამ შეხედულებასთან დაკავშირებით ასეთი საინტერესო
ჩვეულებაც არის: ვინც უპატრონოა, უცოლშვილოა და არა
აქვს იმედი, რომ ვინმე იმისი გვარეულობიდან გასწევს სულს
მოსახსენებელ ხარჯებს, თვითონ თავის სიცოცხლის დროს მარ-
თავს ქელეხს, იწვევს მეზობლებს და მოკეთებებს. იმ დროს, რო-
ცა თავმოყრილი ხალხი სასმელს და საჭმელს შეექცევა, თვითონ
მასპინძელი სადმე მახლობლად მოფარებული წევს თვალ-

*) ზოგიერთ სოფელში, მაგალითად, არხოტში, დოღი იმართება ერთი
წლის შემდეგ, ხევსურულად „დაბახი“.

**) პირიქით, უმთავრესად ქალები ესწრებიან ქელეხს.

დახუჭული, უსმენს მოწვეულთა ხმაურს და სიამოვნებას განიცდის იმის წარმოდგენით, რომ უკვე უზრუნველყოფილია საიქიოს კვებით და ჰგონია იქ არაფერი არ დააკლდება*).



შატილში ორი გვარეულობა ბინადრობს: ქინკარაულები და ანატორელები; უკანასკნელი საგვარეულოთი ვართ დანტერესებული. ვკითხულობ იმათი შთამომავალი ხომ არ ყოფილა ანატორში, იმ ანატორში, ნანგრევები და აკლდამები რომ ვინახულეთ, და ასეთი თქმულება გადმოგვცეს: ძველად იმ სოფელს, სადაც ახლა აკლდამებია, რაღაც სენი მოსდებია. მრავალრიცხოვან მოსახლეობას სენი მუსრს ავლებდა. მაშინ სოფელს ავადმყოფების განცალკევებისათვის აუშენებია ის შენობები, სადაც ახლა ჩონჩხებია, და ავადმყოფები იქ მოუთავსებიათ; ავადმყოფებს სკამლოგინზე აწვენდენ, მიჰქონდათ მათთვის სასმელ-საჭმელი. როცა ავადმყოფი კვდებოდა, მის ადგილზე თაროებზე სხვებს აწვენდენ. ასე თითქმის მთელი სოფელი ამოწყდა. მხოლოდ ერთადერთი კაცი გადაარჩა, რომელიც ქისტებს წაეყვანათ და შეეხიზნათ. ბიჭი გაიზარდა. ერთხელ ქისტებს სწვევიან ხევსურნი, ყურადღება მიუქცევიათ ამ ახალგაზრდისათვის. ვაჟი ირჩეოდა ქისტებში თავისი აღნაგობით, და დაუწყიათ გამოკითხვა, თუ ვინ არის და საიდან, ახალგაზრდას ეპასუხა: მე იქიდან ვარ, სადაც დღეში მზე ორჯერ ამოდის და ორჯერ ჩადისო. შატილელნი მიხვდენ, რომ ანატორიდან უნდა ყოფილიყო, ვინაიდან, მთების კონფიგურაციის წყალობით, აქ მართლაც შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მზის ჩასვლა და ამოსვლა დღეში ორჯერ ხდებოდეს. მაშინ ხევსურებმა აუხსნეს მისი ვინაობა ამ ახალგაზრდას, და მისცეს წინადადება, ისევ ხევსურეთს დაბრუნებულიყო. ახალგაზრდამ

*) ამ წესს თავის დამარხვო ჰქვია.

გაუცინა ხევსურებს, დაბრუნდა შატილს, და იმისგან წარმოიშვა ანატორელების მოდგმა; უნდა აღინიშნოს, რომ ხევსურთა ყოველ სოფელში ერთი ან ორი საგვარეულო ბინადრობს. იშვიათად შეხვდებით 3 — 4 გვარს.

გურჯო-კრიაჟინის ჩანაწერის მიხედვით, სოფელ ხახაბოში ასეთი გვარებია: მინდკაური, ოსიაური, მამიაური, ხახიაური, არდოტში ორი გვარია: მურღული და ცხვედაური: შატილს — ჭინჭარაული და ანატორელი; დანარჩენ სოფლებში თითო გვარეულობაა. ღუღში — ქისტაური, როშკაში — წიკლაური, ხახმატში — ალუდაური, ბისოში — ქეთელაური; აქედან გურჯო-კრიაჟინი ასკენის, რომ ხევსურელი სოფლები კი არ წარმოიშვნენ, როგორც ტერიტორიალური ერთეული, სხვადასხვა ნათესაურად დაკავშირებული ელემენტებისაგან, არამედ როგორც საგვარეულო ერთეული. ყოველი სოფელი რამოდენიმე კომლისაგან შედგება: მათ განსაკუთრებული შთამომავლობა ემჩნევა. სხვა გვარეულობასთან შედარებით რაღაც შინაგანი კარჩაკეტილობა ეტყობათ. ამიტომ არის, რომ ერთი საგვარეულოს ახალგაზრდობას ეკრძალება ერთმანეთთან დაქორწილება.

ხევსურთა საზოგადოებრივი წესწყობილება აგებულია საგვარეულო თემობრივ დასაწყისზე. ამისზე შედეგია ხევსურთა შორის დღევანდლამდე გავრცელებული სისხლის აღების ადათი. ამ ადათის მიხედვით, ნათესაები ვალდებული არიან სამაგიერო გადაუხადონ მკვლელს, ე. ი. სისხლი აიღონ.

ვინც მკვლელობას ჩაიდენს, მომეტებულ შემთხვევაში უნდა დედიან-ბუდიანად აიყაროს თავისი სოფლიდან და სადმე, ან სხვა სოფელში, ან ხევსურეთის გარეშე, გაიზიზნოს. მოსისხლეებს აქვთ უფლება გადაწვან მკვლელის ნასახლკარი. მოსისხლეობაში მონაწილეობენ მამის მხრივ ნათესაები; დედის მხრივ მხოლოდ დედის ძმა. ბიძა ვალდებულია შურა იძიოს. სისხლის აღება ევალება უპირველეს ყოვლისა მამას, ძმებს, ბიძაშვილებს; თუ ესენი არ არიან, მაშინ მოგვარეები წაესარჩლე-

ბიან; თუ მკვლელმა მოისურვა თავის სოფელში დაბრუნება და მოკლულის ოჯახთან შერიგება, ის სამი წლის განმავლობაში



ყოველთვიურად მოკლულის ნათესავენს უგზანვის თითო ცხვარს. სამი წლის შემდეგ მოსისხლენი შეიძლება შერიგდენ *).

*) საჭიროდ მიმაჩნია ამ საკითხის განმარტებისათვის მოვიყვანო ხევსური მასწავლებლის ალექსი ოჩიაურის წერილი: „მკვლელი თავისი მთელი გვარით და ნათესაობით უნდა გადიხიზნოს სხვა ქვეყანაში. ნებდება თავი მის სახლ-კარს და მამულს, სახლი ლპება და ინგრევა; იჭერს შიგ უძრავ-მოდრავ ქონებას, რჩება ყანები მოსამკალი, ასე რომ ხელს ვერავინ ვერ ახლებს მკვლელის უძრავ-მოდრავ ქონებას. მოკლულის დასაფლავების დღეს შუაყაცები იქნებიან მრავალნი, იმათის შუამავლობით დაზარალებულს ეგზავნება პირველ შემთხვევაზე ერთი საკლავი, ერთი სამი წლის

მოსისხლეებს რჯული არიგებთ; რჯული საპატიო წევრები-
საგან შემდგარი სასამართლოა, რომელიც იკვლევს დანაშაუ-
ლობას: რა პირობებში მოხდა მკვლელობა, რა ადგილას არის
დაჭრილი, ჭრილობის რაობას და ამბსდა მიხედვით წყვეტს გა-
დასახადის რაოდენობას.

სისხლის დაღვრაში, მკვლელობის გამოსაყიდად ჩვეულებრი-
ვად ძროხების განსაზღვრული რაოდენობა ეგზავნება მოკლუ-
ლის ოჯახს.

შატალი 1,404 მეტრის სიმაღლეზე, ციცაბო კლდეზე მდებარეობს. შატალი ხევსურეთის გულია. მთელი სოფელი ერთ ორგანიზაციად მთლიანად ნაშენებს წარმოადგენს. ორ-სამ სართულიანი სახლები ერთიმეორეზე ისეა გადაბმული და მჭიდროდ შემენებული, თითქოს ერთი მოსახლეობას შეადგენდეს. სახლდან სახლში ბანებით ან გადებული ხარისებით გადადიხართ. ყოველ სახლს სწორი სახურავი, ბანი აქვს, სახლსა და სახლს შუა ოთხკუთხე კოშკებია წამომდგარი.

საითაც კი გაიხედავს ადამიანი, ყველგან სერზე მიმავალი ვიწრო ბილიკები, ქვის ოღროჩოღრო კიბეები და ხეზე ამოჭრილი საფეხურებია, ქვემოთ კი, შატალის ძირში, განუწყვეტლივ

ხარი და ხუთი ლიტრა სპილენძი. გამოასვენეს მიცვალებული კარზე, და ამ დროს კიდევ მოდის ერთი საკლავი, დაასაფლავეს — და ერთი საკლავიც მაშინ იკვლება. იგზავნება ერთი საკლავი წისქვილის სამხსნელო, რომ დამნაშავეს ნება მიეცეს დაზარალებულისაგან წისქვილს დაფქვისა, იგზავნება ერთი საკლავი სათიბად გასვლის შესახებ. მკვლელის ნათესაობა ერთი წლის შემდეგ ხარშავს ხუთ საწყის ლუდს (საწყავი ქერი უდრის ერთ ფუტს), მიდის რომელიმე პატივცემულ ხატში ან სოფელში, სადაც მოკლული იყო, და შუაგაცების ძალით ურიგდება დაზარალებულს, თან მიჰყავს კურატი და საკლავი და ხუთი ძროხა... სამი წლის შემდეგ თვითონ მკვლელი იქცევა ასეთივე წესით, რომელსაც ჰქვიათ პირს შესამყრელო. მხოლოდ მკვლელი ერთი წლის თავზე მიიპარება საიმედო ახალგაზრდებით, მიჰყავს ხარი და ხუთი ლიტრა სპილენძი და მიდის იმათ ხატში, აწყობს იქ სპილენძს, აბამს ხარსაც ხატში და გაიპარება ისევ ღამე. ეს აბავი იცის სოფელში ვინმე სხვა გვარის კაცმა, მიდიან დილას, კვლენ

მიღრობებს შატილის-წყალი. პირდაპირ, წყალგაღმა, ცად აზიდული მთები შემოსილია ქვემოთ ბუწქნარით და ზემოთ კი უტეხი დაბურული ტყით.

ხევსურები ძალიან ბინძურები არიან, განსაკუთრებით ქალები. ნეხვს, ახალ-ახალსაც კი, პირდაპირ ხელით იღებენ, ხელებს ძროხის შარდით იბანენ*). კედლებზე გაკრულია გამხმარი ნეხვის ქერქი და ასე წლობით ემატება ნეხვს ახალ-ახალი მარაგი. მუცოდან რომ შატილში ადიხართ, პირდაპირ განცვიფრებული ხართ ფენებად, ზედიზედ გაწყობილი ნეხვის რაოდენობით. ჩემს შეკითხვაზე, რატომ არ გააქვთ პატრივი ყანაში მიწის გასანოყიერებლად. ხევსურებმა საპასუხოდ მხრები აიჩეჩეს როგორც ეტყობა, მათ ჩემი შეკითხვისა ვერაფერი გაიგეს. გასაკვირველია, რომ ხევსურებმა არ იციან მიწის გაპატივება, მიუხედავად იმისა, რომ სახნავი მიწები ძალიან ცოტა აქვთ. სვანები, პირიქით, მშვენიერი მეურნენი და შრომისმოყვარენი არიან**).

ხარს და აწყობენ სპილენძს სატახტოდ. მერე ყოველწლით დამნაშავე გზაგანის ერთ საკლავს, მხოლოდ იქნებიან საბოლოო მონებად, დამნაშავეს გვარი დაზარალებულის გვარისა საბოლოოდ. ასე რომ იმათ ნებადაურთველად ვერაფერს ვერ გააკეთებენ. ეს ყოველივე შუაკაცების თხოვნით იქნება... მკვლელმა თუ იმღერა ან იცეკვა ან ლხინში ჩაერია, და ეს გაიგო დაზარალებულმა, უნდა ყოველივე ასეთ შემთხვევაზე დამნაშავემ გადაიხადოს ხუთი ძროხა. გადახიზნულნი იმალებიან ისე, რომ არც იქ გამოდნან დღე კარზე, ვაითუ დაზარალებულის პატრონებმა შეიტყვეს ჩვენი აქ ყოფნა, ჩავვისაფრდებიან და მოგვკლავნო. ხშირად ხდება ჩასაფრება და სროლაც... (იხ. „მნათობი“, 1928 წლ. № 3, გვ. 201, 202).

*) ხევსური ქალები ძროხის შარდით (ანუ მწურით) ხელებს მხოლოდ ნეხვის გატანის შემდეგ იბანენ, ამის შემდეგ კი ხელებს უსათუოდ წყალით გადიბანენ ხოლმე.

მთარგ. შენიშვნა.

**) ხევსურეთში პატრივის გატანა ზამთრობით იციან, სხვა დროს ამისათვის არა ცალიათ. საგანგებოდ გაკეთებული მოწნული ჯინით (ჩვენებური ძარის მსგავსია) მიაქვთ ნეხვდ ყანაში და ამოჭრილ ორმოებში ინახავენ. გაზაფხულზე, როცა თოვლი დადნება, ნეხვს გაშლიან ყანაში და მერე სახნისით დახნავენ მიწას. ხევსურებმა ძველადაც იცოდნენ მიწის გა-

მამაკაცი ხევსურნი მალეები არიან, ძვალმაგარნი, მხარბე-
ჭიანები და ლონიერნი.

აცვიათ გრძელი, თითქმის მუხლამდე, პერანგები შინ მოქსო-
ვილი შალისა, მომეტებულად ლურჯი ფერისა, გული, მაჯები
და კალთების გარშემო მოქარგულია ფერადი შალის ძაფით,
დაკერებული აქვთ წვრილი მძივი და ნაირ-ნაირი ღილები. დ-
დი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ხევსურებმა თავი დაანებეს
საშუალო საუკუნეების დროის იარაღის ტარებას. აბჯარ-ჩაჩქა-
ნი. ზუჩი, მუზარადი, დაშნა, — ყოველივე ეს აუცილებელი
იარაღი იყო მხედარი ხევსურისათვის.

გუსტავ რადდე 1876 წელს, ხევსურეთში მოგზაურობისას
წერდა: „კავკასიაში არცერთ ტომს, არიან ისინი ქრისტიანები თუ
მაჰმადიანები, არა აქვს ისე დაცული საშუალო საუკუნეთა წე-
სით შეიარაღება, როგორც ხევსურებს. ხევსური ათასში ერთ-
ხელ კი არ ატარებს ამ რაინდულ იარაღს, საკოხტაოდ და გა-
მოსაჩენ სამკაულად, არამედ იმ შემთხვევაში, როდესაც ელის
მოსისხლეს ან რაიმე საფრთხეს“.

ექიმი ნ. ა. ხუდადოვი თავის მონოგრაფიაში „ხევსურები“
მოგვითხრობს ერთ საინტერესო შემთხვევას ოთხმრცდაათიანი
წლებიდან: „როდესაც სასამართლოში ირჩეოდა ხევსური ქა-
ლის გატაცების საქმე, წარდგა ნეფე, ახალგაზრდა ლამაზი ხე-

ტივით განოყიერება. ხევსურეთში ასეთი ანდაზაც არსებობს: „მამულ
ბევრს ნებქ ბევრმუ აჯობაო“. არის ისეთი შემთხვევებიც, რომ ნებეს ყი-
დულობენ, ვისაც საქმარისი, საქონელი არა ჰყავს და ნებვი არა ყოფნის.
თუ შატილში ნებვის მარაგი ბლომად არის, ეს იმიტომ, რომ იქაური მიწის
უმეტესი ნაწილზე ხატს ეკუთვნის, ხატის მიწაზე ნებვის გატანა კი არ
არის მიღებული, ვინაიდან ნებვი უწმინდურებად ითვლება. ხევსურები
შრომისმოყვარულნი არიან, განსაკუთრებით ქალები. ახიელში ერთ ყანას
„ნანაის ყანას“ უწოდებენ, რადგან ამ ყანის პატრონს, ნანა ქალს, თავისი
ზურგით ნებვით სავსე გოდრები გაჰქონდა მიწის გასაპატივებლად. ეს
ყანა ამ ქალმა მერე ხატს შესწირა და დღესაც ამ ქალის სახელწოდებას
ატარებს.

მთარგ. შენიშვნა.

სური, თავით ფეხამდე გამოწყობილი ძველებურ რაინდულ ტანისამოსში. ჯაჭვის პერანგი ეცვა, ჩაჩქანი ეხურა და ხმალი და ფარი ეკიდა“.

ახლა ხევსურეთში მიღებული აღარ არის ძველი იარაღის ტარება და ინახება როგორც მამაკაპური საგანძური *). ახლანდელი ხევსური შინ, ჩვეულებრივად, ხანჯალს ატარებს, ხოლო თუ სოფელ გარეთ მიდის სადმე, მაშინ მხარზე თოფს გადაიდებს და ხანდახან ფარსაც გაიყოლებს.

საინტერესოა ხევსურების დაშნა. ეს ხმალი ისეთივე სწორეა, როგორც ხანჯალი, ხოლო ხანჯალს ორივე პირი აქვს გაბასრული, დაშნას კი მხოლოდ ერთი. ხმლის პირის სიგრძე 50 სანტიმეტრს უდრის, ტარი 13 სანტიმეტრი იქნება და საგანე დაშნისა კი $3\frac{1}{2}$ სანტიმეტრი. ზოგიერთი დაშნა შეიძლება უფრო გრძელიც იყოს და ოდნავ მოღუნულიც, როგორც ოსმალური ხმალი (პალაში).

ჩუბის დროს ხევსურებმა „საცერულის“ ხმარებაც იციან. საცერული, ბრტყელი მრგვალი ბეჭედია, დიამეტრით 4—5 სანტიმეტრია და ზედაპირზე გარედან ბასრი კბილები — წვეტები აქვს; ბეჭედს ცერზე იცვამენ. ამრივად შეარაღებული მუშტი ისე უნდა დაარტყან მტერს, რომ ჩამოუხიონ ტყავი მუბლზე, ან ცხვირი დააკაწრონ, ანდა ლოყის კანი ჩამოჰვლიჯონ **).

*) თითქმის ყოველ ოჯახში არის რკინის ტანისამოსი: ჯაჭვის პერანგი, ჩაჩქანი (პირის და თავის საფარი), საჩერნე (ჩერნის საფარი — ფ. ხზე გასაკეთებელი), საფუხარი (რკინის ხელთათმანი), აშურმა (გულზე გასაკეთებელი სამკაული).

**) საცერულები: 1) მაღალი — წვეტკბილებიანია.

2) დაჯია — სამწყებაკბილებიანია.

3) ხვეული — უფრო ძველებურია და უკბილოა.

მთარგ. შენიშვნა.

ჩვენ არაერთხელ შევხვდით საცერულისაგან დასახიჩრებულ მოხუცებს (უფრო ხშირად ცხვირზე ჰქონდათ დარჩენილი ნიშანი).

ხევსურების ველური და მეომარი ხასიათი შექმნა იმ მკაცრმა პირობებმა, რომელშიაც ხევსურები ოდიდან იმყოფებიან: მიუვალი მთები და ირგვლივ მტრები — ჩაჩნები და გასაკუთრებით ქისტები. შემდეგ ამათ სხვა ტომებიც დაერთო: როდესაც რუსის ჯარი შეესია მთებს კავკასიის დაპყრობას დროს, მაშინ აყრილა მაჰმადიანი მთიელნი ძალაუნებურად ავიწროებდენ ხევსურებს.

გარდა ამისა, უსიამოვნება და შეტაკება სხვადასხვა მეზობელ სოფლებს შორის, მოსისხლეობა, ადათები, ჩვეულებანი, აღმოცენებულნი საგვარეულო დასაწყისზე, — ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ასეთი მკაცრი და მეომარი ხასიათის ხალხის შექმნას.

ამიტომ ხევსურთა სოფლები მუდამ მაღლობზეა გაშენებული, სერიდან დაჰყურებს მიდამოს, მიუვალ ადგილზეა, მთაგრეხილის განაპირას, და უფრო საომრად გამზადებულ ციხე-ქალაქს მოგაგონებს, ვიდრე საცხოვრებელ სოფელს.


ხევსურული ქვის სახლი პირდაპირ ფიქალი ქვებითაა ნაშენი, რამდენიმესართულიანია და ბანიანი. ფანჯრების ნაცვლად პატარა ნაჭვრეტები აქვს დატანებული — სათოფეები თოფის ლულისათვის. თითქმის ყოველ სოფელშია მაღალი სადარაჯო კოშკი. ამ კოშკების სიმაღლე 20 — 24 მეტრს აღწევს. ზოგიერთ შემთხვევაში კოშკი სოფლის მისაველში დგას სოფლის დასაცავ-დასაფარად.

კოშკები ოთხკუთხია, თავიწროები და, როგორც სადგომი ბინები, აგრეთვე ფიქალი ქვებითაა ნაგები. ზოგიერთ შემთხვევაში კოშკს გუმბათისებრი სახურავი აქვს.

მრგვალი კოშკი იშვიათად შეგხვდებათ.

ხევსური ქალი მაღალია, მოქნილი და წერწეტა. ქერა ქალებიც არიან, უფრო კი წითური ქალები ჭარბობენ. ზო-

გიერთები ლამაზები არიან. მთაში ცხოვრება, ფიზიკური მუშაობა, მუდამ მოძრაობაში ყოფნა, თავისუფლება და პატივისცემით მოპყრობა, — ყველაფერი ეს დაღს აჩენს ხევსური ქალის გარეგნობას — ხევსურ ქალს თავი ამაყად უჭირავს, ყოველ მის გამოხედვასა და მოძრაობაში ერთგვარი სიმტკიცეა, საკუთარი ღირსების გრძნობა და ყადრიანობა.



ხევსურ ქალებს, როგორც მამაკაცებს, შინაური ლურჯი შალისაგან შეკერილი, კრელად მოქარგული მძიმე ტანისამოსი აცვიათ, თავზე მძივებით და ფერადი ძაფებით ნაკერი სათათურები ახურავენ. გათხოვილ ქალებს, გარდა სათათურისა, მოხვეული აქვთ „მანდილი“.

ხახაბოში, არდოტსა და შატილში ყველგან დაგვიდასტურეს: თუ ჩხუბის დროს ქალი ჩაერია და მანდილი მოიხადა, მამაკაცები მაშინვე ჩერდებიან და ცხრებიან. ეს ჩვეულება ქალის პატივისცემის დამამტკიცებელია, მატრიარქატის ნაშთია, იმ დროიდან დარჩენილი, როდესაც ქალებს უპირატესობა ეძლეოდათ.

ხევსური ქალი თვითონ ირჩევს საქმროს და მშობლებსა სურვილის წინააღმდეგ შეუძლია გათხოვდეს. თუ ქალს შეურაცხყოფა მიაყენეს, მთელი სოფელი იცავს იმის პატიონებას. ქალების ძალდატანებით გატაცება მხოლოდ ძველად იცოდნენ. გატაცებამ თანდათან სხვანაირი ხასიათი მიიღო და ქალის თანხმობით ხდება: თუ გაიტაცებენ, მხოლოდ დაუნიშნავ ქალს; დანიშნული ან გათხოვილი ქალის მოტაცება დიდ დანაშაულად ითვლება და გამტაცებელი სიკვდილით ისჯება.

ვინც თავის სოფელს ქალს მოიტაცებს, იმას დანაშაული მიუძღვის მთელი სოფლის წინაშე და ასეთი წევრი უნდა განიდევნოს სოფლიდან. დანაშაულის ნახირსაც კი არ მიუშვებენ სოფლის ნახირთან საძოვრად, გამტაცებელმა თავისი დანაშაულის გამოსასყიდლად, თუ სურს, შეირიგოს საზოგადოება, უნდა შესწიროს ქვაბი და ვერცხლის თასი, დაკლას ხარი და მოხარშოს ლუდი.

იმ შემთხვევაშიაც, თუ ქალი დასანიშნავი იყო, სანეფო, ვიდრე ქალს შეირთავს, მის მშობლებს უნდა შეურიგდეს. თუ ეს არ მოხდა, მომტაცებელს არა აქვს უფლება იქორწინოს მოტაცებულ ქალთან.

შემდეგ, თანდათან, გატაცების წესთან ერთად მაშვალი, შუაკაცებიც გაჩნდნენ. მაჭანკლები მიდიან პატარძლის ოჯახში აბაზიანით ხელში, ან აბაზის საფასური ნივთი მიაქვთ ნიშნად. გარდა ამისა, პატარძლის სახლში მიაქვთ არაყი და ჩითი. ნიშნობის შემდეგ ორ ოჯახს შუა ნათესაური კავშირი გაიბმის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეუძლებელია დანიშნული ქა-

ლის. გატაცება, ვინაიდან შეურაცხყოფისათვის გამტაცებელი თუ სიკვდილით არ დაისაჯა, დიდ ჯარიმას იხდის: 16 — 30 ძროხამდე.

ვინაიდან უკანასკნელ ხანამდე ხევსურეთში ქრისტიანულ წესებთან ერთად კერპთაყვანისმცემლური წესებიც არის, დაქორწინებაც ან ერთი წესით სრულდება და ან მეორით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქორწინებამდე იციან ნიშნობა. ზოგიერთ შემთხვევაში ახალგაზრდას ნიშნავენ, ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში. მაჭანკალი მიდის საპატარძლოს ოჯახში მოსალაპარაკებლად და, თუ ქალის მშობლებისგან დასტურს მიიღებს, მაშინვე უტოვებს ნიშანს. რამოდენიმე ხნის შემდეგ ნეფის მამას მიაქვს მძახლის ოჯახში ძღვენი: არაყი და ჩითი. ნეფის მამას გაჰყვება ვინმე ახლობელი ბიძაშვილთაგანი და ოფიციალურად ხდება მოლაპარაკება მშობელთა შორის, მერე, ყოველწლიურად, ვიდრე ბავშვები მოიზრდებიან, ვაჟის მამას მიაქვს პატარძალთან არაყი და „ბედის კვერა“. როცა ვაჟი უკვე მომწიფდება, მისი მამა ხელმეორედ მიდის ქალის მშობლებთან ქორწინებაზე მოსალაპარაკებლად.

თანხმობის მიღების შემდეგ, ვაჟის მამა თავისი სახლიდან ორ ცხვარს აგზავნის პატარძლისას; ერთი ცხვარი ხატში უნდა დაიკლას, ხოლო მეორე — პატარძლის სახლში. პატარძლის დედა ორ დიდ ხავიწიან ქადას*) აცხობს, და იწვევენ მეზობლებს. მორთულ პატარძალს ყველა აცილებს სოფლის ბოლომდე. აქ გაიჭრება ერთი ქადა. შემდეგ გამოეთხოვებიან მშობლები, და პატარძალი მხოლოდ რამოდენიმე წათესავის თანხლებით მიდის სანეფოს ოჯახში. მეორე ქადა ამ მხლებელთათვის არის და ისინი მიირთმევენ.

მოყვანილი პატარძალი ქვედა სართულში იმყოფება ქალთა შორის, ხოლო მამაკაცები, სტუმარ-მასპინძლიანად — ზე-

*) ამ ორი საგნო ქადის გარდა კიდევ ხუთს პატარას აცხობენ: ხახ-მატის ჯვრისათვის.

მო სართულში *). ნეფე კი სხვაგან იმყოფება, ქორწილი სა-
ღმთოს დაკვლით იწყება. მერე გაიმართება ქეიფი და ქეიფის
დროს პატარძლის მაცარი მოითხოვს ნეფის მოყვანას. ნეფე



შემოყავთ, საპატო ადგილს დასვამენ და არაყს მიართმევენ.
საერთო მხიარულებაში ნეფე მონაწილეობას არ იღებს. ქეიფი
სამ დღეს გრძელდება. მერე პატარძალთან მოსული ხალხი

*) ზემო სართულს ხევსურულად „ჭერხო“ ჰქვია.

ბრუნდება, და პატარძალს ნეფე თავისი ნათესავების თანხლებით უბრუნებს ქალის მშობლებს. აქაც სამი დღის განმავლობაში ქეიფობენ, მერე ნეფე უპატარძლოდ ბრუნდება შინ *), ხოლო ქალი ერთი წლის განმავლობაში მშობლებთან უნდა იმყოფებოდეს. ამ ხნის განმავლობაში ნეფეს არამც თუ დანიშნულის ნახვა, ამ სოფელში მისვლაც კი ეკრძალება. ერთი წლის შემდეგ პატარძალი საქმროს სახლში ბრუნდება. დეკანოზი ნეფე-პატარძლის ტანისამოსს ნემსით აბნევს, და ამის შემდეგ მათ აწვენენ საქორწილო სარეცელზე. სამი ღამე შეუძლიათ იქონიონ ახლადშეუღლებულებმა საერთო სარეცელი, მერე სამარცხვინოდ ითვლება ერთად წოლა და ცოლ-ქმარი ნამალავად ხვდებიან ერთმანეთს. აი ასეთი წესით იციან ხევსურეთში დანიშვნა და ქორწინება.

ამბობენ, რომ უკანასკნელ ხანებში ქალის თხოვის და ნიშნობის წესები ბევრგან შეიცვალა, ჩვენ გვითხრეს, თუ ხევსურმა ხელი დაადო გასათხოვარ ქალს მხარზე, უკვე ის მის დანიშნულად ითვლება (**). იმ შემთხვევაში, თუ ქალს არ მოეწონა ეს სანეფო, უფლება აქვს უარი უთხრას (თავი გამოიხსყიდოს). ზოგიერთ შემთხვევაში ხევსური შუაქაცებს არ აგზავნის, არამედ თვითონ მიდის ქალის დასანიშნავად, და ქალი, ნიშნად თანხმობისა, ხევსურს მანდილოს აძლევს. ჩვენ გზად შემოგვხვდა მხარზე მანდილგადადებული ბედნიერი ხევსური, რომელიც გახარებული ამაყად მიაბიჯებდა ბილიკზე არგუნის მიყრუებულ ხეობაში (***)).

*) ნეფე სახლში რჩება. წესად არ არის მიღებული, რომ ნეფემ მიაცილოს ქალი. მას გაჰყვება ან მამამთილი, ან მაზლი, ან სხვა ახლობელი.

**) ამ შემთხვევაში უბრალო ხელის დადება არა კმარა, ხელის დადებასთან ერთად ვაჟი საჯაროდ განაცხადებს, რომ ეს ქალი მისი საცოლავა და ამის შემდეგ სხვას უფლება არა აქვს ეს ქალი შეერთოს.

***) ასეთი წესი არ არსებობს ხევსურეთში და ავტორი შეცდომაში შეუყვანიათ.

მთარგ. შენიშვნა.

ცოლ-ქმარი უცხო ხალხთან არც უცქერიან და არც ელა-
პარაკებიან ერთმანეთს. პირველი ძეგბის შემდეგ ხევსურთა
ოჯახური ურთიერთობა ჩვეულებრივ კალაპოტში დგება: დიდ
სირცხვილად ითვლება, თუ ახლადმოყვანილ რძალს შვილი
გაუჩნდება სამ ოთხ წელზე ადრე: საერთოდ, ხევსურეთში ერი-
დებიან წვრილშვილობას. ეს გამოწვეულია მაწის სიმცირით:
ხევსურებს ეშინიათ მოსახლეობის გადაჭარბებისა: ზედმეტ
პირს, ზედმეტ შქამელს ხევსურეთი ვერ შეინახავს. მოჭარბე-
ბული მოსახლეობა იძულებული ხდება სხვა კუთხეში გადა-
სახლდეს. მშობლებს თუმცა უყვართ შვილები, მაგრამ არ
უაღერსებენ, აღერსი ფარულად იციან; დედას ეთაკილება,
ერცხვინება, რომ გარეშე პირთან მოუაღერსოს თავის პირ-
მშოს.

ხევსურ ბავშვს იმას ასწავლიან, რაც ცხოვრებაში და-
სჭირდება. ამისდა მიხედვით პატარა ქალებს ასე ზრდიან: ისინი
მონაწილეობას იღებენ ყოველ ოჯახურ საქმეებში: ქსოვენ,
ართავენ, ამზადებენ წივას და სხვ.

ხევსური ქალები ძალიან ზნეობრივი და ნამუსშენახუ-
ლები არიან. ქორწინებამდე დაორსულება დიდი საძრახისია,
ვერცერთი ქალი ამ სირცხვილს ვერ აიტანს.

გათხოვილ ქალს ატანენ ტანისამოსს და აგრეთვე „სა-
თავნოს“ — მზითევს. ჩვეულებრივად ეს მზითევი საქონელია.
ჯერ კიდევ პატარაობისას ქალს აჩუქებენ დეკეულს ან ძრო-
ხას და ამ ძროხის ნაშენი რაც იქნება, ქალის მზითვად ითვ-
ლება. საკუთრება ცოლ-ქმარს შორის სასტიკად არის განსა-
ზღვრული. ქმარს არა აქვს უფლება ცოლის ქონებას შეეხოს,
არც ცოლს შეუძლია ქმრის ქონებით ისარგებლოს. ქმარს არა
აქვს უფლება აჩუქოს ან უანდერძოს ცოლს თავისი ქონება.
ცოლ-ქმარი მოკლებულია ერთმანეთის მემკვიდრეობის უფლე-
ბას. დედის სიკვდილის შემდეგ ვაჟები თანასწორად იყოფენ
დედის მოყოლილ „სათავნოს“, ხოლო ქალიშვილებს რჩებათ

დედის ნაქონი ტანისამოსი. სიკვდილის შემდეგ, ქმარი იქნება თუ ცოლი, თუ მიცვალებული საკუთარი ხარჯით ვერ დაიმარხება, მეუღლეთათვის სავალდებულოა ერთმანეთის დამარხვა *).

ხევსური ქალი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფლის მფარველობის ქვეშ იმყოფება, და თუ ქმარი უდიერად ექცევა თავის ცოლს, პასუხს აგებს სოფლის წრნაზე. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ მაინცა და მაინც ხევსური ქალის მდგომარეობა არაფერს სახარბიელოს არ წარმოადგენს. ხევსური მამაკაცი შრომის მომეტებულ ნაწილს ქალს აკისრებს, თვითონ კი თავისუფლად იმყოფება. ხევსური ქალი, გარდა წვრილი ოჯახური საქმისა, თავით ფეხამდე მოსავს მთელ ოჯახს, მამაკაცთან ერთად მუშაობს ყანასა და ტყეში, მკის, თიბავს, შეშას ეზიდება, ლეწავს. ქორწილის პირველ დღესვე პატარძალი ვალდებულია დახვეტოს და ხელით გაიტანოს საქონლის პატრივი, მოზიდოს შეშა, თივა და სხვ. ქალისათვის არავითარი სიმხიარულე, სიამოვნება არ არსებობს. ხატობას ქალი შორიდან ლოცულობს, დიდი დღესხსწაულებების დროს ეკრძალება მიიღოს მონაწილეობა საერთო საუბარში; ქალი მხოლოდ ლუდს დალევს და შინ ბრუნდება. ჭამა-სმასა და ქეიფში ქალი არ მონაწილეობს. ხევსურების წარმოდგენით, ქალისთვის სამარცხვინოა: ცეკვა, ხტუნვა, აგრეთვე ცხენზე ჯდომა. ჩვეულებრივად, ხევსური მამაკაცი ცხენზე ზის, ხოლო ქალი ტვირთაკიდებული უკან მისდევს და ცხენს კუდზე ეჭიდება.

ხევსური არ ანებივრებს თავის ცოლს. ხევსურთა შორის ალერსი და ყურადღება არ არის მიღებული. იმ შემთხვევაში, თუ ქალი უშვილო აღმოჩნდა, ქმარს უფლება აქვს მეორე ცოლი ითხოვოს, თუმცა ასეთი მაგალითები იშვიათად ხდება. მე-

*) ხევსურულ ოჯახში ქონება გაერთიანებულია, მხოლოდ „სათავნო“ შეადგენს ქალის საკუთრებას.

ორე ცოლის მოყვანისათვის სიძე პირველი ცოლის მშობლების სასარგებლოდ იხდის ჯარიმას, ე. ი. ხუთ ძროხას მიჰგვრის.

თუ ხევსური ქალი უშვილოა, ავადმყოფი, ხელთუყარ, ზარმაცი, — ხევსურს უფლება აქვს დაითხოვოს სახლიდან. იმ შემთხვევაში, თუ ქმარმა უდანაშაულოდ, უმიზეზოდ განდევნა, ის ვალდებულია გადაიხადოს ცოლის სასარგებლოდ „შრომის საფასური“ *).

შვილები მამასთან რჩებიან. განდევნილ დედას მხოლოდ ძუძუმწოვარი ბავშვის წაყვანა შეუძლია. ბავშვის გამოსაკვებად მამა აძლევს ერთ ძროხას, ან ოთხ ცხვარს. როცა ბავშვი მოიზრდება, მამის ოჯახში უნდა დაბრუნდეს.

ცოლსაც შეუძლია ქმრის დატოვება. მაგრამ ვინაიდან ცოლს წასვლა თავისთავად ამბავია ქმრისათვის, ამიტომ ცოლი ქმარს აძლევს პირობას, რომ არავის არ მისთხოვდება **). თუ ქალი თავის სიტყვას ეტყვის, მას სიკვდილი მოელის ***). ამ საერთო სურათზე ხევსური ქალის ყოფი(კხოვრებისა, ტყუილად კი არ ჰგონდება ქალი — ეშმაკთა შორის ვარ მომწყვედეულიო.

ხევსურთა მთავარ საარსებო წყაროს მესაქონლეობა შეადგენს. ხევსურთა ალპიური საძოვრები. ზაფხულობით შეა-

*) ხევსურეთში ამას უწოდებენ „ნამაშვრალს“ და „სამწუნობროს“. „ნამაშვრალის“ გამოანგარიშების დროს პირველ და უკანასკნელ წელს არ ანგარიშობენ, ხოლო დანარჩენ წლებში ქალს ერგება თითო წელში თითო ძროხა. ძველებურად ძროხა ფასობდა ხუთ მანეთად ოქროთი. ამისდა კვალად ანგარიშობდნენ. „სამწუნობროში“ ხუთი ძროხა ეძლევა.

***) საერთოდ, გათხოვების აკრძალვის ნება ქმარს არა აქვს. იმ შემთხვევაში, თუ ქმარი დაექვებულება, რომ მისი ახალგაზრდა ცოლი წუნობს ქმარს და სხვას ამჯობინებს, მაშინ ქმარი „უკვეთს“ ცოლს ამა თუ იმ პირზე გათხოვებას, ვიზედაც ეკვი აქვს მიტანილი. ხევსურები ასე იტყვიან: „ქალი კვეთილში ნამყოფი ცოლად რუს მოგიყვანია“.

***) ქალს არავითარ შემთხვევაში არ მოკლავენ ხოლმე: სიკვდილი მოელის ქალს კი არა, არამედ ქალის მამას, ძმას ან ქალის წამყვანს.

მთარგ. შენიშვნა.

ნიშნავი ბალახით იმოსება, მაგრამ ასეთი საძოვრები ნაკლებადაა, უფრო შიშველი მთები და კლდეებია, და ამიტომ არის, რომ ხევსურებს არ შეუძლიათ ბევრი საქონლის მოშენება და შენახვა.

სახნავი მიწები უფრო მცირეა. ხვწა-თესვაც ძნელია. ქვიანი, მიუვალი ადგილები არ იძლევა ქერის და სვილის საკმარის მოსავალს.

უპირველესად ხევსურები რძის ნაწარმოებით იკვებებიან: ყველი, ხაჭო, კარაქი, ერბო, — აი მათი საჭმელი. ათა'ში ერთხელ კლავენ საქონელს. პური უგემურია, გაუცრელი, გამოუშუშარი, გაუღვივებელი.




ძალიან საინტერესოა ხევსურთა სახელები. შაქროს დახმარებით შემდეგი სახელები ჩავიწერე:

ქალებისა: აგუნდა, აქუა, აშექალი, ბუბა, ბერდედა, ბებერი, ბებერა, ბუბულა, ბუშუჩა, ბუბიკა, ბერა, განდა, ძილა, დედუნა, დედა, დედიკა, ძიძილი, დედაქალა, ძანუა, ზექუა, ილუკა, ია, ქალიკა, ქალუკა, ქაქალა, კმარა, ქაქური, ქაქა, ყამარა, ქალუნდა, ქალა, ლელა, ლულუა, მზია, მზექალა, მუშტარა, მზექაუა, მარიკა, მინანი, მზევინარი, მამიდურა, მამიდა, ნანუკა, ნათელა, ნანა, ნათულა, ნათუა, ნანუა, ნუნუა, ნანია, სანდუა, სამძიმარი, თია, თამთინა, თეთრუა, თალალა, თიურა, ხათუთა, ხორა, ხორიელი, ხოშია, უქა, შუქია *).

მამაკაცების სახელები: ადუა, აბიკა, ადადა, აპარეკა, აბულეთი, ახალა, აკია, აფშინა, ალუდა, ბაბუა, ბაჭყია, ბაია, ბახა, ბეწიკა, ბაძია, ბია, ბოიგარი, ბიძურა, ბალათერა, ბაბო, ბეჯიტა, ბულეყანი, ბუჩა, ვაჟია, ვაჟუა, ვეფხვია, გამიხარდი, გოგოთური, ღერენა, გამახელა, გაგუა, გიგური, გიგურ, ძია, ჯოყოლა,

*) ილუკა, ია, ნუნუა — კაცის სახელებია.

დათვია, ძაღლიკა, ჯავრია, ჯურხა, ძიკია, ჯამრულა, დამწვარა, ჯარია, იმედა, ყუდია, კურდღელა, კაგა, კომტიკაური, კუკუნი, კვირიკა, კიკო, ლეკო, ლაგაზა, მინდია, მოკლეა, მგელა, მგელიკა, მამუკა, მამულა, მეწყინა *), შაჯიგა, ნადირა, ნანაიძე, ობოლა, სუმბათა, სულთანა, საღირა, საყურა, თოთია, თათუა, თათარი, თორელა, თორელი, ტუჩა, თოელექა, უშიშა, უთურ-



გა, ურჯუკა, უნცრუა, ხიზანა, ხინჩლა, ხირჩლა, ხუტია, ხეთი-სო, ხეხო, ხახონი, ხოლიგა, წიქა, ჩუა, ჩაჩაური, ჩალხია, ჩალხა, შუა, შიშია.

*) მეწყინა ქალის სახელია.

შატილიდან დილის ათ საათზე გავედით. მამულა ჩანგარაულმა და სხვა ხევსურებმა გაგვაცილეს.

ბილიკი ჯერ შატილის-წყლის მარცხენა ნაპირით მიდიოდა, მერე რამდენჯერმე მოგვიხდა წყალში გაღმა-გამოღმა გასვლა-გამოსვლა. ვიწრო და საუცხოო სილამაზის ხეობას შევუდექით. გაშმაგებული შატილის-წყალი ანკარა ტალღებს ქვიან რუსხმულში მიაგორებს.

ტყეში შევედით. ირგვლივ ფიჭვი და ნაძვი. ბლომადაა, აგრეთვე ბევრია ცირცელი და ჟოლო.

აქაც ხალხი არსადა ჩანს. მხოლოდ ერთხელ შემოგვხვდა რამდენიმე ცხენოსანი ხევსური, წინ პატარა ციკანი მიუძღოდათ. გამოველაპარაკეთ და შევიტყეთ, რომ მდისისხლე ხევსური შესარიგებლად ბრუნდებოდა თავის სოფელში.

შალე პატარა უღელტეხილი დაიწყო. ჭაუხის მთების კალთებზე უნდა გადაგვევლო. ჯერ ბილიკით დაფენილი აღმართი მიდიოდა ტყე-ტყე. მერე უცბად ციკაბო მთას შევუდექით. ბილიკი ნაპრაღის პირად მიდის; ხევში მიღრიალებს მთხს ცელქი ნაკადული. როგორც იყო, მივალწიეთ მწვერვალს.

ბილიკი მწვანე მოღზე მიიკლავება. გარემო უცბად შეიცვალა, აქ უფრო მყუდრო და მშვიდი ადგილია.

მთის მორგვალეებულნი მწვერვალები შემოსილია, მწვანე ხშირი ძეძვნარით. გიჟი შატილის-წყალი ქვემოთ დაგვრჩა.

ერთი საათის განმავლობაში ვისვენებთ ანკარა წყაროს მახლობლად. მთებიდან მიდის ეს წყარო, შატილის-წყლის შენაკადია. შემდეგ მივდივართ ღია, მომცრო ვაკე ადგილზე.

მარჯვნივ, ვიწრო ხევის თავზე, პატარა მთის მწვერვალზე ორი კოშკია, მესამე უფრო ჩვენკენაა. ხევის მეორე მხარეზე, ჩვენგან მარცხნივ, კოშკის ნანგრევები მოჩანს, ქვემოთ კი ორი სახლია: სოფელი ჭეჭყეტა. ამ ხევის შემდეგ ისევ აღმართია.

მარჯვნივ მართლმადიდებელი ეკლესიის ნანგრევები მოჩანს, შემდეგ — ოთხკუთხი ხატი, ცოტა მოშორებით — მაღალი, ლამაზი ვიწროთავიანი კოშკი. იქვე მარცხნივ ხევსურული სოფელია — ლეზაისკარი. აქაური სახლები ქართლის სახლებს მოგვაგონებს.

აქედან იწყება დაუსრულებელი და ძნელად ასავლელი აღმართი — ველკეთილის უღელტეხილის აღმართი, რომელმაც ბოლო მოგვიღო ჩვენც და ჩვენს ცხენებსაც.

როგორც იყო, მივალწიეთ უღელტეხილს! 2.500 მეტრის სიმაღლეზე ვიმყოფებით! აქეთ-იქით თვალწარმტაცი სანახაოზა იშლება, განსაკუთრებით როშკა და ბაცალიგოს თემი. შორს, ხევის სიღრმეში, წვრილი ნაკადი მოჩანს, წყალი თანდათან მატულობს და იზრდება შენაკადი წყაროებისაგან. აქედან იწყება ხევსურეთის არაგვი. ირგვლივ მთების უამრავი მწვერვალი თეთრი ღრუბლებით შემოსილი დგას.

დავეშვით ძირს. სწრაფად მოვდივართ, პირაქეთა ხევსურეთში. დაღმართიც დაუსრულებელი აღმოჩნდა. როგორც იყო, შორს გამოჩნდა ხახმატის ძველებური კოშკები. სოფლის მაზლობლად ნარზანის წყალი დავლიეთ. ხახმატა არ არის ისეთი ზღაპრული სილამაზით დაჯილდოებული, როგორც ხახაბო, არდოტი, მუცო და შატილი. ხახმატში ტიპური ქართული ქოხებია, ჭუჭყიანი და ულამაზო.

გავიარეთ **ხახმატი** და დავყვეით ხახმატის-წყალს (ეს ხევსურეთის არაგვის სათავეა).

ხახმატის გვერდით სოფელი **ბისოა**. ისევ რიყეზე მივდივართ. ცხენები ძლივს მიათრევენ ფეხებს. ბინდდება.

ვკეითხებით შაქროს — ხომ მალე იქნება სოფელი ღულა, სადაც ლამე უნდა გავათიოთ. შაქრო ჩვეულებრივად გვიპასუხებს ძალიან ახლოაო.

ისევ მთას შევუდექით; მდინარის მარცხენა მხრით. ისევ, როგორც არა ერთხელ, საბიფათო გზით გვიხდება მგზავრობა. ძირს ისევ გადასაჩეხი უფსკრულია, გვერდით კლდეებია.

ერთი თუ ფეხი დაგვიცდა, — სიკვდილი ატყვილებელია. ჩვენც და ცხენებიც ძალიან ფრთხილად მივდივართ, ერთმანეთის მოძრაობას ვგრძნობთ და შიშით ვიცქირებით უფსკრულში.

სოფელ გუდანს მოვკარით თვალი... ვინაიდან უკვე ბნელა, შაქროს მივეცი წინადადება, აქ გავათიოთ ღამე, მაგრამ შაქრო გვარწმუნებს — ლულამდე სულ ცოტა მანძილიაო.

ჩამოვედით თავქვეზე ვიწრო ბილიკით, გადავიარეთ მერყევი ხიდი და სწორედ ამ დროს ჩემ ამხანაგს გაუწყდა უზანგის თასმა. ვიდრე თასმას შევაკეთებდით, ჩამოხნელდა კიდეც.

ტყეში მივდივართ. თვალთ ვერაფერს ვხედავთ. მოვუშვით სადავეები და სავსებით დავენდეთ ცხენებს. ხის ტოტები სახეს გვიკაწრავს, ლამის თვალები დაგვთხაროს, სადღაც ჩავდივართ, ამოვდივართ, ისევ ჩავდივართ. შორიდან გვესმის ღამის ფრინველებისა და ნადირების ბოროტის მომასწავებელი გულშემზარავი ხმები. შაქროსაც ღელვა დაეტყო. ჯერ გვარწმუნებდა — კარგად მივდივართო, მერე კი მიჩუმდა, ამკარაა, გზა აგვერია, ავსცდით ბილიკს და უგზო-უკვლოდ დავეხეტებით ტყეში.

ირგვლივ არაფერი ჩანს. შეეჩერდით. დაბურულ ტყეში ვართ. ვგრძნობთ — სახიფათო მდგომარეობა შეიქმნა. ადვილად შეიძლება სადმე უფსკრულში გადავიჩეხოთ. გარდა ამისა, სიბნელეში მოგზაურობა, უგზო-უკვლოდ, შეუძლებლად მიგვაჩნია. უცბად გამახსენდა, რომ ხურჯინის ერთ-ერთ თვალში სანთლები გვაქვს შენახული, შაქრომ მოძებნა, და ანთებული სანთლებით დავეძებდით გზას დაბურულ ტყეში.

ალბათ საუცხოო ფანტასტიურ სურათს წარმოვადგენდით იმ დროს: სამი მგზავრი, ანთებული სანთლებით, ცხენებს მივუძღოდით შუადამისას, დაბურულ ტყეში, ზედ კავკასიონის მთავარ ქედზე! ამ დროს რომ ხევსურებს მოეკრათ თვალი ჩვენთვის, საიქიოდან გამოსულნი ვეგონებოდით და, ალბათ, ტყვიებით მოგვესალმებოდენ.

დაუსრულებელი არაფერია ამ ქვეყნად, და ჩვენი წოწი-
ალიც სანთლებით ხელში კეთილად დასრულდა. უცბად ძაღ-
ლის ყეფა მოგვესმა, ამ ყეფაზე წავედით, სულ მოკლე ხანში
გავედით ტყიდან და სოფელ **ლულში** მივედით.

ლამის ათი საათი იყო, როცა სოფელს მივეუახლოვედი.

ჩვენი ახალი მასპინძელი გამიხარდი ქისტაური გულთბა-
ლად დაგვიხვდა და ხევსურული იარაღით მორთულ ოთახში
შეგვიწვია. კედელზე ეკიდა დაშნა, მუხარადი, ფარი და ჩაჩ-
ქანი.

ვივახშმეთ და ბანზე მოვეწყეთ, თივის ზვინის მახლობლად.
სუფთა ჰაერზე დავიძინეთ.

შატილიდან ლულამდე სულ 24 კილომეტრია. ადგილი
წარმოსადგენია, რამდენი მანძილი გავიარეთ ტყუილ-უბრა-
ლოდ და რამდენი დრო დაგვეკარგა: შატილიდან დილის ათ
საათზე გამოვედით და ლულში მხოლოდ ლამის 10 საათზე მი-
ვედით!

შუალამისას რომ გავიღვიძე, მთვარის შუქზე დაგინახე
უზარმაზარი, ტყით შემოსილი მთები და ბნელ ხეობაში ძირს,
სიღრმეში მოდუღუნე ხევსურეთის არავი. სადღაც ტყეში
აფთარი ყმუოდა*) და თავით კი ვეება ძაღლი გვიღრენდა,
რომელიც თივის ზვინქვეშ იყო.

დილის 6 საათზე წამოვდექით. ყველანი გამოძინებული,
დასვენებული და ხალისიანი ვიყავით.

ერთმანეთს მხიარულად დავაბანინეთ პირი და ბანიდან
სახლში ჩავედით. აქ ხევსურულად ვისაუზმეთ: შავი გაუფუ-
არი ხშიადი, ცხვრის ყველი, ერბო და რძე.

შემდეგი მოგზაურობისათვის საჭიროა ცხენების შეცვლა.
ჩვენი ცხენები, მათურიდან რომ წამოვიყვანეთ, იმდენად მო-
ლლილნი არიან, რომ მათი დაბრუნება მათურში დიდი ხანია
საჭირო იყო. მაგრამ ლულში ხევსურებმა ისეთი ქირა მოითხო-

*) აფთარს ხევსურეთში კინდოლი ჰქვია.

გეს, რომ შეუძლებელი გახდა ახლად ცხენების დაჭირავენბა: ვარჩიეთ ისევ მათურიდან წამოყვანილი ცხენებით გვემგზავრა, მხოლოდ საჭიროა ვინმე წავიყვანოთ, რომ ფასანაურიდან ცხენები პატრონებს დაეუბრუნოთ.

ქისტაურის 12 წლის ვაჟს უნდა ჩვენთან წამოსვლა, მაკრამ მისმა მამამ გადაიფიქრა მისი გამოგზავნა, ვინაიდან მოსისხლენი ჰყოლიათ და საშიშია ბავშვის გაგზავნა. ბავშვის ნაცვლად მისი პაპა მოგვეყვება, 85 წლის მოხუცი თორელა. თორელა ყოჩხლად ზის ჯორიკაზე და არხეინად მოგვდევს. მას არავითარი საფრთხე არ მოელის. ის გადასულია იმ ასაკს, როცა შურისძიება და სისხლის აღება შეიძლება: ხევსურული კანონის ძალით, ბავშვებს 10 წლამდე და მოხუცებს მოსისხლენი არ ეხებიან.

ცხრის ნახევარზე გამოვემშვიდობებთ ჩვენს მასპინძლებს და რაფემვით თავქვე ხევისაკენ, სადაც არაგვი მიღრიალებდა. ქვემოთ, გზაზე შევეფეთეთ კობტად გამოწყობილ, მოქარგულ-ტანისამოსიან ხევსურებს. ორ მათგანს ზურგზე ფარი ჰკიდია. თორელა დელავს, ათვალეირებს. მგზავრებს გულმოდგინედ, მაგრამ ეს შეხვედრა კეთილად დაგვირგვინდა. ხევსურები წყნარად განაგრძობენ თავიანთ გზას.

არაგვის მიმართულებით მივდივართ, ერთი ნაპირიდან მეორეზე გადავდივართ. ცხენებს ძალიან ეზარებათ წყალში შესვლა, ფრთხილად სინჯავენ ქვიან ოღროჩოდრო კალაპოტს, და გავდივართ ფონს. წყალი ცხენს მუცლამდე უწევს. ფეხებს უზანგებიდან ვიღებთ, რომ არ დაგვისველდეს, და უნაგირზე ვაწყობთ: ასეთ მდგომარეობაში ძალიან ძნელია უნაგირზე ჯდომა: ყოველ წუთს შეიძლება დაკარგო. წონასწორობა და წყალში გადავარდე. მაგრამ ეს ჩქარი მდინარე, მწვანე ტყის ჩარჩოში მოქცეულია, ზემოდან მოკაშკაშე მზე, სრული სიმშვიდე და სოწყნარე ქმნის იმ მშვიდ, ხალისიან და მხიარულ განწყობილებას, რომელიც ბუნების წილში, მთებს შორის ეწვევა ადამიანს... ჩვენთვის არავითარი საფრთხე არ არსებობს!

ხანდახან შაქრო, ჩვენი წინამძღოლი, რომელიმე ადგილას შეჩერდებოდა ხოლმე და ზვერავედა აგორებულ ტალღებს. შაქრო დავისით, დაუხმარებლად, რაღაც იღუმალის ნიშნებით იკვლევს, სად უფრო ადვილი გასასვლელი ფონია. სადაც უფრო ძნელი გასასვლელი ადგილები იყო, თორელაც უახლოვდებოდა შაქროს, და ორივენი იკვლევდნენ გზას. შაქრო უკმაყოფილოდ უსმენდა, მაგრამ ყოველთვის მის ჩჩვევას იღებდა, და მოხუცის მოკრუნჩხული თითებით ნაჩვენები გზით მივდიოდით.

იმ დროს, როდესაც ორივენი უნაგირზე გადახრილნი წყლის ფსკერს დასცქეროდნენ და წყლის სიღრმეს იკვლევდნენ, მე თვალწინ წარმომიდგა მარკ ტვენის დახელოვნებული ლოცმანები, რომელნიც მისისიპის ზედაპირზე კითხულობდნენ, საც მოელოდათ საფრთხე და სპონდიო და გემი იმ მიმართულებით მიყავდათ, სადაც უვნებლად იმოგზაურებდნენ.

რამდენიმე კილომეტრი გავიარეთ წყალ-წყალ, მერე დავშორდით არაგვის ნაპირებს და მარჯვნივ გავუხვიეთ ხევისაკენ. ბილიკი ჯერ ხევზე მიდიოდა, მერე მთას შევეუდექით. ამ მთის მწვერვალზე მდებარეობს სოფელი ბუჩუკურთა. როცა ავედით ამ სოფელში, ჩვენს უკან მალლა, პირდაპირ მეორე მთის შეტენებაზე სოფელი ოხერხევი დავინახეთ.

სოფელ ბუჩუკურთა და უკანა ახოს შემდეგ ისევ ქვევით თავდაღმართზე დავეშვიტ.

შორს, მოწმენდილ ცაზე მოჩანდა უკანასკნელი უღელტეხილის ხერხემალი. აქეთ უნდა გავიაროთ. ეს ბაკურხევის უღელტეხილია. ამ მთის გადაღმაა ხევსურთა უკანასკნელი სოფელი ბაკურხევი. იმის შემდეგ სწორი და მშვენიერი გზა მდის ფასანაურამდე. ეს მანძილი 25 კილომეტრს უდრის.

სულ დაბლა მთის ძირს მივეუახლოვდით. ჩამოვედით წყაროსთან, შევისვენეთ, ცხენებსაც დავალევიანეთ წყალი და შევეუდექით აღმართს. ბაკურხევის უღელტეხილი გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე მათურისა და ველკეთილის უღელტეხილები. მაგრამ ჩვენი ცხენები განვლილმა გზამ დაქანცა და

ნება-წება, შესვენებით ძლივს მილოლიალებენ. მე და ჩემი ამხანაგი ვზოგავთ ჩვენს ცხენებს, ვიბრალებთ, ამიტომ შაქრომ და თორელამ წინ გაგვისწორეს, ჩვენ ძალაუნებურად ჩამოვრჩით.

დალლილობა რომ არ აწუხებდეს ადამიანს, არავითარი სიამოვნება არ შეედრება იმას, რასაც განიცდის მგზავრი მაღალ უღელტეხილზე ასვლის დროს. როცა თავდება ტყე და იწყება ალპური მინდვრები. ადამიანის მთელი არსება განიცდის რაღაც სიმსუბუქეს, სიმჩატეს; თავისუფლებას, ბედნიერებას. ფილტვები მთის სუფთა ჰაერით ივსება, ზვალი ისვენებს, მწვანე ფერისგან იღუმალი სულიერი სიმშვიდე იპყრობს ადამიანს. როცა რამოდენიმე ასეულ ნაბიჯს აივლი და მერე მოიხედავ უკან შესასვენებლად, თვალი უნებლიედ ძირს, მდელოზე ჩერდება, განვლილ ფზას ზვერავს, ბუმბერაზ ღრუბლებში მიბჯენილ მთებს უყურებს, რომლებიც სადღაც მიუწლომელი სივრცისკენ მიილტვიან...

ირველივ ჩამიჩუმი არ ისმის, არცერთი სულიერი არ ჩანს. ათასში ერთხელ თუ გაიგონებთ ამაცი არწივის ყივილს ან ქორის გულსაკლავ ძახილს, და თუ თავს აწევ, დაინახავ ცაში ფრთაგაშლილ უზარმაზარ მოლივლივე ფრთოსანს, აქ ისეთი საჩუმეა, რომ მკაფიოდ გესმის საკუთარი გულის ცემა და სისხლის მოძრაობა...

გვერდით კი ცხენი ცვრიან ბალახს ძოვს, აულარუნებს მოსართავეებს, სადავეს და კუდით იგერიებს აბეზარ ბუზანკალებს.

მცხუნარე მზის სხივებზე ქათქათებენ. მთის მწვერვალები. ზოგან მთის მწვანე ფერდობზე ღრუბლების მრგვალი ჩრდილია. გამჭვირვალე ნაკადის ქავლი ვერცხლისფრად ბრჭყვინავს.

სრულ სამ საათზე მივალწიეთ უღელტეხილს.

შევსვენეთ ათი წუთით. უკანასკნელად ვტკბებით ამ მომჯადოვებელი, ჩვენს წინაშე გაშლილი სურათით. შაქრომ აქედან დაგვანახა ველკეთილის უღელტეხილი — ოდნავ ჩაზნექილი, უნაგირის მსგავსი ადგილი მაღალ მთებს შორის.

რალაც სევდით გვებურება თვალები, უკანასკნელად ვხედავ-
რით ხევსურეთს, ვემშვიდობებით ამ უცნაურ, განსაცვიფრებელ
მხარეს, კუთხეს თავისუფალი, სტუმართმოყვარე ხალხისა, რო-
მელთაც ასე ცოცხლად მოგვაგონეს საშუალო საუკუნეთა ფე-
ოდალიზმის დასაწყისი.

შაქრო და თორელა აღარც კი გველოდებიან, საჩქაროდ მი-
დიან თავქვე ბაკურხევისაკენ. მე და ჩემი ამხანაგი კვალდაკვალ
მისვდევთ და ფრთხილად მიგვეყვავს ჩვენი ცხენები.

ბაკურხევი ხევსურეთს არ ეკუთვნის, თუმცა მოსახლენი ხევ-
სურები არიან. სრულიადაც არა ჰგავს ხევსურულ არწივისე-
ბურ, მაღლა მთის კენწეროზე აგებულ ბუდეს, საშუალო საუ-
კუნეთა რომანტიული სულისკვეთებით აღსავსეს. აქ უკვე
ბრტყელი, ჭუჭყიანი ქართული ქოხებია, არავითარი მიმზიდვე-
ლობა მათ არ აქვთ. ხევსურეთი იქ დარჩა, ბაკურხევის უღელ-
ტეხილის გადაღმა.

ფასანაურსა და ბაკურხევს შუა მშვენიერი საურმე გზაა,
გუდამაყრის ხეობაზე მიმავალი. ყოველ ზაფხულს აქეთკენ უა-
მრავი ექსკურსანტი მოილტვის. მოსკოველები და ლენინგრადე-
ლები, 20 — 30 კაცი ერთად, ფასანაურში დიდი ჩოჩქოლით
ემზადებიან ხოლმე „ხევსურეთში“ გასამგზავრებლად. მათ მი-
სდევს ყირიმული თათრის მსგავსი გაქნილი მეგზური, აქ, ბა-
კურხევში, ექსკურსანტები გემრიელად შეექცევიან შავ პურსა და
რძეს, სინჯავენ ბაკურხეველთა ძველ იარაღს, ბრუნდებიან ისევ
გზატკეცილით და მერე მოსკოვსა და ლენინგრადს აყრუებენ
არაკებით, თუ როგორ იმოგზაურეს ხევსურეთში, მღუთხრობენ
ყველას სისხლის აღებაზე, ხევსურთა ველურ ჩვეულებებზე,
მათ ყოფა-ცხოვრებაზე და თავიანთ სახიფათო მოგზაურობაზე
კლდეთა და უფსკრულთა შორის.

ერთს ასეთ ექსკურსიას ჩვენც შევხვდით. ახალგაზრდა ვა-
ჟებს ნაბდის ქუდები კოხტად წამოედვათ თავზე, წელში ფი-
ნური დანები გაერჭოთ, ხოლო ქალებს ჩალის ქუდებზე ცის-
ფერი და ვარდისფერი მარმაში შემოეხვიათ. ზოგიერთს მათ-

განს ვაჟური შარვალი ეცვა, ცხენით მოგზაურობისათვის. ექსკურსია სოფელთან, ბაკურხევის-წყალთან ისვენებდა. შუაში მეგზური ედგათ და დამაჯერებელი კილოთი რალაცას უამბობდა მსმენელებს ხევსურების ზნე-ჩვეულებათა შესახებ.

ჩვენ უნებლიედ მივიქციეთ მათი ყურადღება. დამწვარი, წვერ-ულვაშით შეგინგლული სახეები, მტვრიანი დაჭმუჭნული ტანისამოსი, მთის დაბალი ცხენები, წინ მიმავალი, ცხენზე კოხტად შემჯდარი შაქრო და, ბოლოს, ჯორიკაზე შესკუბებული თითქმის 100 წლის ხევსური, — ყველაფერი ეს სრულადაც არ ჰგავდა ფასანაურიდან წამოსულ ექსკურსანტებს.

გაიგეს თუ არა, რომ მთელი ფშავ-ხევსურეთი შემოვიარეთ; შემოგვეხვივნენ, დაგვიწყეს გამოკითხვა, თანაც შაქროსა და თორელას დიდი მოწიწებით ათვალეებდნენ.

რამოდენიმე გზა ერთად გავიარეთ.


ცხენებმა თითქოს იგრძნეს, რომ ჩვენს მოგზაურობას ბოლო ეღებოდა, მოუმატეს ნაბიჯს და ხალისით მიდიან.

ჯერ კიდევ ბაკურხევისა და ფასანაურის შუაგზაზე ვიყავით, რომ წამოვიდა შავი ღრუბელი, მზე დაიფარა, და დაიბურა გულდამყრის მთელი ხეობა. ისე იქუსა, თითქოს ზარბაზნები დაიცალაო. ჩვენ გავაჭენეთ ცხენები. ექსკურსანტები შორს ჩამოგვრჩენ. ნახევარი საათის ქენების შემდეგ, სწორედ სალამოს ნ საათზე მივედით ფასანაურში. ის-ის იყო ჩამოვხტით ცხენებდან, რომ კოკისპირული წვიმა დაუშვა.

სასტუმროს განიერ დაფარულ აივანზე შევაფარეთ თავი. თორელა ცხენებთან დარჩა. შაქრო ბარჯს ეზიდებოდა, ხოლო მე და ჩემი ამხანაგი წავედით პირის დასაბანად, გავსუფთავდით და სადილი შევუკვეთეთ.

ჩვენი საუცხოო მოგზაურობა დასრულდა. ზღაპრული ქვეყანა, რარინდული სტუმართმოყვარე ვაჟკაცური ხალხი, რომელიც სათანადო პასუხს გასცემს როგორც მტერს, ისე მოყვარულს; შორს მაღალი ქედის გადაღმა დარჩა.

ამდენი ხნის განმავლობაში პირველად გვიხდება სუფრა-გადაფარებულ მაგიდაზე პურის ჭამა. ჩემი ამხანაგი ავსებს ჭქას და პირველად ჩვენს მეგზურს შაქრო ბასილაშვილს ადღე-გრძელებს, რომელმაც ამ მოგზაურობაში დიდი სიყოჩაღე, გამჭრიახობა, სითამამე და ხევისტურეთის ცოდნა გამოიჩინა. შაქრო მუღამ მხიარული, კარგი ამხანაგი იყო. დიდი სიამოვნებით გამოვცალეთ მისი სადღეგრძელო. ერთად მოგზაურობამ ძლიერ დაგვაამეგობრა და დაგვაახლოვა ამ ადამიანთან.



ჩვეალ კი უნდა გავზორდეთ, ის წავა თავისი ღუმეთისაკენ; ხოლო ჩვენ მოსკოვისაკენ.

ეჰ, ვინ იცის, შევხვდებით კიდევ ერთმანეთს?!

სასტუმროს განიერ აივანზე მოფუსფუსე, მოუსვენარი ქალაქელები არიან. ჩვენ უკვე გადავეჩვიეთ ასეთ ხმაურს და გვეჩოთირება. ბაღში, აივნის წინ, ორი დათუნაა დაბმული.

შორიახლოს დიდი, მტვრიანი, კაკავიდან ჩამოსული ავტომობილი დგას. გვინდა ვიშოვოთ ორი ადგილი ტფილისამდე და ერთიც დუშეთამდე. ყველა ადგილი დაკავებულია. საღამომდე დავყილებთ ფასანაურში, ყოველნაირ ზომებს ვიღებთ, რომ ვიშოვოთ ადგილები მიმავალ ავტომობილებში, მაგრამ ამაოდ. ტფილისში ველარ მივდივართ. ახლა ღამის გასათევი ადგილია საზრუნავი. სასტუმროში ყოველი ოთახი დაკავებულია. როგორც იყო, საერთო ნომერში ორი საწოლი ვიშოვეთ. შაქროს კი აქაც აღმოუჩნდნენ ნაცნობები და მიდის მათთან ღამის გასათევად.

მოუსვენრად გვიძინავს. ხშირად გვეღვიძება. საკმარისია თვალი დავხუჭო, მაშინვე ჩემი თავი ცხენზე მგონია, ფეხებს მაგრად ვუჭერ; ერთ მხარეზე ციცაბო კლდე მელანდება, მეორე მხრით უფსკრულია, საჭიროა ფრთხილად გავლა, მაგრამ ცხენი მიმაჭენებს. მთელი სხეული დაჭიმულია, მოქანცულად. ო, როგორ მწყურია დასვენება! თვალს ვახელ, მეღვიძება, — ლოგანში ვარ. ვხედავ, როგორ ბორგავს ძილში ჩემი ამხანაგი. ფეხები და მთელი სხეული მოქანცულია მოგზაურობით. მინდა დავიძინო, მოვისვენო, მაგრამ როგორც კი დავხუჭავ თვალებს, როგორც კი ჩამთვლემს, მაშინვე ცხენზე ვგრძნობ თავს. სხეულის კუნთები დაჭიმულია, ცხენი მიჭრის უფსკრულების პირას, და ამ საშინელ ჭენებას არ უჩანს ბოლო...



ЧТОБЫ НЕ ПРОПАЛИ ДЕНЬГИ

Некий Демидов, побывав как-то в Хевсуретии, написал книгу «В ущельях первобытной (?) Грузии», которая была издана «Молодой гвардией» с иллюстрациями и приложениями.

В погоне за экзотикой незадачливый автор превратил хевсуров в «первобытное племя», совершенно упустив из виду, что в ущельях Хевсуретии сохранились лишь пережитки средневековой, но от первобытности она ушла далеко вперед.

Ничего нового в Хевсуретии автор не заметил. Ни новых школ, ни больниц, ни кооперативов! Многое же из того, что Демидов «заметил», он не понял, не разобрался. Многие привели его в недоумение.

Восьмидневные «исследования» и наблюдения Демидова в свое время по достоинству были оценены критикой. Но Сахелгами, для которого, как видно критика и оценка книги значения не имеют, издал ее на грузинском языке под заглавием «Хевсуретия».

Каждый год исследователи, различные экспедиции и, наконец, просто писатели посещают Хевсуретию. Как будто не было ничего проще, как заказать кому-нибудь из них книгу о Хевсуретии, в которой без экзотики, без излишних излияний насчет пресловутого и всеми избитого «гостеприимства» («сказочная страна, населенная мужественными, гостеприимными людьми, умеющими достойно принять и друга и врага») — было бы рассказано о прошлом страны, о той культурно-политической работе, которая ведется сейчас (кроме преров и состязаний) о социалистическом строительстве. Это была бы полезная, нужная книга.

Но в Сахелгами любят курьезы. Поэтому, приняв книгу Демидова, узнав о ее негодности и малости поразмыслив насчет уплаченного гонорара, книгу решили напечатать. В виду того, что ошибки и смутность «исследований» Демидова слишком бросались в глаза «труд» его снабдили примечаниями и комментариями,

в которых отрицается все написанное автором.

Писательница Мариджан, взявшаяся за эту нелегкую работу, сама летом 1931 года побывала в Хевсуретии, добросовестно изучила этот район и написала книгу. Проще было бы напечатать ее, а гонорар, уплаченный Демидову, либо вычитать, либо списать в расход.

Но «хозяйственные» соображения пересилили, и на свет явилась «оригинальная» книжка с двумя диаметрально противоположными текстами, которая не без интереса будет прочтена любителями различных курьезов.

Демидов например пишет, что в деревне всего 4 дома, а в примечании говорится, что совсем не четыре, а 18!

Демидов Арагва кажется шириной в 6—8 метров, а примечание утверждает, что Арагва здесь широка и многоводна. Демидов рассказывает об озере «Зарис Чала», а «Зарис Чала», оказывается... лесок, где поблизости никаких озер не обнаружено.

Демидов рассказывает о «военных советах» — существование которых примечание решительно отрицает.

Демидов говорит, что «Хуцес» не имеет права резать жертвенную скотину, а в примечаниях говорится, что как раз только это и вменяется «Хуцесу» в обязанность. Женщины, по Демидову, не посещают поминки, а по примечанию, на поминках бывают предпочтительно женщины и т. д. и т. д.

На некоторых страницах примечания преобладают. Автор их спорит, разъясняет, дополняет и вступает в самостоятельные повествования.

Читатель в недоумении. Если в книге все перевернуто, напутано и об этом заранее было известно редакторам, то какой смысл издавать ее, тратить труд, бумагу и средства на «опровержения».

Плохие книги должны унаследовать участь плохих редакторов и наоборот.

К. ДЖАВ.

В. (Демидов) 1933 г. 22

ՅՆՆՈՒ 1 ՁՆԵ. 50 Յ.

39

Զ 327

